# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 24 სექტემბერი 1998 №171 (706) ფასი 50 თეთრი


# მოგებაც დიდი ხათაბალაა

## დონეცკელებმა თამაშამდე ფული დათვალეს, მაგრამ მაინც დაგვამარცხეს

**კორაჩის თასი. შესარჩევი წრე. საპასუხო მატჩი**

23 სექტემბერი. დონეცკი. „დრუჟბა“. 3 300 მაყურებელი

**შახტიორი (დონეცკი, უკრაინა) 110:87 აზოტი (რუსთავი, საქართველო)**

შახტიორი: ზავალინი (27), ბოტიჩევი (7), გერასიმოვი, ვასილჩენკო (18), ტკაჩი (29), შლეევი (17), მალოშტანი (3), კობინოსი (4), გურტავოი (3), იშჩუკი (2)
აზოტი: გაბისონია (9), ბაბიაშვილი (11), ბერუაშვილი (4), ჟღენტი (14), წიკლაური, ჯაფარიძე (21), გოგობერიშვილი (28)
მსაჯები: ფათიჰ სოილემეზოღლუ (თურქეთი), ნიკოლოზ ნიდელჩევი (ბულგარეთი)

მატჩის წინა დღეს დონეცკში ჩასულს „შახტიორის“ პრეს-ატაშემ მარკ ლივადსკიმ მითხრა: ალალად გეტყვი, მოგების შანსი ჩვენ ნამდვილად მეტი გვაქვს, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობამ რომ გამოთვალა, მომდევნო ეტაპზე გასვლის შემთხვევაში რამხელა თანხები დაგვჭირდება, ეს მატჩი იქნებ წავაგოთ კიდევაცო. გამეცინა, მაგრამ ლივადსკიმ გამაფრთხილა, ნუ გეცინება, ჩემს ნათქვამში სიმართლის საკმაოდ მოზრდილი მარცვალიაო.

არ ვიცი, დონეცკელებმა ფული იშოვეს, თუ მათში თავმოყვარეობის გრძნობა აბობოქრდა, მაგრამ „შახტიორს“ გუშინდელ მატჩში „აზოტისთვის“ მოგების არავითარი შანსი არ დაუტოვებია. დარბაზ „დრუჟბაში“ მოსულ საკმაოდ მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს და მათ შორის თქვენს მონა-მორჩილსაც ერთი წუთითაც კი არ შეპარვია ეჭვი მასპინძელთა გამარჯვებაში, რადგან უკრაინელთა უპირატესობა კლასში მეტად თვალშისაცემი იყო.

ვერ ვიტყვი, რომ „აზოტმა“ არ იბრძოლა ან არ მოინდომა, მაგრამ როცა თავს ზემოთ ძალა არ არის, ვერაფერს გააწყობ. დონეცკელი კალათბურთელები რუსთაველთა მიერ შეთავაზებულმა სისწრაფემ სულ მცირე ხნით დააბნია, მაგრამ ამით ვერაფერს გამოვრჩით. „შახტიორი“ მალე მოეგო გონს და დაიწყო რთული კომბინაციების ხლართვა, რომელთა უმეტესობა ჩვენს კალათში მოთავსებული ბურთით მთავრდებოდა. ქართველი კალათბურთელები ინდივიდუალური მოქმედებებით ცდილობდნენ ფონს გასვლას, თუმცა მეტოქეს ამითაც ვერაფერი დავაკელით. ერთი სიტყვით, „შახტიორმა“ აშკარად გვაჯობა. გვაჯობა ფიზიკურად, ტაქტიკურად, ტექნიკურად. გვაჯობა ყოველივე იმით, რასაც საერთო ჯამში ოსტატობა ჰქვია. გვაჯობა, მოგვიგო და მომდევნო წრეში გავიდა. მასპინძელთაგან საუკეთესოდ ზავალინი აღიარეს, ჩვენგან გოგობერიშვილი, ქართულმა კალათბურთმა კი მორიგი მარცხი იწვნია.

**ირაკლი სირაძე**
**დონეცკიდან**

# ფიფას პრეზიდენტი მხარს უჭერს რამაზ გოგლიძეს



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატის „სარბიელში“ სტუმრობის შესახებ იხილეთ მეორე გვერდზე



ესპანელთა ახალმა თავკაცმა კამაჩომ პირველ ჯერზე რუსები გაამწარა

## შოტლანდია

VII ტური

**სელტიკი 0:1 სენტ ჯონსტონი**
0:1 დასოვიჩი (15)

**ჰართსი 3:0 მოზერველი**
1:0 ვეირი (69), 2:0, 3:0 მაკენი (87პ, 90)

**კილმარნოკი 2:1 დანდი**
0:1 ანანდი (10), 1:1 მაკკოისტი (21), 2:1 მაკგოუნი

**აბერდინი 1:1 რეინჯერსი**
1:0 ჯესი (4), 1:1 უოლესი (39)

**დანდი 1:1 დანფერმლაინი**
1:0 მაკსვეგანი (29), 1:1 სქუაერზი (5)

## გერმანია

თასის 1/16 ფინალი

ზიგენი —ფრაიბურგი 1:0; კარლ ცაისი — დუისბურგი 1:2; ფიურტი — ბაიერნი 0:0, 3:4პ; ურდინგენი — ზანქტ პაული 1:1, 5:4პ; ვოლფსბურგი — ნიურნბერგი 3:0დ.დ.; დორტმუნდი — შალკე 1:0დ.დ.

## ბელგია

VIII ტური

**ოსტენდე 1:1 გენკი**
0:1 ოლარე (59), 1:1 სმიტსი (90)

**შარლერუა 2:1 ლიერსი**
0:1 კავენსი (37), 1:1 გოიე (55), 2:1 რემი (60)

**ბრიუგე 0:1 ლომელი**
0:1 კანერტსი (75)

## ინგლისი

ლიგის თასი. II წრის საპასუხო მატჩები

ტოტენჰემი — ბრენტფორდი 3:2 (3:2); კრისტალ პალასი — ბერი 2:1 (0:3); საუთჰემპტონი — ფულემი 0:1 (1:1); ევერტონი — ჰადერსფილდი 2:1 (1:1); მანჩესტერ სიტი — დერბი 0:1 (1:1); რედინგი — ბარნსლი 1:1 (0:3)

## ავსტრია

მე-9 ტური. აუსტრია — ტიროლი 1:1, ლუსტენაუ — რაპიდი 2:0, რიდი — ლინცერი 0:0, შტურმი — შტაირი 5:2

## იტალია

თასის 1/16 ფინალი

საპასუხო მატჩები

მილანი — ტორინო 3:0 (0:2); ვენეცია — კალიარი 2:1 (0:0); ბოლონია — რეჯინა 3:0 (1:1); ვერონა — სამპდორია 1:0 (0:2); პიაჩენცა — ლეჩე 2:3დ.დ. (2:1); ფიორენტინა — პადოვა 2:0 (1:0); ემპოლი — ატალანტა 0:0 (2:1); უდინეზე — გუალდო 4:0 (2:2); ვიჩენცა — ბრეშა 3:0 (2:3); ჯენოა — პარმა 0:1 (0:3); ბარი — ლუკეზე 2:0 (0:1); კოზენცა — ლაციო 0:2 (1:2); სალერნიტანა — დი სანგრო 0:2 (0:0); იუვენტუსი — რავენა 4:0 (2:0)

## ჰოლანდია

VI ტური

**სიტარდი 1:0 აიაქსი**
1:0 რუსტი (51პ)

**ტილბურგი 2:1 კამბური**
1:0 რამზი (26), 1:1 დიჰაუზენი (31), 2:1 ნეერინგი (45)

**ჰერენვენი 1:0 უტრეხტი**
1:0 ვან მოლი (27)

**ტვენტე 2:1 მაასტრიხტი**
0:1 ემერსონი (50), 1:1 კამპუიზი (60), 2:1 ვანეგური (72)

**ვიტესი 2:0 ვალვაიკი**
1:0 პეროვიჩი (44), 2:0 ჩუროვიჩი (63)

**ბრედა 1:1 აზ 67**
0:1 ლანგერაკი (18), 1:1 იუნ ნო (90)

**გრააფსხაპი 0:3 სპარტა**
0:1 ნოიევენბურგი (19), 0:2 ტამერი (27), 0:3 ვან დერ ლაანი (55პ)

## ამხანაგური მატჩები

**ესპანეთი 1:0 რუსეთი**
1:0 ალკისა (39)
ესპანეთი: კანისარესი, სერხი, ალკორტა, იერო, აგილერა (ეჩებერია 77), დე პედრო (ხემესი 30), ენგონგა, ლუის ენრიკე (ლარდინი 85), რაული (ალვარესი 89), კიკო (მორიენტესი 68), ალკისა
რუსეთი: ოვჩინნიკოვი, მინკო (შმარკო 46), ვარლამოვი (იენინი 56), სემაკი (რადიმოვი 73), ხლესტოვი, მოსტოვოი, იესიპოვი, ონოპკო, კარპინი, ბესჩასტნიხი (ტერიოხინი 60), კირიაკოვი
გაძევება: სერხი (26)

**ბრაზილია 1:1 იუგოსლავია**
0:1 მილოშევიჩი (6), 1:1 კარიოკა (17)
ბრაზილია: ანდრე, კაფუ, კლებერი, ანტონიო კარლოსი, ფილიპი (სერჟინიო 69), ასუნსაო (როჯერი 82), ვამპეტა, კარიოკა (ჯეკსონი 84), რივალდო (კრისტიანი 71), დენილსონი (ალექსი 82), მიულერი
იუგოსლავია: კრალი (ზილიჩი 46), ჯუკიჩი, საკიჩი, ჯოროვიჩი, ნიეგუსი (ნადი 46), გროზდიჩი, იოკანოვიჩი, სტანკოვიჩი (სტარაჩი 88), მიატოვიჩი (ჩურჩიჩი 73), პეტკოვიჩი (ლაზეტიჩი 75), მილოშევიჩი (კოვაჩევიჩი 57)
გაძევება: გროზდიჩი (50)

## ქართველები საბჭოთა ნაკრებში

# მიხეილ მესხი



სერიის მეოთხე წერილი მიხეილ მესხზე იხილეთ მერვე გვერდზე

4



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი „სარბიელში" სტუმრობისას

# ფიფას პრეზიდენტი მხარს უჭერს რამაზ გოგლიძეს

*იოზეფ ბლატერი:* „...ახლა ჩემი ჯერია გისურვოთ წარმატება საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც საქართველოში ოქტომბერში გაიმართება. თქვენი უზარმაზარი სპორტული გამოცდილებით, ღრმა, საფუძვლიანი ცოდნით და ფეხბურთში საქმიანობით თქვენ ამ პოსტისთვის აშკარად სრულყოფილი კანდიდატი ბრძანდებით."

ყველაზე ძნელი ცხოვრებაში სწორი არჩევანის გაკეთებაა. თუკი გზაჯვარედინთან ადამიანი გზას აირჩევს, ამ გზაზე გაუმრუდებლად სიარული ხშირად ძნელი კია, მაგრამ, სამაგიეროდ, გამართლებულია.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობამდე, რომელმაც ქართული ფეხბურთის თავკაცი უნდა აირჩიოს, ერთი თველა დარჩა.

გუშინ „სარბიელის" რედაქციაში გვესტუმრა პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი რამაზ გოგლიძე.

განწყობისთვის, რომ გაჩვენოთ თქვენი გაზეთის მკითხველი ვარო, რამაზ გოგლიძემ „სარბიელის" გამოკითხვის საკუთარი ვარიანტი გვააზლა.

ვიცი, ამან შეიძლება ზოგი მომამდუროს, მაგრამ რა გაეწყობაო.

ბატონი რამაზი არაერთ აქტუალურ საკითხს შეეხო. ისაუბრა ბავშვთა ფეხბურთის, ფეხბურთელთა მიგრაციის, მასობრივი ფეხბურთის, სპორტული ბაზების და ზოგადად საფეხბურთო ინდუსტრიის თაობაზე. ამ ყოველივეზე ბატონ რამაზს თავისი აზრი აქვს. განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმედ მას უცხოელ საფეხბურთო მოღვაწეებთან კონტაქტების მეშვეობით ქართულ ფეხბურთში ინვესტიციების მოზიდვა ესახება.

ვინ მიაჩნია ბატონ რამაზს საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელად, ფეხბურთელად თუ იდეალური ნაკრების წევრობის ღირსად, ამას ერთერთ უახლოეს „სარბიელში" შეიტყობთ. ხვალ კი მასთან ხანგრძლივი, ძალიან საინტერესო საუბრის შესახებ გიამბობთ, რაც ბატონი რამაზის უკეთ გაცნობაში უნდა დაგვეხმაროს.

## სპარტაკი მოკვეთეს

ფაქტი ყველაფერზე მეტყველებს. ფაქტი იმათაც უპასუხებს, ვინც იკითხავს — „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელად სეზონის წინ დანიშნული სპარტაკ არჩვაძე რატომ გაათავისუფლესო. ჩემპიონატის ბოლო ოთხ თამაშში ოთხი მარცხი, დაგვეთანხმებით, თავმოყვარე გუნდისთვის ძალიან ცუდი შედეგია, მით უმეტეს, მწვრთნელისთვის.

22 აგვისტოს მერე ვიტელებს აღარ მოუგიათ, მოუგიათ კი არა, ხომ ვთქვით, ფრეც სანატრელი ჰქონდათ. არადა, პირველ ტურში ბათუმში 1:0 მოგების, „არსენალთან" ფრეს და შინ „იბერიის" განადგურების შემდეგ თითქმის წარმოუდგენელიც იყო, „ვიტ ჯორჯია" ზედიზედ ოთხჯერ თუ დამარცხდებოდა. ჰოდა, ამის მერე მოულოდნელიც არაფერი ყოფილა. გუნდის უფროსობა ვეღარ შეეგუა ასეთ შედეგებს და სპარტაკ არჩვაძე გაათავისუფლა, თუმცა მას კეთილად კი დაშორდნენ და ალბათ ჯამაგირსაც შეუნარჩუნებენ.

რაც შეეხება არჩვაძის მემკვიდრეს, იგი თბილისელი, ადრე თელავის „კახეთში", მოგვიანებით კი ბავშვთა ფეხბურთსა და „კოდაკოში" ნამუშევარი ჯემალ მახარაშვილია, მწვრთნელის თანაშემწის ფუნქციას კი მახარაშვილის მეგობარი, გია ჭყონია შეასრულებს.

**ბობა ინასარიძე**



## ფრაიბურგი მოყვარულებმა იმსხვერპლეს

იაშვილისა და კობიაშვილის „ფრაიბურგი" გერმანიის თასის გათამაშებას გამოეთიშა. დაგვეთანხმებით, მეტად არასასიამოვნო ფაქტია, მაგრამ რას იზამ. ვერც ჩვენ ვიფიქრებდით, რომ ჩვენებურების გუნდს, რომელმაც სეზონი წარმატებით დაიწყო, ვიღაც სამოყვარულო კლუბი „შპორტფროინდე" დაამარცხებდა. დიახ, სწორედ ფრაიბურგიდან 400 კილომეტრის მოცილებით მდებარე ქალაქ ზიგენის მოყვარულებმა იმსხვერპლეს იაშკასა და კობის „ფრაიბურგი".

გუშინ ღამით ზიგენიდან შინ ახალდაბრუნებული იაშკა მოვიხელთეთ, რომელმაც მოულოდნელი მარცხი თავისი გუნდის უსუსურ თამაშს დააბრალა. ბოლო წუთზე იგი მინდვრიდან გაუძევებიათ ორი ყვითელი ბარათის გამო. როგორც იაშკამ გვითხრა, პირველი გაფრთხილება ხელით თამაშისათვის მიუღია, აი, მეორე კი უსამართლოდ ჩათვალა.

„ფრაიბურგს" მთელი მატჩის განმავლობაში ორად ორი მომენტი შეუქმნია, მაგრამ რად გინდა. იაშვილმა მარცხში მსაჯები არ დაადანაშაულა და კვლავ გაგვიმეორა, ყველაფერი ჩვენი ბრალი იყოო.

**ხვიჩა სანიძიძე**

# ცოდვები არ გვასვენებს... წარსულის ცოდვები

მსაჯი ყოველთვის მართალია, თუ ჩასტვინა, მერე კამათი და საქმის გარჩევა ვერ გიშველის, გიჯობს, ბედს შეურიგდე, და შენი სიმართლე შენივე კარგი თამაშით დაამტკიცო. ეს სიტყვები ჯონი ჯანელიძეს ეკუთვნის და ისინი ავჭალაში, „სინათლის" სტადიონზე წარმოითქვა. დღესაც მახსოვს, მაშინ მწვრთნელი თავის ფეხბურთელს ნოტაციას რომ უკითხავდა.

არის კი მსაჯი ყოველთვის მართალი? დადებით პასუხს ამ კითხვაზე არავინ გასცემს, რადგან არბიტრთა უსამართლოდ განსჯის არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

სცოდავენ მსაჯები როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთშიც. ხშირად ისეთებიც ცდებიან, რომლებსაც არც კვალიფიკაცია აკლიათ და არც გამოცდილება. ზოგჯერ ეს შეცდომა უნებლიეა, მსაჯიც ადამიანია და ამქვეყნად შეუცდომელი აბა, ვინ გეგულებათ, მაგრამ ზოგჯერ მსაჯი შეგნებულად ცდება, იცის რა და როდის უნდა გააკეთოს. ასეთებიც არაერთხელ გვიხილავს და თუ ჩვენში მსგავსი ამბები ჯერაც არ „გამსკდარა", მსოფლიო ფეხბურთში ხომ არაერთი ფაქტი გამოაშკარავებულა.

ჩვენს ჩემპიონატში საჯაროდ არ ამბობენ, თორემ, არაერთხელ ყოფილა, ცხელ გულზე ერთმანეთისთვის წამოუძახნიათ, ყველაფერი ვიცით, ვინ სად და როდის, რა და რამდენი აიღოო. არის მერე გაწევ-გამოწევა, გინება და ცხვირპირის მტვრევა.

მართალია, ყველამ ყველაფერი იცის და ამიტომაც არის, ერთმანეთს რომ არ ენდობიან. ყველაფერს ეჭვის თვალით შევცქერით და ამ სენით დაავადებულები წარმოუდგენლად დასაძრახ ნაბიჯებს ვდგამთ.

შორს წასვლა რად გვინდა, ახლახან ქართულ საფეხბურთო სამზარეულოში კარგად ჩახედული და ბევრისმნახველი კაცი მეუბნება, ორი კლუბის პრეზიდენტის საუბარს შევესწარი, რაღაც საქმეზე ბჭობდნენ და კამათობდნენ. საუბარს მორჩნენ, ერთიმეორეს პირზე კოცნით დაშორდნენ და სხვადასხვა მიმართულებით გასწიეს. თითქოს სისულელეს გიყვები, მაგრამ იცი, იმ ორმა რა ქნა? რა და თითოეულს ჯიბეში ჩართული დიქტოფონი ედო, რა თქმა უნდა, თავისთვის გულში ეცინებოდათ, ხომ გამოგიჭირე, შე ბრიყვო, რამდენი დაგაფქვევინეო. მერე კი ძალიან შეწუხდებოდნენ, მაგრამ...

როცა ასეთს მოისმენ, რა ნდობაზეა ლაპარაკი. წარსულის შეცოდებანი ყველასგან ენაზე კბილის დაჭერას მოითხოვს.

ჯანდაბას წარსული, მოდით, აწმყოზე ვიფიქროთ, მომავალი ვაშენოთ, მით უმეტეს, წარსულზე პასუხს არავის სთხოვენ, ისტორიას ჩაბარდა.

მაგრამ დაგვრჩა ეჭვები, რომლებიც მოსვენებას გვიკარგავს. და კიდევ, ჩვენ ჯერაც დილეტანტები ვართ, ნერვებსაყოლილი და ამბიციამოჭარბებული ჩვეულებრივი მოკვდავები დავიარებით და არავინ ცდილობს, პროფესიონალი იყოს, სიტუაცია სალი გონებით შეაფასოს. ბუნებრივია, ასეთი ყოფით ფონს ვერ გავალთ.

საკმაოდ გრძელი შესავლის შემდეგ 20 სექტემბრის მცხეთურ მატჩს დავუბრუნდეთ. „ლოკომოტივი" — „ტორპედოს" შეხვედრას ხომ მძაფრი და არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა.

მაშინ ჩვენ საბოლოო პასუხი არ გაგვიცია წამოჭრილი კითხვებისთვის. უფრო სწორად, სამიდან ორი დაგვრჩა პასუხგაუცემელი — იყო თუ არა თერთმეტმეტრიანი „ლოკომოტივის" კარში დასანიშნი და იდგა თუ არა მარლიშვილი თამაშგარე მდგომარეობაში, როცა ღუდუშაურს საგოლედ უპასა.

ფეხბურთის ფედერაციაში სადაო მომენტები დეტალურად გაარჩიეს. შესაბამისმა კომისიამ მატჩის არბიტრი ოთარ გუნთაძე და თანამსაჯი ზურაბ დოლიძე გაამართლა, ამ შემთხვევაში არცერთი ტყუოდაო.

ვიდეოფირიც ვნახეთ. თუმც მოგახსენებთ, რომ იგი „ლოკომოტივის" ოპერატორის მიერაა გადაღებული და ფედერაციის მიერ მატჩის დამთავრებისთანავე ყადაღადადებული.

ფირზე აშკარადაა აღბეჭდილი ჯინჭარაძის გამჭოლი პასი, რომელსაც ნახევრადზურგშექცევით მდგარი ბალაშვილი ელობება და ბურთი მკლავზე ხვდება. გუნთაძემ სტუმართა მოთხოვნას ყური არ ათხოვა, პენალტის ნაცვლად კუთხური დანიშნა.

სწორად მოიქცა გუნთაძე? თუ წესების მიხედვით ვიმსჯელებთ, მსაჯი მართალია. იქ შავით თეთრზე წერია, თერთმეტმეტრიანი საჯარიმოში ხელით განზრახ თამაშისთვის ინიშნება. თქმა არ უნდა, ბალაშვილს განზრახ ხელით არ უთამაშია, მაგრამ ჩვენს ჩემპიონატში თერთმეტმეტრიანები დანიშნულა, მტრისას, უნახავი და გაუგონარი. ამიტომაც აუმხედრდა ქუთაისელთა ფანობა გუნთაძეს, წეს-რიგი რაღა დღეს შეგიყვარდაო.

მსაჯი მაინც მართალი გამოდგა. გუნთაძის თქმით, პენალტის დანიშვნა „ლოკომოტივის" დაჩაგვრა იქნებოდა.

ახლა იმ გოლზე ვთქვათ, მასპინძლებმა რომ შეაგდეს. ღუდუშაურმა ჯარიმიდან ბურთი ცოცხალ კედელს გაარტყა. იქიდან ასხლეტილი იქვე ლოკომოტიველს უბრუნდება. ამავე დროს სტუმართა დაცვა შეთანხმებულად ცდილობს მასპინძელთა ზურგსუკან დატოვებას და ხელოვნური თამაშგარეს შექმნას. კეთდება დიაგონალური გადაცემა, მარცხნიდან მარჯვნივ, მარლიშვილისკენ. რონინი ბურთს ღებულობს და აშკარად ჩანს, რომ ის საჯარიმოს ხაზს გარეთაა, ხოლო ტორპედოელი მცველი ხაზს შიგნით იმყოფება, მაგრამ საჯარიმოშია ჩარჩენილი გოდერძიშვილი, რომელიც დიაგონალური პასის მომენტში იქიდან გამორბის.

მარლიშვილი საკმაო პაუზას აკეთებს, მერე კი ბურთს შორეულ ძელთან ჰკიდებს და საჯარიმოში დროულად შეჭრილი ღუდუშაური ანგარიშს ათანაბრებს. თუ ამის მიხედვით ვიმსჯელებთ, თანამსაჯი ასპროცენტიანია და მადლობაც ეკუთვნის ასეთი რთული ეპიზოდის სწორად განსჯისთვის, მაგრამ...

თამაშის პერიპეტიების გარჩევისას ჩემი მოკრძალებული აზრი მკითხველს უკვე გავუზიარე, თუმც საბოლოო კომენტარისგან თავი შევიკავე. ახლაც მგონია, რომ მარლიშვილი თამაშგარედ არ იმყოფებოდა. ვიდეოფირის ხილვის შემდეგ კი მაინც ვერ დავიკმაყოფილე ცნობისმოყვარეობა. ფირზე მარლიშვილი მაშინ ჩნდება, როცა მისკენ მქროლავი ბურთი შუა გზაზეა, მაგრამ ის არ ჩანს, სად დგას რონინი, როცა ბურთმა მოძრაობა დაიწყო.

საქმის გამრჩევმა კომისიამ ამ ეპიზოდშიც მსაჯი გაამართლა. ჩვენც არაერთი სპეციალისტი გამოვკითხეთ, რომლებიც მცხეთის „არმაზზე" იმდღევანდელ მატჩს უცქერდნენ. ბევრმა თქვა, გოლი წესების სრული დაცვითაა გატანილიო, ზოგიც, თამაშგარე აშკარად იყოო, ამტკიცებდა.

ქუთაისური კლუბის ხელმძღვანელობას ფედერაციაში საჩივარი არ წარუდგენია, ამიტომ საქმეც დახურულია.

მსაჯი მართალია, არა ყოველთვის, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასე გამოვიდა.

ჩვენში კიდევ არაერთი პენალტი დაინიშნება და არაერთ თამაშგარეს დააფიქსირებენ თანამსაჯები. იქნება სწორი გადაწყვეტილებაც და მიკერძოებულიც. ფეხბურთიც იქნება, მაგრამ საკითხავია, როგორი — პროფესიული თუ დილეტანტური?

ისევ გაუხსენებენ ცოდვებს ერთმანეთს და ისევ ეჭვით შეხედავენ მსაჯის ნებისმიერ გადაწყვეტილებას. ალბათ იმიტომ, რომ ჩვენს ფეხბურთში (გააჩნია რა დოზით) ყველა ცოდვიანია.

**მამუკა ძვანტალიანი**

ეროვნული

# თუ როგორ მოატყუა სფფ-მ მთელი ქართული ფეხბურთი

*ტელეფაქსი*
*სფფ*
*ბატონ დავით კვინიკაძეს*
*გენერალური მდივანი*
*ასლი: ფიფა, პირადად ბატონ მიშელ ცენ-რუფინენს*
*ასლი: „სარბიელი“, „11X11“, „ქართული ფეხბურთი“*
*21 სექტემბერი 1998*
*ფკ მრეტები სფფ-ს წინააღმდეგ*

დიდად პატივცემულო ბატონო გენერალურო მდივანო,

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სფფ-მ 1998 წლის 17 სექტემბერს მოატყუა მთელი ქართული ფეხბურთი (არ მოტყუვდა მხოლოდ გაზეთი „სარბიელი“) და ახლა ფიფა-ს მოტყუებას ცდილობს!

ამდენად, ჩვენ სხვა ალტერნატივა აღარ დაგვრჩა, გარდა იმისა, რომ სფფ-ს წინააღმდეგ ოფიციალურად მივმართოთ ფიფა-ს (ერთვის).

## თუ როგორ მოატყუა სფფ-მ მთელი ქართული ფეხბურთი

სფფ-ს აღმასკომის 17 სექტემბრის სხდომის შემდეგ, პრესამ თითქმის სათანადო პასუხი გასცა სფფ-ს იმის გამო, რომ მან თავისი დადგენილება ვერ შეასრულა და თავისი გასაკეთებელი საქმე ფიფა-ს გადაულოცა და ამას თუნდაც მხოლოდ გაზეთების სათაურები მოწმობენ:

„ჩვენს საქმეს და საქნელს ფიფა იზამს“, „ვაითუ ფიფა-მ დაგვადოს სანქცია, რომელიც ჩვენვე გამოვტყუეთ“, „ნამდვილქართული დომხალი“, „სფფ-მ „დინამოს“ აამა“, „ანდრიაძე მაინც დაიყოლიეს“, „ხელების დაბანაც ასეთი უნდა“, „ეს არ იყო აღმასკომის სხდომა“... „რუბლი ტყუის დოლართან“, „ფედერაციას ფულის დაბრუნება მოუწევს“, „კვინიკაძის თქმით ქართული მენტალიტეტი თბილისის დინამოს „გადაგდებას“ ვერ ეგუება“, „მრეტები-დინამოს“ დავა ფიფა-ს გადაულოცეს“ და ა.შ.

ფკ მრეტები მიესალმება ამ ფაქტს, მაგრამ სამწუხაროდ, პრესის წარმომადგენლებს არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს სხდომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე და ამდენად, პრესა (გარდა „სარბიელისა“) სავსეა სიცრუით, თითქოს სფფ-მ ფკ მრეტების თანხმობით, საკითხი განსახილველ-გადასაწყვეტად გადასცა ფიფა-ს!

არა, მსგავსი არაფერი მომხდარა!

ფიფა-ს სახლში 27 აგვისტოს შეხვედრის შემდეგ, სფფ-მ საგანგებოდ მოამზადა საზოგადოებრივი ცნობიერება, თითქოს საკითხი, როგორც საერთაშორისო ტრანსფერი, ფიფა-ს წინადადებით მასვე გადაეცემოდა განსახილველად და გადასაწყვეტად.

შემდეგ კი სფფ-მ ამ დღესავით ნათელი აზრის სამოსელში გახვია თავისი ბნელი ზრახვები და მას სფფ-ს დადგენილება დაარქვა. აი ეს დადგენილება, რასაც არც ზნეობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია:

სამოქალაქო სასამართლოს 13.07.1998 გადაწყვეტილების საფუძველზე, ბათილად იქნა ცნობილი 11.07.1992 ტრანსფერის კონტრაქტი და შესაბამისად გაუქმდა სფფ-ს 2.01.1997 და 1.09.1997 დადგენილებები.

დიახ, თქვენ ფიფასთვის არ გადაგიციათ საკითხი განსახილველად და გადასაწყვეტად, როგორც ეს, თქვენივე ინფორმაციით, ფიფა-ს სახლში შეხვედრაზე შეათანხმეთ ბატონ ცენ-რუფინენთან და რასაც ფკ მრეტები ითხოვდა სფფ-ს აღმასკომის 17 აგვისტოს სხდომაზე სიტყვიერად თუ წერილობით.

და თქვენ ეს გააკეთეთ იმ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სადაც სფფ-ს წევრი ფკ მრეტები, როგორც მოპასუხე, ვერც გამოცხადდებოდა! იხ. ქვემოთ.

უფრო მეტსაც მოგახსენებთ, სფფ-ს აღმასკომმა სამოქალაქო სასამართლოს 13.07.1998 გადაწყვეტილების საფუძველზე ისე მიიღო თავისი ახალი დადგენილება, რომ სასამართლოს ეს გადაწყვეტილება თვალადაც არ უნახავს!

დიახ, სფფ-მ დაარღვია ფიფას სახლში 27 აგვისტოს მიღწეული შეთანხმება, საკითხი უკან წაართვა ფიფას, კანონდარღვევით განიხილა და კანონდარღვევით გადაწყვიტა იგი!

ამასთანავე, თქვენ წინასწარ იზრუნეთ, რომ 17 სექტემბრის აღმასკომის სხდომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე სიმართლე არ თქმულიყო, რადგან საზოგადოებრივი აზრის შეგეშინდათ! იმ საზოგადოებრივი აზრისა, რომლის საწინააღმდეგოს ასე დაბეჯითებით ამტკიცებდით ფიფას სახლში შეხვედრაზე:

„საქართველოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, „დინამოს“ რომ რაიმე გავუბედოთ, ფედერაციას გადაწვავენო“!

დიახ, თქვენ მოატყუეთ მთელი ქართული ფეხბურთი და შესაბამისადთ მთელი საქართველო, რადგან ეს ერთი და იგივეა!

და ახლა ფიფას მოტყუებას ცდილობთ: „ქართული მენტალიტეტი, ჯერჯერობით, არ არის მზად იმისათვის, რომ „დინამოს“ მეორე ჯგუფში „გადაგდებას“ შეეგუოს. მითი თბილისის „დინამოს“ უძლეველობის შესახებ, ალბათ, მალე დაიმსხვრევა. თუმცა, ერთი რამ ალალად უნდა ითქვას — დღეს სფფ-მ ამის გაკეთება ვერ შეძლო. ამაში გარკვეული წვლილი თქვენც, ჟურნალისტებსაც, მიგიძღვით“.

„რეზონანსი“, 18.09.1998

და პრესაში ბაქიაობთ: „კვინიკაძეს აქვს პრეტენზია, ხმამაღლა განაცხადოს, რომ ის არის საქართველოში ყველაზე გამორჩეული ფიგურა სპორტში. მე ამის პრეტენზია მაქვს. კვინიკაძე არავის შეეკვრება. ამიტომ, ვისაც თავად უნდა, თვითონ შეეკრას კვინიკაძეს“... („სარბიელი“, 18.09.1998).

ამას რას ბრძანებთ, ბატონო გენერალურო მდივანო!

1990 — 1994 წლებში, ცალკე სფფ-ს პრეზიდენტის ბატონი ნოდარ ახალკაცის და ცალკე თქვენი მრავალგზისი თხოვნის მიუხედავად, თქვენ რომ არ „შეგეკარით“, იმიტომაც ვართ ამ დღეში!

სწორედ იმიტომ, თქვენს ნაცვლად ქართულ ფეხბურთს და საერთაშორისო წეს-კანონებს რომ „შეეკარით“, თქვენ (და არა მხოლოდ!) დღემდე საპირწონედ იყენებდით ფკ მრეტებს და გასაგებია, ამ მიზნით, ზოგჯერ კანონით კუთვნილ ცოტაოდენ რამესაც იმეტებდით მისთვის. და ამ მცირედისთვისაც კი ხმამაღალი მადლობა გვითქვამს მრავალგზის. თქვენ ფკ მრეტების შესახებ ხშირად ბრძანებდით: „მთელ ქართულ ფეხბურთში, მხოლოდ „მრეტებზე“ არ სჭრის ჩემი „პროგნოზებიო“. გარწმუნებთ, არც ახლა გაჭრის!

სიმართლე გითხრათ, თქვენი ეს ბოლო ნაბიჯი (სფფ-ს აღმასკომის 17.09.1998 დადგენილება) კარგად ვერ გავიგეთ, რალაც თქვენს სტილში არ ზის.

ვფიქრობთ, ფკ მრეტების პრეზიდენტის თანაშემწის პრესაში გამოქვეყნებულმა წერილმა გაგანაწყენათ. მაგრამ მე ხომ ჯერაც არ წამომიყენებია ჩემი კანდიდატურა? წერილში მხოლოდ ის ეწერა, ვაჟა ჩხაიძის პრეზიდენტობის მსურველები ჩვენ მეტად ნუღარ დაგველაპარაკებით, თავად მას მიმართეთო. და ღირდა ამისთვის მთელი ქართული ფეხბურთის მოტყუება და თავის საფრთხეში ჩაგდება?

ჩემი პრეზიდენტობისათვის დღეს მხოლოდ სამ სიტყვას მოგახსენებთ:

1. ძველის დასანგრევად კი არ მოვალ, არამედ დასაშენებლად. სფფ-ს შესასვლელთან ქართული ფეხბურთის ფუძემდებლების ბიუსტებს დავდგამ:

აღმოსავლეთით — ანდრო ჟორდანიას! დასავლეთით — ბორის პაიჭაძის!

2. სფფ-ს პრეზიდენტსა და ქართული ფეხბურთის ფუნქციონერებს შორის პრეზიდენტის დიქტატი კი არ ჩადგება, როგორც ეს ჩემი მოთხოვნის წინააღმდეგ გადაწყვიტეთ ბატონმა ნოდარ ახალკაცმა და თქვენ 1990 წლის სხდომაზე, არამედ სამართლებრივის პრიმატი, რისი შუქიც ერთნაირად მოეფინება დიდ თბილისის „დინამოს“ და პატარა ქობულეთის „შუქურას“.

(ბატონო გენერალურო მდივანო, სფფ-ს დაფუძნებისთანავე გამართული „დიდი სამეულის“ სხდომა შეგახსენეთ, მხოლოდ ჩვენ სამნი რომ ვესწრებოდით და სადაც, სამწუხაროდ, დიდი ხნით გადაწყდა ქართული ფეხბურთის და ჩემი მომავლის ბედი.)

3. პიროვნული პასუხისმგებლობა.

ბატონო გენერალურო მდივანო, თქვენ არაერთგზის და საჯაროდ გითქვამთ: მთელ ქართულ ფეხბურთში მხოლოდ ერთ კაცს აქვს ჩემი ლანძღვის უფლება და ამ კაცს ვაჟა ჩხაიძე ჰქვიაო! ჰოდა, პირში გეუბნებით, ჩვენ ასე ძალიან გაგვიჭირდება ერთად მუშაობა.

ალიანსი თუ მდომოდა, 1994 წელს ასეთი წინადადება მქონდა: სფფ-ს პრეზიდენტი მე ვიქნებოდი, ბატონი ნოდარ ახალკაცი მხოლოდ ნაკრების საქმეებს მიხედავდა, თქვენ თქვენსავე პოსტზე რჩებოდით. ხომ არაფერი მეშლება ბატონო „გენერალო“? ხომ ეს იყო ქართული ფეხბურთის ბერმუხის სურვილი?

მაგრამ მისი და ჩემი ერთად მუშაობა არ იქნებოდა და გავერიდე...

1994 წელს ჩემი გერმანიაში წამოსვლის წინ მითხრა: „1990 წლიდან ჩემს ყველა წინადადებაზე უარს რომ ამბობ, ხვალ-ზეგ ქართულ ფეხბურთს ვინ უპატრონებს? დაასახელე! იქნებ ის „თქვენი გენერალი“?! ან იქნებ ეს „სვადებნი გენერალი?! იფიქრე ამაზე!“

ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა იყო... 25 იანვარს გარდაიცვალა, ჩემს დაბადების დღეზე...

ჩემი ახალგაზრდობის ერთ პერიოდში, ბერობა მსურდა... არ ინება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II და საერო ცხოვრებაში დამილოცა გზა. ამ გზამ კი მის მიერვე დალოცვილ ქართულ ფეხბურთში მომიყვანა.

ქვეყნის პრეზიდენტი გვერდში თუ დამიდგება?

რატომაც არა, დაბადების დღე ერთი გვაქვს და ლანჩხუთი მისი მამული თუა, ჩემი დედულია და ჩემი გვარიც ლანჩხუთიდან მოდის.

ის კი არა, ბატონ ნოდარ ახალკაცს არ წაართვას მემკვიდრე და თავისად არ გამოაცხადოს.

მაგრამ მე მას წინასწარ ვაფრთხილებ, პოლიტიკაში კი ნამდვილად არ წავალ — ერთ პატარა ლანჩხუთში საქართველოს სამი პრეზიდენტის ძეგლი ნამდვილად ვერ დაეტევა...

ფიფა-ს გასაგონად რატომ ვლაპარაკობ? ქართული ფეხბურთისთვის უმჯობესია ფიფა იცნობდეს ჩვენს პრობლემებს.

## სფფ-ს 17.09.1998 სხდომის დადგენილების სამართლებრივი საფუძვლები

ბატონო გენერალურო მდივანო, სფფ-ს აღმასკომის 17.09.1998 სხდომამ განიხილა და გადაწყვიტა კანონდარღვევით, ვინაიდან:

1. 1998 წლის 17 სექტემბერს არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი სფფ-ს მეირ საკითხის განხილვა-გადასაწყვეტად, რადგან ფიფა-ს 6.07.1998 დირექტივის მიხედვით სფფ-ს მხრივ საკითხის განხილვა-გადაწყვეტის საბოლოო ვადე იყო 31 აგვისტო.

2. 1998 წლის 27 აგვისტოს ფიფა-ს სახლში მიღწეული შეთანხმების თანახმად, საკითხი, სფფ-ს მხრივ განხილვა-გადაწყვეტის გარეშე, სფფ-ს აღმასკომის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე, უნდა გადასცემოდა ფიფა-ს.

3. სფფ-ს საკონფლიქტო საკითხთა კომიტეტის 2.01.1997 და სფფ-ს საგანგებო კომიტეტის (იგივე აღმასკომის) 1.09.1997 დადგენილებების 1998 წლის 17 სექტემბერს და კვლავ სფფ-ში აპელაციაზე დაყენება, პროცედურის თვალსაზრისით, არის ფიფა-სფფ-ს შესაბამისი რეგლამენტების დარღვევა.

4. მით უმეტეს, არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი, რომ სფფ-ს აღმასკომს თავისი ახალი დადგენილება მიეღო იმ სამოქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძლვეზე, სადაც ფკ მრეტები, როგორც მოპასუხე, სფფ-ს შესაბამისი რეგლამენტის და 1.09.1997 დადგენილების საფუძველზე არ გამოცხადდა, რადგან:

ა) სფფ-ს შესაბამისი რეგლამენტის თანახმად, ფეხბურთელის ტრანსფერის საკითხი სფფ-ს პრეროგატივას წარმოადგენს.

ბ) ფკ დინამომ ფკ მტერების და სფფ-ს წინააღმდეგ სამოქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა იმ ტრანსფერის კონტრაქტთან დაკავშირებით, რომელიც გაფორმდა სახელშეკრულებო სამართლის ნორმების გათვალისწინებით და როგორც ეს თავად კონტრაქტშია აღნიშნული — სფფ-ს შესაბამისი რეგლამენტების და დირექტივების საფუძველზე და სფფ-ს უშუალო ზედამხედველობით.

ამდენად, ეს საკითხი სფფ-ს პრეროგატივას წარმოადგენს.

ხოლო სასარჩელო განცხადება სასამართლოში შეტანილ იქნა ერთადერთი მოტივაციით და მოთხოვნით: „გთხოვთ, განიხილოთ წინამდებარე სარჩელი და საქართველოს სს კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლების შესაბამისად ბათილად ცნოთ მოტყუებისა და ცდომილების ზეგავლენით 11.07.1992 კონტრაქტში შეტანილი სადავო მე-3 მუხლი, ამასთან ერთად, გააუქმოთ სადავო მე-3 მუხლზე დაყრდნობით გამოტანილი სფფ-ს საკონფლიქტო საკითხთა კომიტეტის 2.01.1997 დადგენილება.“

ამ კუთხით ეს საკითხი მით უფრო სფფ-ს პრეროგატივას წარმოადგენს.

გ) ფიფა-ს 28.08.1997 დირექტივა პირდაპირ აცხადებს: „ჩვენ კვლავ ხაზს გავუსვამთ, რომ თქვენი ფედერაციის მოვალეობაა, საკითხი გადაჭრათ 2.01.1997 დადგენილების საფუძველზე.“

დ) სფფ-ს 1.09.1997 დადგენილების მე-4 მუხლი წინასწარ აფრთხილებს მხარეებს: „ფკ დინამოს და ფკ მრეტებს ურთიერთშორის საკამათო საკითხების სამოქალაქო სასამართლოსთვის გადაცემა, სფფ-ის წესდების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ჩაეთვლებათ სფფ-ს წესდების უხეშ დარღვევად. ასეთ შემთხვევაში მათ მიმართ გამოყენებული იქნება შესაბამისი დისციპლინარული სანქციები.“

ე) შესაბამისად ფკ დინამოს მიერ დარღვეული იქნა სფფ-ს 1.09.1997 დადგენილების მე-4 მუხლი და ფიფა-ს 28.08.1997 დირექტივა.

ვ) სასამართლოში გამოცხადების საკითხთან დაკავშირებით ფკ მრეტებმა სფფ-ს მიმართა, სადაც სასამართლოში არგამოცხადების სიტყვიერი დირექტივა მიიღო.

ზ) 1998 წლის 19 ივნისს ფკ მრეტებმა წერილობით მიმართა სფფ-ს, რომლის ასლი გაეგზავნა ფიფა-ს. ამ წერილში, ზემოაღნიშნულ მიზეზებზე მითითებით, წერია შემდეგი:

„ამდენად, დღეიდან, ფკ მრეტები ამ სასამართლო პროცესზე, როგორც მოპასუხე, მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოცხადდება, თუ სფფ, ასევე როგორც მოპასუხე, გამოცხადდება ამ სასამართლო პროცესზე — კანონი ერთია ყველასთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფკ დინამოსთან ერთად, ფკ მრეტებიც დაისჯება სფფ-ფიფა-ს მიერ.

დიდად პატივცემულო ბატონო გენერალურო მდივანო, იმ შემთხვევაში, თუ სფფ ფიფა-ს ინსტიტუტის წეს-კანონების და დირექტივების წინააღმდეგ წავა და, ფკ დინამოს დასჯის ნაცვლად, როგორც მოპასუხე, წარსდგება ამ სასამართლოს წინაშე, მაშინ ფკ მრეტები, როგორც მოპასუხე, ჩვენი ადვოკატის საშუალებით წარსდგება ამ სასამართლოს წინაშე.“

თ) ფკ მრეტებს სფფ-სგან არავითარი მითითება არ მიუღია, რომ ფკ მრეტებს ამ სასამართლო პროცესზე თავისი თავი და სფფ-ს დადგენილებები უნდა დაეცვა.

შესაბამისად, ფკ მრეტები, როგორც სფფ-ს სრულუფლებიანი წევრი 1990 წლიდან, როგორც წესი, ყველა დანიშნულ სასამართლო სხდომაზე, არა როგორც მოპასუხე, გამოცხადდა, მაგრამ სფფ სასამართლოს არცერთ სხდომაზე არ გამოცხადებულა. ყველა ეს ფაქტი დაფიქსირებულია სასამართლო 13.07.1998 გადაწყვეტილებაში:

„მოპასუხეები — ფკ მრეტების პრეზიდენტი სხდომას ესწრებოდა, მაგრამ მონაწილეობა არ მიიღო სხდომაზე, ვინაიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები არ გამოცხადდნენ სხდომაზე და განმარტა, რომ მას უფლება არა აქვს სარჩელთან დაკავშირებით აზრი გამოთქვას მათ დაუსწრებლად.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა, მათთვის ცნობილი იყო სხდომის დღე, მათი გამოუცხადებლობით საქმის განხილვა გაჭიანურდა, გამოუცხადებლობა სასამართლომ არასაპატიოდ ჩათვალა და გადაწყვიტა სარჩელის განხილვა მათ დაუსწრებლად“

5. მით უმეტეს, რომ სამოქალაქო სასამართლომ, როგორც ეს 13.07.1998 გადაწყვეტილებიდან ჩანს, 11.07.1992 ტრანსფერის კონტრაქტი ბათილად ცნო და სფფ-ს 2.01.1996 დადგენილება გააუქმა, როგორც სახელშეკრულებო სამართლის, ისე ფიფა-სფფ-ს სამართლებრივი ნორმების დარღვევით. ყოველივე ეს ჩვენ ცხადვყავით ჩვენს მიერ სფფ-ში გაგზავნილ 20.08.1998 წერილში, რომლის ასლიც ფიფა-ს გაეგზავნა.

6. და ბოლოს, 11.07.1992 ტრანსფერის კონტრაქტის საფუძველზე (როგორც უკვე ითქვა, ეს კონტრაქტი გაფორმდა სფფ-ს რეგლამენტების და დირექტივების შესაბამისად და მისივე ზედამხედველობით, ამასთანავე, სფფ-ს შესაბამისი დირექტივას თანხმად, სფფ-მ მიიღო ტრანსფერის თანხის 10%, ხოლო ფეხბურთელმა 20%), აგრეთვე სფფ-ს მიერ გაცემული ცნობების, წერილების, რეკომენდაციების საფუძველზე (№03-07, 12.01.1994. №03-82, 08.04.1994; №02-122, 20.07.1995; №02-275, 12.10.1995; №03-319, 23.12.1996), ფკ მრეტებმა უცხოური ინვესტიციები მიიღო და უცხოელი პარტნიორები მოიზიდა, რის შესახებაც ცნობილია სფფ-სთვის. ეს ცნობები სფფ-ს მიერ გაცემულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-7 მუხლის (რეესტრის საჯაროობა) საფუძველზე და ეს სფფ-ს საერთაშორისო სამართლის წინაშე პასუხისმგებლობას აკისრებს.

დასკვნა: ყველა ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სფფ-ს აღმასკომის 17.09.1998 დადგენილება მიღებულია ფიფა-სფფ-ს სამართლებრივი ნორმების დარღვევით და მას, სამართლებრივი თვალსაზრისით, ძალმოსილება არ გააჩნია.

სფფ ზემოაღნიშნულის გამო პასუხისმგებელი პირია საერთაშორისო სამართლის წინაშე!

## ფიფა თუ გაზეთი „სარბიელი“?

გაზეთი „სარბიელი“, 19.09.1998: „ჟურნალისტებმა ადრე ვიწინასწარმეტყველეთ, რაც მოხდებოდა. აბა, მაშ რას ველოდით?.. ფედერაციამ ყველაფერი გააკეთა, რათა წყლიდან მშრალად ამოსულიყო. საძირკველშერყეული და გაუბედურებული „მრეტების“ წყენინება არჩია, წელგამართული და სახელიანი „დინამოს“ განადგურებას... საბოლოოდაც ძველი ქართული სიბრძნე აღალადდა — დიდ კაცთან პატარა კაცსა, როდის გასვლია მართალი. „მრეტებს“ ჰგონია, რომ ფიფა სამართალს არ დაუკარგავს, მაგრამ ჩვენი აზრით, მხოლოდ იმ ასი ათას რუბლს უნდა დასჯერდეს, რომლის გადახდა მათ სასარგებლოდ ფედერაციას მოუწევს. მოგეხსენებათ, ქინქლაძის ტრანსფერი გაბათილდა, ხოლო ტრანსფერის ღირებულების ათი პროცენტი თავის დროზე ფედერაციამ ჩაიჯიბა. „მრეტები“ მაინც იმედოვნებს, ფიფა-ს შესცქერის თვალებში და განაჩენს ელის.“

კარგია, ადვილად ვერ წაიკითხავ კაცი... მაგრამ ვითომ შეძლებს სფფ ფიფა-ს მოტყუებას?

ფკ მრეტებისთვის საკითხზე ფიფა-ს საბოლოო პოზიცია ჩვენთვის ცნობილია 1997 წლის 26 სექტემბრის ტელეფაქსით: „ფკ მრეტებს. გთხოვთ ცნობად მიიღოთ, რომ ფიფა უზრუნველყოფს ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებული სფფ-ს დადგენილების შესრულებას... ფიფა. მიშელ ცენ-რუფინენი. ასლი: სფფ.“

ამ დღეებში, ზუსტად ერთი წლის თავზე, ფიფა-ში შედგება აღმასკომის სხდომა...

და კიდევ, ბატონი ცენ-რუფინენი ფიფა-ს სახლში 27 აგვისტოს შეხვედრის შესახებ გვწერს: „ამ შეხვედრაზე ფიფა კი არ განიხილავს ამ საკითხს, არამედ მხოლოდ შესთავაზებს სფფ-ს საუკეთესო შესაძლო გზას, რათა საბოლოოდ გადაიჭრას ეს საქმე.“

ვერ დამაჯერებს „სარბიელი“, რომ 27 აგვისტოს ფიფა-ს სახლში ბატონმა ცენ-რუფინენმა საკითხის გადაწყვეტის „საუკეთესო და საბოლოო გზად“ სფფ-ს აღმასკომის 17 სექტემბრის დადგენილება შესთავაზა სფფ-ს!

„მრეტებს“ თავი ქუდში და გული მკერდში აქვს, რადგან ფიფა-ს სამართლის საძირკველზე დგას და მის შესაბამისად მოქმედებს!

ფიფა კი სფფ არ გახლავთ!

და თქვენ ამაში მალე დარწმუნდებით!

ფიფა-ს შესახებ მეც მაქვს ჩემი აზრი და იგი არ ემთხვევა „სარბიელისას“.

პირადად ჩემთვის ფეხბურთი თუ ფიფა იყო და არის მრავალფეროვნების, სიცოცხლის გარანტი დედამიწაზე. ეს ჩემი მშობლიური ფილოსოფიაა...

ჩემის ღრმა რწმენით, ამ იდეას, მომავლის ფიფა-ს მენტალიტეტის თანამედროვე ფეხბურთის ფუნქციონერებს შორის ყველაზე მეტად ბატონი ბლატერი შეეფერებოდა და ამიტომაც ფიფა-ს პრეზიდენტის არჩევნებში ჩემი ფავორიტი გახლდათ.

იგი დაბადებით მოთამაშეა და არც მალავს ამას! ამასთან ფრანგული სტილის მოთამაშეა, როგორც ეს თევზებს (თევზის ზოდიაქოა) სჩვევიათ! ბუნებით დემოკრატი მოთამაშეა და ფეხბურთის მრავალფეროვნებისათვის იღწვის! მართალია, მინდვრის გარეთ თამაშობს (როგორც ყველა თევზს, მასაც უყვარს ამის აღნიშვნა), მაგრამ მაინც დახაზულ მინდორზე თამაშობს (როგორც ყველა მერწყულს, მეც მიყვარს ამის აღნიშვნა)!

რაც მე მისი არჩევის დროს ვინერვიულე... და პირველი კენჭისყრის შედეგების გამოცხადებისთანავე (მეორე აღარ შედგა) მივულოცე პრეზიდენტობა!

ეს მერწყულების ენაა, რომელიც შესანიშნავად ესმით თევზებს!

და ისიც სიამოვნებით მომილოცავდა პრეზიდენტობას!

მაგრამ მე საქართველოს ნაკრების მწვრთნელობისთვის ვემზადებოდი და არა პრეზიდენტობისთვის!

ვნახოთ, ჯერ დრო მაქვს არჩევნის გასაკეთებლად... თუმცა უგანგებოდ არაფერი არ იქნება!

*სპორტული სალმით,*
*ფკ მრეტები*
*ვაჟა ჩხაიძე*
*პრეზიდენტი*

# საუკეთესონი

გუშინ, გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში საფეხბურთო ელიტა შეიყარა. ამ შეხვედრის, რომელსაც უეფას და ფიფას წარმომადგენლები, აგრეთვე ევროპის 23 ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელები ესწრებოდნენ, მთავარი მიზანი ევროპის სიმბოლური ნაკრების შექმნა იყო. თუმცა, ბუნებრივია, იქ დამსწრე მეტად პატივსაცემი საზოგადოება ფრანკფურტს მარტო ამისთვის არ სწვევია. იყო საუბრები პრობლემებზე, ფეხბურთის განვითარებასა და უამრავ სხვაზე. მაგრამ ჩვენ მაინც „ოლ სტარზს" დავუბრუნდეთ, რადგან ყველაზე საინტერესო მაინც, ალბათ, ეს არის.


REUTERS ფოტოქრონიკიდან

ევროპის სიმბოლური ნაკრების შედგენაში დანიელთა თავკაცმა ბო იოჰანსონმა (მარცხნივ) და უეფა-ს ტექნიკურმა დირექტორმა ენდი როქსბურგმაც მიიღეს მონაწილეობა

კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელები ძირითადად წლევანდელ სეზონში, უფრო ზუსტად კი მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგებით და თამაშის ხარისხით შეარჩიეს და რა გასაკვირია, რომ სიმბოლურ ნაკრებში ყველაზე მეტი, ექვსი მოთამაშე სწორედ საფრანგეთის ნაკრებიდან მოხვდა. მწვრთნელებმა მსოფლიოს ჩემპიონთაგან უპირატესობა მიანიჭეს ლილიან ტურამს, მარსელ დესაის, ლორან ბლანს, დიდიე დეშამპს, ემანუელ პეტის და ზინედიან ზიდანს. შემადგენლობაში აგრეთვე მოხვდა ახალგაზრდა ინგლისელი მაიკლ ოუენი, რომელმაც მერვედფინალში არგენტინელებს მართლაც იშვიათი სილამაზის გოლი გაუტანა. მეკარედ ჰოლანდიელი ედვინ ვან დერ სარი დასახელდა, რომელთან ერთადაც სიმბოლურ ნაკრებში მისი ორი თანამემამულე მოხვდა — ედგარ დავიდსი და ფრანკ დე ბური. რაც შეეხება საფრანგეთი 98-ზე ყველაზე დიდი სენსაციის ავტორებს, ხორვატებს, ფრანკფურტის ყრილობამ საუკეთესო თერთმეტ ევროპელში მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი დავორ შუკერი დაასახელა.

ახლა კი გავეცნოთ „ბებერი კონტინენტის" წლევანდელი სიმბოლური ნაკრების ძირითად და სათადარიგო შემადგენლობებს:

ედვინ ვან დერ სარი (ჰოლანდია, აიაქსი), ლილიან ტურამი (საფრანგეთი, პარმა), მარსელ დესაი (საფრანგეთი, ჩელსი), ლორან ბლანი (საფრანგეთი, მარსელი), ფრანკ დე ბური (ჰოლანდია, აიაქსი), დიდიე დეშამპი (საფრანგეთი, იუვენტუსი), ემანუელ პეტი (საფრანგეთი, არსენალი), ედგარ დავიდსი (ჰოლანდია, იუვენტუსი), ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი, იუვენტუსი), მაიკლ ოუენი (ინგლისი, ლივერპული), დავორ შუკერი (ხორვატია, მადრიდის რეალი)

*სათადარიგოები:* პეტერ შმაიხელი (დანია, მანჩესტერ იუნაიტედი), ბიქსენტე ლიზარაზუ (საფრანგეთი, ბაიერნი), სოლ კემპბელი (ინგლისი, ტოტენჰემ ჰოთსფური), ფერნანდო იერო (ესპანეთი, რეალი), პაოლო მალდინი (იტალია, მილანი), რონალდ დე ბური (ჰოლანდია, აიაქსი), რობერტ იარნი (ხორვატია, რეალი), დევიდ ბექემი (ინგლისი, მანჩესტერ იუნაიტედი), ზვონიმირ ბობანი (ხორვატია, მილანი), კრისტიან ვიერი (იტალია, ლაციო), დენის ბერხკამპი (ჰოლანდია, არსენალი)

სუპერლიგა — მომავლის ერთ-ერთი უდიდესი პროექტი და პრობლემა, რომლის გადაჭრასაც უეფა და ლიგის ფუძემდებელი კლუბები აგერ უკვე კარგა ხანია, ცდილობენ. თითქოსდა წყდება გარკვეული საკითხები, მაგრამ საბოლოოდ ისე ჩანს, რომ პრობლემები გადაუჭრები რჩება.

ახლა მორიგი, ვინ მოთვლის მერამდენე საკითხი წამოტივტივდა — იტალიის ჩემპიონატის ლიდერ „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ სუპერლიგის მატჩების ტელეტრანსლაციის უფლებების განაწილების საკითხი დასვა. რატომ დაინტერესდნენ აპენინელები ამ საკითხით? მოგეხსენებათ, კლუბის პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი ამავდროულად ფინინვესტის მმართველია, ეს ორგანიზაცია კი მეოთხე

## დღეს არადა, შეიძლება არც ხვალ

ხელისუფლებაში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს.

— ჩვენ გვაინტერესებს, თუ ვინ განაგებს სუპერლიგის მატჩების ტელეტრანსლაციის ყიდვა-გაყიდვას. „მილანი" მოწადინებულია სუპერლიგასთან წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისის გარდა სხვა სახითაც ითანამშრომლოს. მეტსაც გეტყვით, ჩვენი გუნდი არ მიესალმება იმას, რომ სუპერლიგა მთლიანად უეფას ხელში ექცევა. სუპერლიგაზე გარკვეული გავლენის მოხდენის უფლება მის დამაარსებელ კლუბებსაც, მათ შორის „მილანსაც" უნდა ჰქონდეს. ჩვენ ვიბრძოლებთ ამ უფლების მოსაპოვებლად — განაცხადა ადრიანო გალიანიმ ფინინვესტის მიერ სახელდახელოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე.

„მილანი" მართლაც არის სუპერლიგის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. მეტიც, სანამ უეფა სერიოზულად მოეკიდებოდა ევროპის უძლიერსი კლუბების ცალკე ლიგაში გაერთიანების საკითხს, სილვიო ბერლუსკონი მანამდე მსოფლიო ლიგის შექმნაზე საუბრობდა. მიუხედავად უძლიერესი კლუბების ერთად თავმოყრაში შეტანილი უდიდესი წვლილისა, ძალიან სათუოა, უეფა მილანელებთან მიმართებაში რამე დათმობაზე წავიდეს. თუმცა რას ვბჭობთ? აღდგომა და ხვალეო.

# მატჩი აქ, ფული იქა

ფეხბურთის სამშობლო რომ ინგლისია, ეს საყოველთაოდაა ცნობილი, მაგრამ კუნძულელებს ფეხბურთისთვის ბევრი სხვა სასიკეთო საქმისთვის საუფრიათ საფუძველი. ახლა, თუ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის განცხადებას ვირწმუნებთ, ქვეყანა კიდევ ერთი, ფეხბურთში საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალის, ტელეტრანსლაციების ახლებური სისტემის სამშობლოც გახდება. საქმე ფეიფერვიუს ეხება (ამ ტერმინის ქართული ანალოგი ჯერჯერობით არ მოიძებნება).

თავდაპირველად განვმარტოთ რას ნიშნავს ფეიფერვიუ. დავუშვათ, საკაბელო არხით აჩვენებენ რომელიმე თამაშს, მაგალითისთვის „ლივერპული" — „ჩარლტონის" დაპირისპირებას, ვიღაცას კი ამ დროს სულ სხვა პაექრობის, სიტყვაზე „ბლექბერნი" — „ჩელსის" მატჩის ნახვა სურს. გულშემატკივარი სატელიტურ ტელეკომპანია BSkyB-ის უხდის გარკვეულ თანხას ხუთიდან ათ დოლარამდე და სასურველ თამაშს ნახულობს. ფეიფერვიუს მთელი ხიბლი იმაში მდგომარეობს, რომ ქომაგს საშუალება ეძლევა, სწორედ ის მატჩი იხილოს, ყველაზე მეტად რომელიც აინტერესებს.

ერთი სიტყვით, ინგლისში ფეიფერვიუს სისტემის დანერგვას ცდილობენ, რამდენად გამოუვათ ეს, არავინ იცის. ფაქტია, რომ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაცია გულშემატკივართა კიდევ უფრო დასაინტერესებლად ყველა ღონეს ხმარობს.

— პროექტი შესანიშნავია, მეტიც — ბრწყინვალე. სხვა საქმეა, როგორ განვახორციელებთ მას. ჯერჯერობით სიტუაცია ისეთია, რაიმე პრობლემა არ უნდა შეგვექმნას. დღესდღეობით ინგლისში ფეხბურთის ბუმია, თამაშისადმი ინტერესი ჩვენთან, ფეხბურთის სამშობლოში, მუდამ იყო, მაგრამ ახლა კიდევ უფრო გაღვივდა. ეს საგრძნობლად შეინიშნება. აქედან გამომდინარეობს ჩვენი ინტერესი გულშემატკივარს მაქსიმალური კომფორტი შევუქმნათ. ეს, ცხადია, ხალხისთვისაც კეთდება და შემოსავლის გასაზრდელადაც. ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია შეეცდება, ქვეყანაში ფეიფერვიუს სისტემა დანერგოს — განუცხადა პრესას ზემოხსენებული ორგანიზაციის წარმომადგენელმა რასელ ბრიჯმა.

მომავალი წლის პირველი ექვსი თვე ის პერიოდია, როცა BSkyB-მ ჩანაფიქრი უნდა განახორციელოს, მაგრამ აქ მედიის მაგნატის, რუპერტ მერდოქის ტელეკომპანია პატარა პრობლემას წააწყდა — პრემიერლიგის და ინგლისის სხვა საფეხბურთო ლიგების მატჩების ტელეტრანსლაციის უფლება ასევე გააჩნია არანაკლებ ცნობილ და სახელიან ტელეკომპანია SKY-ის. ფეიფერვიუს შემთხვევაში კი ორხელისუფლებიანობა გამორიცხულია.

— ჩვენ და BSK-ის წარმომადგენლები აუცილებლად შევხვდებით და შევეცდებით, წამოჭრილ საკითხზე შეთანხმებას მივაღწიოთ. ცხადია, ამ საქმეში მონოპოლისტობა ორივეს ინტერესებში შედის, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მატჩების ახლებურად ტრანსლირების უფლება ჩვენც და მათაც ერთდროულად არ გვექნება — BSkyB-ის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ ჯეფრი ჰალმა კიდევ ერთხელ გაფანტა ეჭვები თითქოსდა ტელეკომპანიებს შორის წამოჭრილ პრობლემას გადაჭრა კარგა ხანს არ ეწერა.

არ არსებობს ამქვეყნად სიტუაცია, რომლიდანაც გამოსავალი არ მოიძებნებოდეს. არც ეს შემთხვევაა გამონაკლისი. ცხადია, ფეიფერვიუს სისტემა საკმაოდ მომგებიანია, საქმე ხომ მილიონობით გირვანქას ეხება. აქედან გამომდინარე, ორივე ტელეკომპანიის დაინტერესება დიდია, თუმცა ისიც ნათელია, რომ ფეიფერვიუს უფლებას ორივე ვერ მიიღებს. უახლოეს დღეებში მხარეთა წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდებიან, სიტუაციებს აწონ-დაწონიან და ურთიერთობას გაარკვევენ.

გულშემატკივარი ფეიფერვიუთი ძალიან იხეირებს, ძალიან.

**ირაკლი ილაშვილი**


REUTERS ფოტოქრონიკიდან

*როგორი ფეხბურთელი დადგება 15 წლის თავდამსხმელი ჰარუნა ბაბანგიდა კაცმა არ იცის, მაგრამ ნიჭიერი და ფრიად პერსპექტიული რომ არის, ეს იქიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ მისმა კლუბმა, ესპანურმა „ბარსელონამ" ნუხელ განაცხადა, მისი შეძენის მსურველთ 5,3 მილიონი დოლარი მზად უნდა ჰქონდეთო.*
*ამრიგად, ჰარუნა ბაბანგიდა გახდა ესპანეთის ლიგის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე, კონტრაქტში გამოსყიდვის თანხა რომ უწერია.*
*„ბარსას" ბაბანგიდა ცნობილი აიაქსელი ტიჯანის უმცროსი ძმა გახლავთ.*

# ახალგაზრდა, ნიჭიერი და ძვირფასი

ინგლისელებს ყოველთვის ჰყავდათ ძლიერი მეკარეები. გორდონ ბენქსი, პიტერ შილტონი ანაც იგივე დევიდ სიმენი მსოფლიოს ყველა ნაკრებსა თუ კლუბს დაამშვენებდნენ. ეტყობა, მათ (ინგლისელებს) მეკარეების კარგი სკოლა აქვთ და ძლიერი მწვრთნელებიც ჰყავთ, რადგან, ისტორიას რომ თავი გავანებოთ, ინგლისში დღესდღეობითაც საკმაოდ ბევრი ნიჭიერი და პერსპექტიული გოლკიპერია. ამ წერილში საუბარი ერთ-ერთ მათგანზე გვექნება — მას სტივ სიმონსენი ჰქვია და როგორც ინგლისში ამბობენ, ეროვნული გუნდის კარს უახლოეს მომავალში სწორედ იგი დაიცავს. ამ საუბრებს ზურგს ფაქტებიც უმაგრებს. საქმე ისაა, რომ ქვეყნის პირველ დავიზიონში მოასპარეზე „ტრანმერის" ლივერპულის „ევერტონმა" 3,3 მილიონი გირვანქა (5,5 მილიონი დოლარი) გადაუხადა სიმონსენის სანაცვლოდ და შედეგად იგი 19 წლის ასაკში ბრიტანეთის ყველაზე ძვირადღირებულ მეკარედ იქცა. აქამდე ამ რეკორდის ავტორი ახლა უკვე ცნობილი მეკარე ნაიჯელ მარტინი იყო, რომელიც 1996 წელს 2,25 მილიონ გირვანქად (3,78 მილიონი დოლარი) „კრისტალ პალასიდან" „ლიდს იუნაიტედში" გადავიდა.

ინგლისში სიმონსენის ბრწყინვალე მომავალზე ტყუილად არ ლაპარაკობენ. სულ ახლო წარსულში, გასული სეზონის დასაწყისში, იგი „ტრანმერის" მესამე მეკარედ ითვლებოდა, მაგრამ თავდაუზოგავი ვარჯიშისა და მონდომების შედეგად მან აჯობა თავის ორ კონკურენტს და უკვე წლეულს, იანვარში, რეგულარულად ხვდებოდა სასტარტო შემადგენლობაში. სიმონსენის კარგი თამაში არც ქვეყნის 21 წლამდე ნაკრების ხელმძღვანელობას გამორჩენია მხედველობიდან და მანაც ღირსეულად მოირგო ეროვნული გუნდის მაისური.

პრემიერლიგურ, დიდი ისტორიის მქონე კლუბში გადასვლით გახარებულმა სიმონსენმა პრეზენტაციის შემდგომ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე ბავშვური სილაღით აღნიშნა: „არ მგონია, ამ წუთს ჩემზე ბედნიერი ვინმე იყოს. ამაზე მთელი ცხოვრება ვოცნებობდი და ძალიან მიხარია, რომ ამიერიდან დიდ კლუბებთან და დიდ ფეხბურთელებთან მომიწევს პაექრობა. ვიცი, თავიდან გამიჭირდება, მაგრამ თუ იშრომებ და მოინდომებ, ცხოვრებაში გადაულახავი პრობლემა აღარ შეგექმნება. მეც ამიტომ მაქვს დიდი იმედი, რომ მომავალში თამაშის ხარისხს კიდევ უფრო დავხვეწ, მოკლედ, მეტად ბედნიერი ვარ."

ის, რომ ახალგაზრდა გოლკიპერის გზა „ევერტონში" იავარდით არ იქნება მოფენილი, ახლავე ცხადია. მით უმეტეს, რომ ლივერპულელებს საკმაოდ ძლიერი მეკარე, ნორვეგიელი ტომას მირე ჰყავთ შემადგენლობაში და, ცხადია, კონკურენციის გარეშე იგი ახალბედას ადგილს არ დაუთმობს. სიმონსენმა ამაზეც ისაუბრა, თანაც ჩვეული მოკრძალებით: „რაც ტომასი „ევერტონში" გადმოვიდა, უმაღლეს დონეზე თამაშობს. ამის თვითმხილველი პირადად ვარ. ამიტომაც მგონია, რომ ჯერჯერობით ძირითადში ის იქნება, თუმცა ფარ-ხმალის დაყრას ნამდვილად არ ვაპირებ. აქ სათარიგოთა სკამზე დასაჯდომად ნამდვილად არ ჩამოვსულვარ."

ასეა თუ ისე, „ევერტონის" თავკაცობას 19 წლის სიმონსენის დიდი იმედი აქვს. ყურადღებით აკვირდებიან ნიჭიერ მეკარეს ეროვნული გუნდის მწვრთნელებიც. ინგლისში კი ამბობენ, ეს ბიჭი ლივერპულში დიდხანს არ გაჩერდება, უფრო დიდ კლუბში გადავა და მერე ნახეთ, ინგლისის ნაკრებს რა მაგარი მეკარე ეყოლებაო. ისე ეს მოულოდნელი ნამდვილად არ იქნება — ამ ქვეყანაში ხომ დიდი მეკარეები იბადებოდნენ — ბენქსი, შილტონი, სიმენი...

**დავით ძოწზირიძე**



ფრედერიკ მარიოს (მარჯვნივ) „მეცი“ საშინელ გასაჭირშია

# მეცს რომ ჭირი ეცემა

გასულ სეზონში გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძოდა. ტიტულის მოგებამდე სულ ცოტა დააკლდა. „ლანსმა“ გადაასწრო. წლეულს საქმე სხვაგვარადაა. არა, უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა. პირიქით, გუნდს ჩემპიონატში ასეთი წარუმატებელი სტარტი არასდროს ჰქონია — ექვსი თამაშია, ერთი მოგებაა, ის ვერ მოუპოვებია. ამასთანავე, გოლიც ვერ გაუტანია. ყველაფერ ამას ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე და უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალში ვერმოგებულ სამ მატჩს თუ დავურთავთ, სიტუაცია ნათელი გახდება — „მეცი“ ავადაა.

„მეცის“ უგოლობა საფრანგეთის პირველობაზე აგერ უკვე 540 წუთია გრძელდება. ეს თუნდაც აუტსაიდერი კლუბისთვის საშინელებაა. ამჟამად ექვსი მატჩიდან ოდენ სამი ქულით და ბურთების 0:6 შეფარდებით ქვეყნის ვიცე-ჩემპიონები მე-16 ადგილზე არიან, თან უეფას თასიდან გამოთიშვის საფრთხეც ემუქრებათ — ბელგრადში „ცრვენა ზვეზდასთან“ 1:2 წაგებული მატჩის სასიკეთოდ დასრულება ადვილი ამოცანა სულაც არ გახლავთ.

კლუბის გაჭიანურებული კრიზისის მიზეზი ისიცაა, რომ რამდენი წამყვანი ფეხბურთელი მოისაკლისა — გასული სეზონის შემდეგ „მეცი“ ტურინის „იუვენტუსში“ გადაბარგებულმა ჟოსელინ ბლანშარმა, ასევე აპენინებზე გადახვეწილმა კამერუნელმა მცველმა რიგობერტ სონგმა და მარსელში წასულმა ფლორიან მორისმა დატოვეს. ყველაფერ ამას გუნდის საუკეთესო თავდამსხმელის, ბრუნო როდრიგესის ტრავმაც დაერთო, რომელიც ფორვარდმა ახლახანს მოირჩინა. გუნდიც ამიტომ დასუსტდა.

ბოლო ტურში „მეცი“ „ტულუზს“ მასპინძლობდა. დამხვდურნი ნავსის გატეხვას და გამარჯვებას თუ არა, გოლის გატანას მაინც იმედოვნებდნენ, თან ტრავმამოშუშებული ბრუნო როდრიგესის იმედიც ჰქონდათ.

ერთ მომენტში ქომაგებს თითქოს ოცნება უნდა ასრულებოდათ და ნანატრი გოლი ეხილათ — „მეცს“ პენალტის დარტყმის უფლება ერგო, მაგრამ წინასწარ ნავსის გამტეხად მიჩნეულ როდრიგესს მეკარემ აჯობა...

— ეს საშინელებაა. ყოველი თამაშის წინ იმედიანად ვართ, გვჯერა საკუთარი ძალების, მაგრამ რაღაც მიზეზთა გამო საწადელს ვერ ვაღწევთ. გამარჯვება კი არა, ერთი თვეა, გოლი ვერ გაგვიტანია, ეს თავზარდამცემია. ათასი წვრილმანი გავითვალისწინე, მაგრამ, ეტყობა, რაღაც მაინც მავიწყდება-ხოლმე. მუხლჩაუხრელად ვმუშაობთ, სამწუხაროდ, შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს. იმედია, მორიგ ტურში „ლორიენთან“ ნავსს კი არ გავტეხთ, არამედ დავამსხვრევთ — „მეცის“ მწვრთნელი ჟოელ მიულერი უხასიათოდ საუბრობდა.

კლუბის უშედეგობის გამო ერთი პერიოდი ხმა დაირხა, „მეცი“ ჟან-პიერ პაპენის გადაბირებას ცდილობსო, მაგრამ საქმე საკითხის ოფიციალურ განხილვამდე არ მისულა. გამოითქვა მოსაზრებები, რომ ევროპის 1991 წლის საუკეთესო ფეხბურთელი კლუბს გააძლიერებდა, მაგრამ რადგან საფრანგეთში მოთამაშეთა გადაბირება ზამთრის არდადეგებამდე აკრძალულია, პაპენის შესყიდვაზე ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა. არაა გამორიცხული, „მეცის“ და პაპენის შეხვედრები ზამთარში განახლდეს, მანამდე კი გუნდმა თავი უნდა გაიტანოს.

პირველობის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა.

**ირაკლი ილაშვილი**

# მშვიდობით ანუ შორს წადი

მან ერთ წელიწადში სამი კლუბი გამოცვალა. უფრო სწორად, პირველი გუნდიდან გაუშვეს, მეორიდან წავიდა, ახლა კი კვლავ გაათავისუფლეს.

გასული წლის აგვისტოში მას „კორინტიანსი“ შეელია, აქაოდა, საქმე გუნდში ურთიერთობების გაუარესებისკენ მიდიოდაო. შემდეგ „კრუზეიროდან“ წავიდა — ფეხბურთელებთან საერთო ენა ვერ გამონახა და გუნდთან განშორება ამჯობინა. ახლა, მიუხედავად იმისა, რომ „სან პაულუს“ ქვეყნის ჩემპიონის პირველი ნახევარი ანუ „პაულისტე“ მოაგებინა, მაინც გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

საქმე „სან პაულუს“ აწ უკვე ყოფილ მწვრთნელ ნელსინიოს ეხება. მან შვიდი თვე იმუშავა სანპაულელებთან, ერთი პერიობა შედეგებიც მოუტანა გუნდს, მაგრამ ზაფხულ-შემოდგომის შესაყარზე მისი პოზიციები საგრძნობლად შეირყა.

მოგეხსენებათ, ნიჭიერი გამთამაშებელი დენილსონი „სან პაულუმ“ ესპანურ „ბეტისს“ მიჰყიდა. გუნდის ნახევარდაცვას ხარვეზები უმალ დაეტყო. შემდეგ მეორე შუახაზელი რაი დაიმტვრა, როგორც აღმოჩნდა, მინიმუმ რვა თვე ვერ ითამაშებს ფეხბურთს, წამყვანი ფეხბურთელების მოსაკლისებამ კი „სან პაულუ“ საგრძნობლად დაასუსტა.

ბრაზილიის ჩემპიონატის ბოლო ტურში ნელსინიოს კლუბი „პორტუგეზამ“ 1:7 დაამარცხა. მწვრთნელის გადასაყენებლად ეს სავსებით საკმარისი იყო.

— ჩემთვის არც უთქვამთ, რომ თანამდებობიდან მათავისუფლებდნენ. ორშაბათს (სასტიკი მარცხი მეორე დღეს) კლუბში მივედი და მითხრეს, რომ მათთან აღარ ვმუშაობდი. ეს ჩემთვის თავზარდამცემი იყო, უბრალოდ უტაქტობა გახლდათ — ნელსინიო საშინლად აღშფოთებული იყო.

რაც მოხდა, მოხდა. ჭირვეულმა მწვრთნელმა მესამე გუნდი დატოვა. ეგებ არც უკანასკნელი. ისე, რაც აგვისტოში ბრაზილიის ჩემპიონატის მეორე ნახევარი გაგრძელდა, ნელსინიო მეცხრე სამუშაოდაკარგული მწვრთნელია.

# მას ის უნდა

კვლავ ეილინ დრუივერი — ინგლისის ნაკრების მწვრთნელის გლენ ჰოდლის ფსიქოლოგი ქალის თემა კიდევ ერთხელ წამოტივტივდა.

ამას წინათ ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია სპეციალურად შეხვდა ჰოდლს და ნაკრებში შექმნილ მდგომარეობაზე ესაუბრა. საუბარი ინგლისურ ფეხბურთში საკმაოდ ავტორიტეტულ ქალს ეილინ დრუივერს შეეხო, რომელსაც ჰოდლის რჩევით უამრავი ფეხბურთელი მიმართავს ფსიქოლოგიური კონსულტაციებისთვის. შესაძლოა გახსოვთ კიდეც, ჰოდლმა მსოფლიოს ჩემპიონატიდან გამოთიშვა სწორედ დრუივერის ნაკრებთან არყოფნას დააბრალა.

ასოციაციაში ორგანიზაციის წარმომადგენელმა, კერძოდ კი აღმასრულებელმა დირექტორმა გრემ კელიმ ჰოდლი ალტერნატივის წინაშე დააყენა: ან ნაკრების მწვრთნელის თანამდებობა უნდა დაეტოვებინა, ან მჩხიბავ ქალთან კავშირი გაეწყვიტა.

ასოციაციის მუქარამ ჰოდლი ვერ შეაშინა, პირიქით, ფეხბურთელებს კიდევ ერთხელ მოუწოდა, გაუწონასწორებლობის შემთხვევაში ეილინისთვის მიემართათ. შესაძლოა, ინგლისელთა თავკაცის საქციელი უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ იგი დრუივერმა სასწაულებრივ შესაძლებლობებში ძალიან დაარწმუნა.

...რამდენიმე დღის წინ ლონდონის „არსენალის“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირმა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრებს მიღმა დარჩენილმა იან რაიტმა გაზეთ „სანს“ განუცხადა, მწვრთნელს უჯობს გუნდზე იფიქროს, ვიდრე მავან ქალებზეო.

# რა კარგია ბევრი ფული



ტედი შერინგემი

ინგლისელებს ფულიც აქვთ და ამბიციაც. აგერ, პირველ დივიზიონში გავარდნილი „კრისტალ პალასის“ თავმჯდომარე მარკ გოლდბერგი აცხადებს, რომ არც მეტი, რაც ნაკლები, ნაკრების ვარსკვლავის ტედი შერინგემის ყიდვა სურს.

დახეთ, რა ხდება. „პალასმა“ ბოლო ტურში „ბარნსლისთან“ სტუმრად 0:4 წააგო და შვიდი ტურის შემდეგ შვიდი ქულითაა, მაგრამ მაინც ვარსკვლავებისკენ უჭირავს თვალი.

თავის მხრივ, შერინგემს „მანჩესტერ იუნაიტედში“ უჭირს. იქ მას დიდ კონკურენციასთან უწევს ჭიდილი. მანჩესტერში არიან დუაიტ იორკი, ენდი კოული, ოლე გუნარ სოლსკიაერი და პოლ სქოულზი.

გოლდბერგი იმედოვნებს, რომ ხსენებული კონკურენცია შერინგემის ხელში ჩასაგდებად მის წისქვილზე დაასხამს წყალს. ამბობენ, საამისოდ „პალასის“ თავმჯდომარეს 3,5 მილიონი გირვანქა აქვს გადადებულიო.

— მართალია, ბოლო დროს ვაგებთ და ვაგებთ, მაგრამ შეგუებას არ ვაპირებთ. მდგომარეობა მოქმედებას ითხოვს. მე და ტერი (ვენეიბლზი, „პალასის“ მწვრთნელი), ამ კვირაში კიდევ კარგად შევისწავლით, ვისი ყიდვა შეიძლება. ერთი ვიცით, რომ შერინგემი გვინდა — თქვა გოლდბერგმა.

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიური** „იუვენტუსისა“ და პორტუგალიის ეროვნული გუნდის წევრი მანუელ დიმაში კარიერას თურქეთის ერთ-ერთ სახელოვან კლუბ „ფენერბახჩეში“ გააგრძელებს. თურქული გუნდის დირექტორმა ალი ილდირიმმა პრესაში ასეთი განცხადება გააკეთა: „დიდი იმედი მაქვს, რომ კონტრაქტზე დღეს-ხვალ ხელს მოვაწერთ.“ ფინანსურ საკითხებსა და ხელშეკრულების ვადებზე ილდირიმს სიტყვაც კი არ დასცდენია, თუმც ფულის ნაკლებობას „ფენერბახჩე“ ნამდვილად არ განიცდის. გარდა სხვა შემოსავლებისა, წარსულში გუნდის ერთ-ერთი ლიდერის ავგუსტინ ოკოჩას სანაცვლოდ თურქებმა „პარი სენ ჟერმენისგან“ 17 მილიონი დოლარი მიიღეს. როგორც დიმაშის ახალი კლუბის თავკაცმა იოაკიმ ლოუმ აღნიშნა, ეს თანხა მთლიანად ახალი ფეხბურთელების შეძენასა და უეფას თასის გათამაშებისათვის კლუბის უკეთესად მომზადებას მოხმარდება. შეგახსენებთ, რომ ევროტურნირების პირველ შეხვედრაში „ფენერბახჩემ“ ძალიან ძლიერ მეტოქეს „პარმას“ უმასპინძლა და მოუგო კიდეც 1:0.

**იუგოსლავიის ნაკრებისა და „რეალ სოსიედადის“ თავდამსხმელი დარკო კოვაჩევიჩი ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ოთხ მატჩს გამოტოვებს. ამის მიზეზი დისკვალიფიკაციაა, რომელიც ფეხბურთელის კვირას „მალიორკასთან“ შეხვედრისას მიღებულ წითელ ბარათს მოჰყვა. მაშინ, თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე, გვერდითი მსაჯის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო კოვაჩევიჩი მასთან მიიჭრა და შეურაცხყოფა მიაყენა. შედეგად იგი მინდვრიდან გააძევეს, დისკვალიფიკაციაც მიუსაჯეს, ხოლო „რეალ სოსიედადი“ მაინც დამარცხდა 0:1. „ძალიან ვწუხვარ, რომ ყველაფერი ასე ცუდად გამომივიდა. იმ შეხვედრაში ჩვენ ვაგებდით და, ბუნებრივია, უარყოფითი ემოციებით ვიყავით დამუხტულნი, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა და მეც ნერვები ვეღარ მოვთოკე. სხვათა შორის, ეს ჩემი პირველი გაძევებაა ესპანეთში. გულწრფელად მინდა მოვუბოდიშო როგორც გვერდით მსაჯს, ასევე ჩემს თანაგუნდელებს, რომელთაც უახლოეს მომავალში უჩემოდ მოუწევთ ბრძოლა“ — აღნიშნა მომხდარით მეტად შეწუხებულმა ფორვარდმა ესპანელ ჟურნალისტებთან საუბრისას. რაც შეეხება სანსებასტიანელთა მთავარ მწვრთნელ ლუის ურანგას, მან განაცხადა, რომ ეთანხმება ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებას და დაამატა, ვიმედოვნებ, ამგვარი რამ აღარ განმეორდებაო. დარკო კოვაჩევიჩი კი გასულ სეზონში კლუბის საუკეთესო ბომბარდირი იყო 17 გოლით და ძლიერ დაეხმარა „რეალ სოსიედადს“ ესპანეთის ჩემპიონატში მესამე ადგილის დაკავებაში.**

**ჰოლანდიელი** ფეხბურთელი ვინსტონ ბოგარდი, რომელმაც საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას ერთ-ერთ ვარჯიშზე ფეხი მოიტეხა, თურმე ძალიან სწრაფად გადის აღდგენით პროცესს და ექიმების ვარაუდით წლის ბოლოსთვის ნელნელა ვარჯიშსაც შეუდგება. არადა, თავიდან ხმები დაირხა, „ბარსელონას“ მცველს მინიმუმ 1999 წლის თებერვლამდე მოუწევს მკურნალობა, ისიც თუ ყველაფერი რიგზე იქნებაო. 27 წლის ბოგარდი გუშინ საწვრთნელ ბაზაზე თავის თანაგუნდელებს ეწვია, რის შემდეგაც ჟურნალისტებისთვისაც არ დაიშურა ორიოდ სიტყვა: „მოტეხილობა თითქმის უკვე შემიხორცდა. თავსაც მშვენივრად ვგრძნობ და დღეში 5-6 საათს ჩემთვის, ინდივიდუალურად ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ. ადრე მითხრეს, 7 თვე მაინც დაგჭირდება ჯანმრთელობის აღსადგენადო, მაგრამ ვფიქრობ, ახლო მომავალში მზად ვიქნები, ჩემს კლუბს და ნაკრებს ძველებურად დავეხმარო“ — თქვა ბოგარდმა.

**ხორვატული პრესის ცნობით, ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი კლუბის, დედაქალაქური „კროაციის“ ნახევარმცველის სილვიო მარიჩის მამა თავისი შვილის თაობაზე „მანჩესტერ იუნაიტედთან“ აპირებს მოლაპარაკებების წამოწყებას. კერძოდ, პოპულარული ზაგრებული გაზეთი „ვეჩერნი ლისტ“ წერს: „თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, მაშინ დაახლოებით 15 ოქტომბრისთვის, მარიჩის მამა მანჩესტერს გაემგზავრება, იქ ოთხ დღეს დაჰყოფს და ამ ხნის განმავლობაში ალექს ფერგიუსონსაც შეხვდება.“ თავად ფეხბურთელის მამა სულ სხვა პოზიციაზე დგას: „ვიცი, რომ სილვიოს „კროაციასთან“ კონტრაქტი უმთავრდება, მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად „მანჩესტერ იუნაიტედში“ უნდა გადავიდეს. მოლაპარაკებებს პირველ რიგში ზაგრების გუნდის ხელმძღვანელობასთან გავმართავთ და თუ მათთან საერთო ენას ვერ გამოვნახავთ, მომავალზე და მანჩესტერზე ფიქრს შემდეგ დავიწყებთ.“ მსოფლიოს ჩემპიონატზე მარიჩი თავისი გუნდის შემადგენლობაში ძირითადად შეცვლებზე გადიოდა, მაგრამ ხორვატიაში მას მაინც ნაკრების ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ თვლიან.**

**გერმანული** „შტუტგარტის“ ნახევარმცველი ტორსტენ ლეგატი სავარაუდოდ წლის ბოლომდე ვეღარ ითამაშებს. ამის მიზეზი ქუსლის სერიოზული ტრავმა ყოფილა, რომელიც ფეხბურთელმა გერმანიის ჩემპიონატის ბოლო ტურში მიიღო. „შტუტგარტის“ სამედიცინო პერსონალი ირწმუნება, მკურნალობის ზუსტი ვადების დადგენა ჯერჯერობით ძალიან ძნელია, ახალ წლამდე კი უეჭველად ვერ ითამაშებსო.

**დანიის ფეხბურთის ფედერაციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ამ ქვეყნის ეროვნული გუნდი 1999 წლის თებერვალში ხორვატიის ქალაქ სპლიტში მსოფლიოს ჩემპიონატის მესამეადგილოსან ხორვატიის ნაკრებს ამხანაგურად დაუპირისპირდება. როგორც ფედერაციის წარმომადგენლები ირწმუნებიან, ეს შეხვედრა სავარაუდოდ 10 თებერვალს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ 27 მარტს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში დანიელები მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ იტალიელებს უმასპინძლებენ და ხორვატიის ეროვნულ გუნდთან შეხვედრაც ამ მატჩისათვის მოსამზადებელი ეტაპის ძირითადი ნაწილი იქნება.**

**უნგრეთის** ფეხბურთის მამებმა ეროვნული ჩემპიონატების დროს გახშირებულ ხულიგნობებისა და არეულობების აღსაკვეთად პირველი ნაბიჯი გადადგეს. გუშინ ბუდაპეშტში გამოქვეყნებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ყოველი გულშემატკივარი, ვინც სტადიონზე მივა, იძულებული იქნება, ყელზე დაიკიდოს პირადობის და საქმიანობის აღმნიშვნელი საბუთი და მხოლოდ ამის შემდეგ ექნება უფლება, შევიდეს ტრიბუნებზე და მატჩს უცქიროს. უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის (MLSZ) პრეზიდენტმა ატილა კოვაჩმა ადგილობრივ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა: „გულშემატკივარი სტადიონზე ფეხბურთის საყურებლად და საყვარელი გუნდის მხარდასაჭერად მიდის, ხოლო ბარბაროსები ჩხუბის, ხულიგნობის და დესტაბილიზაციისთვის. ამ უკანასკნელთა პრობლემა ჩვენს წინაშე დღეს და გუშინ არ დამდგარა, ამაზე დიდი ხანია, ვმუშაობთ. საბოლოოდ სწორედ ეს წესი უნდა დავნერგოთ, რადგან მეტის გაკეთება დღესდღეობით შეუძლებელია“. ვანდალიზმის ბოლო ფაქტი ბუდაპეშტში, დედაქალაქური დერბისას დაფიქსირდა, სადაც ერთმანეთს „უიპეშტი“ და „ფერენცვაროში“ ხვდებოდნენ. მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით 2:1 დასრულდა, რასაც „ფერენცვაროშის“ ქომაგთა მხრიდან დიდი აღელვება მოჰყვა — მათ ჯერ სტადიონი დაარბიეს, ხოლო შემდეგ ქალაქში გადაინაცვლეს და იქ ატეხეს ერთი ამბავი. ეს ინციდენტი პოლიციელებთან შეჯახებით დასრულდა. მომხდარის მეორე დღეს ტელევიზორში ნაჩვენებმა არეულობის კადრებმა ხალხი ძლიერ აღაშფოთა, პარლამენტში კი ამ თემას რამდენიმე საათი დაუთმეს. მეტიც, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი ფეხბურთის ფედერაციას საჯაროდ დაჰპირდა, ამ საქმის მოგვარებაში ხელს გაგიმართავთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა E ჯგუფი

## დინამო (კიევი, უკრაინა)

| | |
|---|---|
| დაარსდა | 01.11. 1927 |
| სტადიონი | „რესპუბლიკური“ (100 169) |
| პრეზიდენტი | გრიგორი სურკისი |
| მწვრთნელი | ვალერი ლობანოვსკი |
| კაპიტანი | იური კალიტვინცევი |



| | |
|---|---|
| სსრკ ჩემპიონი (13) | 1961, 66, 67, 68, 71, 74, 74, 75, 77, 80, 81, 85, 86, 90 |
| უკრაინის ჩემპიონი (6) | 1993, 94, 95, 96, 97, 98 |
| სსრკ თასი (9) | 1954, 64, 66, 74, 78, 82, 85, 87, 90 |
| უკრაინის თასი (3) | 1993, 96, 98 |
| ყველაზე მეტი მატჩი | ოლეგ ბლოხინი (432) |
| ყველაზე მეტი გოლი | ოლეგ ბლოხინი (211) |

1975, 86 წლებში თასების თასის მფლობელი

1975 წელს სუპერთასის მფლობელი

**ჩემპიონთა ლიგაში დინამოს თამაშების განრიგი**

| | |
|---|---|
| 30.09 | დინამო - ლანსი |
| 21.10 | არსენალი - დინამო |
| 04.11 | დინამო - არსენალი |
| 25.11 | დინამო - პანათინაიკოსი |
| 09.12 | ლანსი - დინამო |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | ალექსანდრ შოვკოვსკი | მეკარე | 02.01.75 | 191/87 |
| 12. | ვიაჩესლავ ჩერნოზენკო | მეკარე | 04.06.76 | 184/75 |
| 13. | ტარას ლუცენკო | მეკარე | 01.02.74 | 187/77 |
| 2. | ოლეგ ლუჟნი | მცველი | 05.08.68 | 182/77 |
| 4. | ალექსანდრ გოლოვკო | მცველი | 06.01.72 | 185/76 |
| 5. | ვლადისლავ ვაშჩუკი | მცველი | 02.01.75 | 181/73 |
| 6. | იური დმიტრულინი | მცველი | 10.02.75 | 175/71 |
| 7. | კახა კალაძე (საქართველო) | მცველი | 27.02.78 | 186/76 |
| 15. | ალექსანდრ ხაცკევიჩი (ბელარუსი) | მცველი | 19.10.73 | 186/77 |
| 17. | სერგეი ფიოდოროვი | მცველი | 18.02.75 | |
| 23. | ალექსანდრ კირიუხინი | მცველი | 01.10.74 | 180/72 |
| 27. | ანდრეი ნისმაჩნი | მცველი | 28.02.79 | 178/71 |
| 8. | იური კალიტვინცევი | ნახევარმცველი | 05.05.68 | 175/74 |
| 9. | ვიტალი კოსოვსკი | ნახევარმცველი | 11.08.73 | 172/66 |
| 14. | ანდრეი გუსინი | ნახევარმცველი | 11.12.72 | 189/78 |
| 18. | ვასილ კარდაში | ნახევარმცველი | 14.01.73 | 184/73 |
| 19. | დმიტრი მიხაილენკო | ნახევარმცველი | 13.07.73 | 188/83 |
| 24. | ვალენტინ ბელკევიჩი (ბელარუსი) | ნახევარმცველი | 27.01.73 | 180/73 |
| 25. | ოლეგ ვენგლინსკი | ნახევარმცველი | | |
| 26. | დენის ონიშჩენკო | ნახევარმცველი | 15.09.78 | 182/70 |
| 3. | ალექსეი გერასიმენკო (რუსეთი) | თავდამსხმელი | 17.12.70 | |
| 10. | ანდრეი შევჩენკო | თავდამსხმელი | 29.09.76 | 183/73 |
| 11. | სერგეი რებროვი | თავდამსხმელი | 03.06.74 | 171/60 |
| 16. | ალექსანდრ რადჩენკო | თავდამსხმელი | 19.07.76 | 176/69 |
| 20. | ვლადიმირ მაკოვსკი (ბელარუსი) | თავდამსხმელი | 23.04.77 | 186/79 |
| 22. | სერგეი კონოვალოვი | თავდამსხმელი | 01.03.72 | 180/75 |
| 28. | ბოგდან იესპი | თავდამსხმელი | 02.08.78 | |
| 29. | ალექსანდრ კოსირინი | თავდამსხმელი | 18.09.77 | |

## პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი)

| | |
|---|---|
| დაარსდა | 01.01.1908 |
| სტადიონი | „სპიროს ლოუსი“ (74 433) |
| პრეზიდენტი | გიორგოს ვარდინოიანისი |
| მწვრთნელი | ვასილის დანიელი |
| კაპიტანი | კრშიშტოფ ვარჟიხა |



| | |
|---|---|
| ქვეყნის ჩემპიონი (18) | 1930, 49, 53, 60, 61, 62, 64, 65, 69, 70, 72, 77, 84, 86, 90, 91, 95, 96 |
| თასის მფლობელი (15) | 1940, 48, 55, 67, 69, 77, 82, 84 86, 88, 89, 91, 93, 94, 95 |
| ყველაზე მეტი მატჩი | დიმიტრის დომაზოსი (501) |
| ყველაზე მეტი გოლი | კრშიშტოფ ვარჟიხა (201) |

1971 წელს ჩემპიონთა თასის ფინალისტი

**ჩემპიონთა ლიგაში პანათინაიკოსის თამაშების განრიგი**

| | |
|---|---|
| 30.09 | არსენალი - პანათინაიკოსი |
| 21.10 | ლანსი - პანათინაიკოსი |
| 04.11 | პანათინაიკოსი - ლანსი |
| 25.11 | დინამო - პანათინაიკოსი |
| 09.12 | პანათინაიკოსი - არსენალი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | იოზეფ ვანძიკი (პოლონეთი) | მეკარე | 13.08.63 | 196/97 |
| 20. | ანტონის ნიკოპოლიდისი | მეკარე | 14.01.71 | 187/88 |
| 22. | კოსტას ჩალკასი | მეკარე | 30.05.74 | 199/97 |
| 25. | სტეფანოს კოტსოლისი | მეკარე | 06.05.79 | 190/80 |
| 2. | სტრატოს აპოსტოლაკისი | მცველი | 11.05.64 | 171/74 |
| 3. | თეოფილაქტოს ნიკოლაიდისი | მცველი | 21.07.73 | 178/73 |
| 4. | გიორგიოს ალექსოპულოსი | მცველი | 07.02.77 | 185/77 |
| 5. | ვლადან მილოევიჩი (იუგოსლავია) | მცველი | 09.03.70 | 182/79 |
| 6. | ათანასიოს კოლიციდაკისი | მცველი | 20.11.66 | 181/79 |
| 8. | იოანის გუმასი | მცველი | 24.05.75 | 184/76 |
| 14. | ლეონიდას ვოკოლოსი | მცველი | 31.08.70 | 192/82 |
| 17. | გიორგიოს გეორგიადისი | მცველი | 30.01.71 | 185/80 |
| 23. | კოსტას კიასოსი | მცველი | 13.12.75 | 170/66 |
| 7. | ალიოშა ასანოვიჩი (ხორვატია) | ნახევარმცველი | 14.12.65 | 186/82 |
| 11. | ანდრეას ლაგონიკაკისი | ნახევარმცველი | 04.06.72 | 176/75 |
| 12. | ერიკ მიუკლანდი (ნორვეგია) | ნახევარმცველი | 21.07.71 | 170/62 |
| 18. | კოსტას კოსტანტინიდისი | ნახევარმცველი | 31.08.72 | 188/82 |
| 19. | ბლედარ კოლა (ალბანეთი) | ნახევარმცველი | 01.08.72 | 182/81 |
| 21. | ნიკოს ლიბეროპულოსი | ნახევარმცველი | 04.08.75 | 186/79 |
| 26. | გიორგიოს კარაგიანისი | ნახევარმცველი | 06.03.77 | 176/74 |
| 27. | გიორგიოს სიმოსი | ნახევარმცველი | 29.03.78 | 178/67 |
| 9. | კრშიშტოფ ვარჟიხა (პოლონეთი) | თავდამსხმელი | 17.11.64 | 176/75 |
| 10. | ალექსანდროს ალექსუდისი | თავდამსხმელი | 20.06.72 | 182/71 |
| 13. | იგორ სიპნიევსკი (პოლონეთი) | თავდამსხმელი | 10.11.75 | 185/76 |
| 15. | ანგელოს ბასინასი | თავდამსხმელი | 04.01.76 | 180/76 |
| 16. | ფრანკ სტრანდლი (ნორვეგია) | თავდამსხმელი | 16.05.72 | 186/87 |
| 24. | მაურო კარლოს პერეირა და სილვა (ბრაზილია) | თავდამსხმელი | 10.08.78 | 171/66 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამო პანათინაიკოსი არსენალი ლანსი

CHAMPIONS LEAGUE

## არსენალი (ლონდონი, ინგლისი)

| | |
|---|---|
| დაარსდა | 01.01.1886 |
| სტადიონი | „ჰაიბერი“ (38 500) |
| პრეზიდენტი | სერ რობერტ ბელინგერი |
| მწვრთნელი | არსენ ვენგერი (საფრანგეთი) |
| კაპიტანი | ტონი ადამსი |




| | |
|---|---|
| ქვეყნის ჩემპიონი (11) | 1931, 33, 34, 35, 38, 48, 53, 71, 89, 91, 98 |
| თასის მფლობელი (7) | 1930, 36, 50, 71, 79, 93, 98 |
| ლიგის თასის მფლობელი (2) | 1987, 93 |
| ყველაზე მეტი მატჩი | დევიდ ო'ლირი (722) |
| ყველაზე მეტი გოლი | იან რაიტი (185) |

1994 წელს თასების თასის მფლობელი

1980, 95 წლებში თასების თასის ფინალისტი

1970 წელს ბაზრობათა თასის (ახლანდელი უეფას თასის) მფლობელი

| ჩემპიონთა ლიგაში არსენალის თამაშების განრიგი | |
|---|---|
| 30.09 | არსენალი-პანათინაიკოსი |
| 21.10 | არსენალი-დინამო |
| 04.11 | დინამო-არსენალი |
| 25.11 | არსენალი-ლანსი |
| 09.12 | პანათინაიკოსი-არსენალი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | დევიდ სიმენი | მეკარე | 19.09.63 | 191/93 |
| 13. | ალექს მანინგერი (ავსტრია) | მეკარე | 04.06.77 | 187/83 |
| 24. | ჯონ ლუკიჩი (ავსტრალია) | მეკარე | 11.12.60 | 194/88 |
| 2. | ლი დიქსონი | მცველი | 17.03.64 | 175/73 |
| 3. | ნაიჯელ უინტენბერნი | მცველი | 11.12.63 | 173/72 |
| 5. | სტივ ბოულდი | მცველი | 16.11.62 | 193/90 |
| 6. | ტონი ადამსი | მცველი | 10.10.66 | 190/88 |
| 7. | ნელსონ ვივასი (არგენტინა) | მცველი | 18.10.69 | 170/65 |
| 14. | მარტინ კიოუნი | მცველი | 24.07.66 | 186/78 |
| 18. | ჟილ გრიმანდი (საფრანგეთი) | მცველი | 11.11.70 | 180/75 |
| 19. | რემი გარდე (საფრანგეთი) | მცველი | 03.04.66 | 175/72 |
| 20. | მეტიუ აპსონი | მცველი | 18.04.79 | 186/72 |
| 22. | დევიდ გროდინი | მცველი | 08.05.80 | |
| 26. | ჯეისონ ქროუ | მცველი | 30.09.78 | 175/67 |
| 4. | პატრიკ ვიეირა (საფრანგეთი) | ნახევარმცველი | 23.06.76 | 191/82 |
| 15. | რეი პარლოუ | ნახევარმცველი | 07.03.73 | 179/75 |
| 16. | სტეფან ჰიუზი | ნახევარმცველი | 18.09.76 | 182/76 |
| 17. | ემანუელ პეტი (საფრანგეთი) | ნახევარმცველი | 22.09.70 | 185/79 |
| 23. | ალბერტო მენდესი (პორტუგალია) | ნახევარმცველი | 24.10.74 | 180/74 |
| 27. | ჯემი დეი | ნახევარმცველი | 13.09.79 | 170/68 |
| 29. | პაოლო ვერნაცა (იტალია) | ნახევარმცველი | 01.11.79 | |
| 8. | მაიკლ ბლექი | თავდამსხმელი | 06.10.76 | 173/73 |
| 9. | ნიკოლა ანელკა (საფრანგეთი) | თავდამსხმელი | 14.03.79 | 184/77 |
| 10. | დენის ბერხკამპი (ჰოლანდია) | თავდამსხმელი | 15.05.69 | 185/80 |
| 11. | მარკ ოვერმარსი (ჰოლანდია) | თავდამსხმელი | 29.03.73 | 174/72 |
| 12. | კრისტოფერ ვრე (ლიბერია) | თავდამსხმელი | 14.05.75 | 181/73 |
| 21. | ლუიშ ბოა მორტე პერეირა (პორტუგალია) | თავდამსხმელი | 04.08.77 | 178/72 |

## ლანსი (ლანსი, საფრანგეთი)

| | |
|---|---|
| დაარსდა | 01.01.1906 |
| სტადიონი | „ფელიქს ბოლერი“ (42 000) |
| პრეზიდენტი | ჟერვის მარტელი |
| მწვრთნელი | დანიელ ლეკრერკი |
| კაპიტანი | ფრედერიკ დეუ |



| | |
|---|---|
| ქვეყნის ჩემპიონი (1) | 1998 |
| ყველაზე მეტი მატჩი | პლაჩეკი (377) |
| ყველაზე მეტი გოლი | აჰმედ ოუჯანი |
| | მარიან ვიშნიესკი (93) |

| ჩემპიონთა ლიგაში ლანსის თამაშების განრიგი | | | |
|---|---|---|---|
| 30.09 | დინამო - ლანსი | 25.11 | არსენალი - ლანსი |
| 21.10 | ლანსი - პანათინაიკოსი | 09.12 | ლანსი - დინამო |
| 04.11 | პანათინაიკოსი - ლანსი | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | ჟილომ ვარმუზი | მეკარე | 10.08.70 | 186/83 |
| 16. | კრისტოფ მარიჩეზი | მეკარე | 12.12.74 | 182/75 |
| 30. | სედრიკ ბერტელინი | მეკარე | 25.12.76 | 190/85 |
| 2. | ერიკ სიკორა | მცველი | 04.02.68 | 182/75 |
| 3. | იოან ლაშური | მცველი | 17.01.76 | 187/80 |
| 4. | სირილ მაგნირი | მცველი | 24.08.69 | 186/81 |
| 9. | ალექს ნიარკო (განა) | მცველი | 15.10.73 | 185/78 |
| 13. | ფრედერიკ დეუ | მცველი | 01.12.72 | 187/80 |
| 22. | ქსავიერ მერიდი | მცველი | 09.01.75 | 185/81 |
| 23. | სედრიკ ვერნერი | მცველი | 13.01.75 | 186/78 |
| 24. | ჟოზე კარლ პიერ ფანფანი | მცველი | 26.07.75 | 187/84 |
| 5. | ერნსტ ეტჩი ობენი (კამერუნი) | ნახევარმცველი | 04.06.75 | 190/85 |
| 6. | სირილ როული | ნახევარმცველი | 15.04.75 | 178/74 |
| 7. | მიქაელ დებუვი | ნახევარმცველი | 01.12.70 | 182/80 |
| 10. | დანიელ მორეირა | ნახევარმცველი | 08.08.77 | 181/75 |
| 12. | ვაგნეი ელოი | ნახევარმცველი | 11.09.73 | 185/78 |
| 14. | უილსონ ორუმა (ნიგერია) | ნახევარმცველი | 30.12.76 | 176/74 |
| 17. | მარკ ვივიენ ფოე (კამერუნი) | ნახევარმცველი | 01.05.75 | 190/85 |
| 20. | ერნსტ ესომბე (კამერუნი) | ნახევარმცველი | 22.09.80 | 186/80 |
| 28. | სირილ ჩარტონი | ნახევარმცველი | 09.09.76 | 172/68 |
| 8. | სტეფან დალმატი | თავდამსხმელი | 16.02.79 | 186/80 |
| 11. | ტონი ვაირელსი | თავდამსხმელი | 10.04.73 | 187/80 |
| 18. | ფილიპ ბრუნელი | თავდამსხმელი | 28.02.73 | 177/72 |
| 19. | ვლადიმირ შმიცერი (ჩეხეთი) | თავდამსხმელი | 24.05.73 | 180/71 |
| 21. | პასკალ ნუმა | თავდამსხმელი | 06.01.72 | 190/88 |
| 26. | აბუბაქარ სანხერი | თავდამსხმელი | 17.01.78 | |
| 27. | პეპ სიოდ დიუპი | თავდამსხმელი | 12.01.79 | |

## ქართველები საბჭოთა ნაკრებში

# მიხეილ მესხი

4



სკოლიდან დაბურნებული პატარები ბურთს აგორებენ. ზოგი იტალიის ნაკრების მაისურშია გამოწყობილი, ზოგიც ბრაზილიელია, ზოგი ზიდანია, უმეტესობა დელ პიერო, ბაჯო, რონალდო. უნებურად მახსენდება ჩემი ბავშვობა, როდესაც ჩვენ მაისურებს სალებავით ჩვენივე ხელით დაწერილი ნომრები ამშვენებდა, მაგრამ თითქმის ყველა ქართველ ფეხბურთელებთა უცილობელი თაყვანისმცემლები ვიყავით. ჩვენი პატარა ფანტაზიით ჩვენს კერპებს ისეთ რამეებს ვაკეთებინებდით მწვანე მინდორზე რომლის მსგავსიც თვით პელესაც შეშურდებოდა. ჩვენც გვყავდნენ ჩვენი პაიჭაძეები, ლოლობერიძეები, მესხები, მეტრეველები, დარასელიები, ყიფიანები, სულაქველიძეები, შენგელიები. მაყურებელიც ბევრი გვყავდა, ახლო-მახლო აივნებიდან, ზოგიც მოედანთან ფეხზე მდგარი გვიყურებდა, არ იყვნენ ჟურნალისტები, რომლებიც ჩვენს თამაშს გააშუქებდნენ, არ გვყავდა მწვრთნელი, რომელიც დარიგებას მოგვცემდა. ჩვენვე ვაკეთებდით დროულ შეცვლას, რაც მოწინაალმდეგე გუნდში აყალმაყალს, ხოლო ჩვენი გუნდიდან გაგდებულის უკმაყოფილებას იწვევდა. ვთამაშობდით დაბნელებამდე ან რომელიმე მეზობლის შუშის ჩაფშვნამდე.

— იყო!

— არ იყო!

— ჯარიმაა!

— ქილკა ხარ!

— პასი!

— გეყოფა, ბიჭო, მატაობა!

ეს ამბავი ყოველ საღამოს მეორდებოდა ჩვენთან.

ქართველი კაცის ბუნებაში გასაკუთრებული ადგილი უჭირავს ფეხბურთს და მის ლეგენდებს. ვარსკვლავების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, მაგრამ მათ შორისაც იყვნენ ისეთები, რომლებსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ამ მშვენიერი თამაშის თაყვანისმცემელთა გულებში. ერთ-ერთი ასეთი გახლავთ 1964 წლის ოქროს გუნდის „გული და სული“, მისი მშვენება, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, აუწონავი მარგალიტი, ფინტების მეფე — მიხეილ მესხი. თვით ბრაზილიაშიც ვერავინ გაიხსენებს, რომ ერთი კაცის სანახავად ევლოს გულშემატკივარს და უფრო მეტიც, შესვენების დროს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ან პირიქით — გააჩნია, პირველ ტაიმს საით ითამაშებდა მესხი, ტრიბუნაზე ერბინოს, რათა უფრო ახლოს ენახათ თავიანთი კერპი.

მიხეილ მესხი დაიბადა 1937 წელს თბილისში. შვიდი წლის მიშა მეთხუთმეტე სკოლაში შეიყვანეს, სადაც იგი სკოლის გუნდის უცვლელი წევრი იყო. ფეხბურთთან ერთად სპორტის თითქმის ყველა სახეობას მისდევდა — სირბილს, კრივს, ჭიდაობას. კაცმა რომ თქვას, კაცის ცუდი როგორ უნდა გაგიხარდეს, მაგრამ წლების შემდეგ ბევრი გაღიმებული იტყვის, კიდევ კარგი, მიშამ მკლავი იღრძო, თორემ რას დაკარგავდა ქართული ფეხბურთიო, გაფიქრებაც კი არ უნდათ მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს. 1953 წელს არჩილ კიკნაძის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრების წევრი პირველად ეწვია მოსკოვს, სადაც განსაკუთრებული პეწითა და ყველასგან გამორჩეული მაღალი ტექნიკით მიიპყრო ყველას ყურადღება. ეს ის წელია, როდესაც თბილისის „დინამოს“ ოქროს მედლები მოპარეს, დიახ, მოპარეს. რა იცოდნენ მაშინ, რომ მიშა და მისი გუნდელები მაინც წამოიღებდნენ თავიანთ ოქროს თბილისში. თვრამეტი წლის მიშა თბილისის „დინამოში“ ჩაირიცხა და იმავე წლის 7 ივლისს პირველად მოირგო თბილისის „დინამოს“ საოცნებო მაისური.

ახალგაზრდა ფეხბურთელს თამაშის წინ სჭირდება მხარდაჭერა, თბილი სიტყვა. პირველად, ვინც მივიდა მასთან, მეგობრულად ხელი გადახვია, დაამშვიდა, თავის თავში რწმენა აღუდგინა, იყო ქართული ფეხბურთის მშვენება, მისი სინდისნამუსი, მრავალბრძოლანანახი ბასა ლოლობერიძე. მიშამაც საპასუხოდ ისეთი პასი გაუკეთა, რომელიც გოლით დააგვირგვინა ბასამ, რომ გამოცდილ ფეხბურთელსაც კი შეშურდებოდა. იმ სეზონში მეორედ „სპარტაკთან“ ითამაშა. ერთ-ერთი შეტაკების დროს მან მუხლი დაიზიანა, მაგრამ დაძალა, ნატკენი ფეხით გააგრძელა თამაში და იმ მატჩში ერთ-ერთი გამოკვეთილი ფიგურა გახდა. ყველამ დაინახა, რომ ქართულ ფეხბურთს ახალი ვარსკვლავი შეემატა. იწყებოდა მესხის აღმასვლა, მაგრამ სანამ აღმასვლა დაიწყებოდა, როგორც არაპერსპექტიულებს, შოთა იამანიძეს და მიხეილ მესხს, გუნდიდან ითხოვდნენ. მაგრამ ვოვა ელოშვილის და ავთანდილ ჭკუასელის თხოვნით, გუნდში დატოვეს. თუ ვინმეს უნდა ემადლიერებოდნენ მესხისტები, ისევ ვოვა ელოშვილს.

მიშა კვლავ გუნდშია. იგი „დინამოს“ შემადგენლობაში მიემგზავრება ბულგარეთში, სადაც ვოვა ელოშვილის წინაალმდეგ გამოიყენეს მეტად უჩვეულო და ძალზე ეფექტური ფინტი. მიშამ და ვოვამ მეორე დღესვე შეეცადნენ აღედგინათ ფინტი. მესხმა შემთხვევით ბურთი ისე არ გამოიყენა, როგორც ვოვა ელოშვილი ურჩევდა, ეფექტი მოულოდნელი აღმოჩნდა. შემდეგ დილომში საათობით ამუშავებდნენ.

— ფინტებს შორის განსხვავება ის იყო, რომ ბულგარელმა ადგილზე გამიკეთა, მესხი კი მოძრაობისას ასრულებდა. მახსოვს, კიევში ადგილობრივ „დინამოს“ ვეთამაშებოდით. იმ დროს ვოინოვის რეპუტაცია ძალიან მაღალი იყო და მიშამ თავის საყვარელი ფინტი ამ თამაშში გამოიყენა. მაყურებელი აღფრთოვანებული დარჩა. თამაშის შემდეგ გაოცებულმა და აღშფოთებულმა ვოინოვმა მითხრა, ეს რა მიქნა ამ კაცმა, აწი კიევში აღარ გამომესვლებაო. მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცოდა ეს ფინტი, მოწინააღმდეგე გუნდის მცველები ათასჯერ ატრიალებდნენ კინოფირს, მაგრამ ძალზე ცოტამ თუ მოახერხა მის წინააღმდეგ ღირსეულად თამაში. — იხსენებს ვოვა ელოშვილი.

თბილისის „დინამოში“ დაწყებული თაობათა ცვლა, ცხადია გუნდს დაეტყო, მაგრამ უიღბლო სეზონის მიუხედავად ყველა ხვდებოდა, რომ „დინამო“ მოწინავე პოზიციებს მალე დაიბრუნებდა, რაც ყველაზე კარგად ჩანდა სათასო მატჩებში. მიხეილ მესხი 1959 წელს ხვდება საბჭოთა კავშირის ნაკრებში. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ საბჭოელებს ქართველი გულზე არ ეხატებოდათ, ე.ი. მიშა ყველა სხვაზე ათი თავით ძლიერი იყო, მისი დებიუტი ჩეხებთან იღბლიანი გამოდგა. მან დააწიოკა სტუმართა დაცვა. თვითონაც გაიტანა და სხვასაც გაატანინა. მატჩის დაწყებიდან მცირე დრო იყო გასული, მაყურებელმა დააფასა მისი ტალანტი, ხოლო თამაშის ბოლოს იგი უკვე მათი კერპი იყო. ისინი ფეხზე წამომდგარნი ტაშის გრიალში აცილებდნენ ხალასი ნიჭის, უხადო ტექნიკის და განუმეორებელი ფინტების ფეხბურთელს. მესხი ნაკრებში თამაშს აღმავლობით იწყებდა. ამის მერე „დინამოს“ ჰქონდა ტურნე საფრანგეთში. სწორედ იმ ქვეყანაში, ვისი ავტორიტეტიც მაშინდელ ევროპაში საკმაოდ დიდი იყო. ტურნემ წარმატებით ჩაიარა. „დინამომ“ აჩვენა გააზრებული, კომბინაციური, დინამიური ფეხბურთი, ხოლო მისმა მარცხენა გარემარბმა განსაკუთრებით შეაყვარა თავი ფრანგ გულშემატკივრებს, რომლებმაც კიდევ ერთხელ იხილეს განუმეორებელი მიხეილ მესხი ევროპის თასის ფინალში.

„პარკ დე პრენსის“ სტადიონი გადაჭედილია. აქ ახსოვთ მესხი, რომლისგან კვლავ სასწაულებს ელიან. მიშა არ აწბილებს მათ, მატჩი დრამატულად მიმდინარეობს. მესხი და მეტრეველი შეუდარებლები არიან, მათი შეჩერება შეუძლებელია. განსაკუთრებით აქტიურობს მარცხენა ფრთა. დამატებით დროის უკანასკნელ წუთებზე მესხი გადის ფრთაზე, აწვდის ბურთს გარისკენ და პონედელნიკს მაღალ ნახტომში გააქვს გადამწყვეტი გოლი. გაზეთ „ეკიპის“ მიმომხილველთა აზრით, მართალია, გოლი პონედელნიკმა გაიტანა, მაგრამ ისინი მესხის და მეტრეველის თამაშით არიან აღფრთოვანებულნი.

ვისაც სურს ნახოს ცოცხალი მესხი, ყველანი სტადიონზე — ეს არ იყო იაფფასიანი რეკლამა. ეს იყო მისი ნიჭისა და ტალანტის კიდევ ერთი დაფასება. ყველგან, მთელს საბჭოთა კავშირში ასე იყო, სადაც კი უნახავთ ჩვენი მარცხენა გარემარბი. მის წინააღმდეგ ყველანაირ ხერხს მიმართავდნენ, მაგრამ მისი შეჩერება შეუძლებელი იყო. 1960 წელს დაუვიწყარი ფინალი „დინამომ“ წააგო, მაგრამ პირველად თასის გათამაშების მთელ 24 წლიან ისტორიაში ყველამ აღიარა, რომ თამაში კი არ წავაგეთ, წაგვაგებინეს. ჩვენები თვალცრემლიანები, მაგრამ თავაწეულები ბრუნდებიან სახლებში. მიშას ყველა გამოკითხვაში თავის ადგილზე №1 ფეხბურთელად ასახელებენ. გრძნობენ, რომ იგი დიდების ზენიტშია, რომ ეს არ არის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც მას შეუძლია, რომ მასში ძევს პოტენცია, რომ იგი ითვლება საუკეთესო მარცხენა ფრთად. ერთხელ, გურამ ფანჯიკიძემ ჰკითხა, თუ რომელ ქალაქში ჩატარებულმა მატჩებმა მიანიჭა ყველაზე დიდი სიხარული. მიხეილ მესხმა დაუფიქრებლად უპასუხა: „ტაშკენტი და პარიზი“. შემდეგ გაიღიმა და თქვა: „ბუენოს აირესში გამოსვლას ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვიგონებ.“ ეს იყო მისი ნიჭის ყველაზე ფართო გამოვლენა.

თამაშის წინა დღეს სან ფილიპომ ინტერვიუში განაცხადა, რომ არგენტინელები 4:1 მოიგებდნენ, ხოლო აქვე მდგომ სიმეონეს ძალიან ეწყინა, ჩვენ გოლის გაშვებას სულაც არ ვაპირებთო, მიშაც აუგად მოიხსენია.

როცა ეს ინტერვიუ ნაკრების ხელმძღვანელობამ წაუკითხა ფეხბურთელებს, მიშამ არაფერი თქვა. მაგრამ რა იცოდა არგენტინელმა, თუ როგორ გააპამპულავებდნენ მეორე დღეს. თამაში არგენტინელთა უპირატესობით დაიწყო. მაყურებელმა იწამა თავიანთი ფეხბურთელების ინტერვიუთა სისწორე. მეათე წუთისთვის კი სტუმრებმაც აჩვენეს კლანჭები. მესხმა და მეტრეველმა რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს. ხოლო როდესაც მესხმა მისი ცნობილი ფინტი გამოიყენა, ტექნიკაში კარგად ჩახედულმა არგენტინელმა გულშემატკივარმა მიშა თავის კერპად გაიხადა. აი, როგორ აღწერს მარტინ მერჟანოვი ამ დუელს დ. ლოლაძის წიგნიდან „მიხეილ მესხი“: „აი, მესხმა თავისი საყვარელი ფინტით გვერდი აუარა სიმეონეს, შემდეგ დელგადოს, ჩაიქროლა მარცხენა ფრთაზე და ბურთი არგენტინელთა კარის სახიფათო ზონაში ჩააწოდა, რომელიც ძლივს მოიგერიეს. სტადიონმა შვებით ამოისუნთქა. ერთი წუთის შემდეგ მესხი ისევ ჩინებულად გადის მარცხენა მხარეს, ზუსტად ამ დროს მარჯვენა ფრთაზე ლამაზ რეიდს ახორციელებს მეტრეველი. ცენტრში პონიდელნიკი იჭრება წინ, მას კარგად ეთამაშება ივანოვი, გუსაროვიც ხელსაყრელ პოზიციაზეა. ნეტო კი აჩვენებს გადაცემების მდიდარ რეპერტუარს და თამაში თავისი ჩანაფიქრით მიჰყავს. რა არის ეს? მაყურებელი გაკვირვებულია, საბჭოთა ფეხბურთელების მისამართით ისმის გამამხნევებელი შეძახილები. მაგრამ როგორც კი ბურთი მესხთან მიდის, სტადიონზე გაისმის გუგუნი, ხოლო როცა იგი გვერდს უვლის სიმეონეს — ერთსულოვანი ტაში...“

თამაშის შემდეგ სიმეონე განაცხადებს, ბევრი რამ მინახავს, მაგრამ მაშინ გავვოცდი, როცა მესხმა თავის თავს პასი მიაწოდა. იგი ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელიაო. ამას ამბობდა კაცი, რომელსაც თითქმის ყოველ წელს ურუგვაელებს, ჩილელებს და რაც მთავარია, ბრაზილიელ ბურთის ჯიდოქრებს ხვდებოდა. სწორედ ამ ტურნეს დროს შეარქვეს „მტკვრისპირელი გარინჩა“. დიახ, გარინჩა, რომელიც სულ მალე მარტო, დიახ, მარტო მოიგებს 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს. სამხრეთელები გააოცა მესხის თამაშმა. ამას მოჰყვა მისი საფეხბურთო კარიერის ყველაზე მთავარი — 1963 წელს ლონდონში ფიფას ნაკრებში მიიწვიეს დი სტეფანოს, პუშკაშის, ლოუს, ეუსებიოს, კოპას გვერდით. მაგრამ საბჭოთა ფეხბურთის მამებმა გაწირეს მესხი შეთითხნილი სიცრუით. ამცნეს მსოფლიოს, თითქოსდა მესხი ფორმაში არ იყო. საუკუნის მატჩში არ მისცეს საშუალება მონაწილეობა მიეღო. იმ მატჩში, სადაც მხოლოდ რჩეულებს იწვევენ, მიუხედავად იმისა, რომ მესხს საბჭოთა ნაკრებში ძირითადში აღარ ათამაშებდნენ, სადაც კი ნაკრები ჩავიდოდა, ყველა ქვეყნის ჟურნალისტები წერდნენ, „ჩამოვიდა მესხისა და მეტრეველის გუნდი“. უნგრეთის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ლაიოშ ბაროტიმ პირდაპირ განაცხადა, რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ მეც მესხი და მეტრეველი სათადარიგო მყოლოდაო.

მესხმა უნდა ითამაშოს ტაშკენტში, უნდა შეუწყოს ხელი თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო ოლიმპზე ასასვლელად. და მესხიც აღიარებს, რომ იშვიათად თუ ვინმეს ახასიათებდა ისეთი ლამაზი გასვლა, როცა იგი ოსტატური დრიბლინგით გზას მიიკვლევდა მოწინააღმდეგის მცველთა შორის როგორიც მას გაიტაცებდა და ხიბლავდა მისი დახვეწილი მოძრაობა ორიენტაციის საოცარი უნარი, ფენომენალური ინტუიცია. მისი თამაში რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ხიბლავდა მოწინააღმდეგესაც.

ერთ-ერთი ტურნეს დროს მიშამ თავის მოწინააღმდეგე დაჩაგრა პირველ ტაიმში თავისი ცნობილი ფინტის შემდეგ მცველი ვერ მიხვდა, სად ბურთი იყო, სად მიშა. რამდენჯერმე წამოეგო დამცველი ამ ფინტზე, მეორე ტაიმში პირველივე შეტევის დროს. მიშამ ბურთი მიიღო, როგორც ჩვეოდა, გაინაბა. მცველმა კი არც აცია, არც აცხელა, ტაში დაუკრა, მიიღებდა მიშა ბურთს — მცველი ტაშს უკრავდა. ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ მწვრთნელმა მცველი არ გამოცვალა.

1965 წლის ბოლოს ნაკრები ეთამაშებოდა ბრაზილიის ნაკრებს. გაივლის დრო და მესხი გაიხსენებს ერთ ფაქტს: „თამაშის დროს ერთ ეპიზოდში ფეხბურთის მეფე და მე ახლოს აღმოვჩნდით. მე ზურგით ვიდექი, როგორღაც ვიგრძენი ფეხბგაჩაჩხული იდგა. ამით ვისარგებლე, ისეთი მოძრაობა გავაკეთე, ვითომ ბურთს ვაჩერებდი. სინამდვილეში ბურთი გავატარე, პელეს ფეხებშუა გავუგორე, შემოვტრიალდი და ბურთს გამოვეკიდე. პელე შეცბა, ერთბაშად ახარხარდა, წამომეწია, ზურგზე შემახტა და კოცნა დამიწყო. კარგა მანძილზე ვატარე ასე, ზურგზე შემომჯდარი. ეს ეპიზოდი თურმე ტრიბუნაზე მყოფ სენატორ რობერტ კენედის მოსწონებია. გასახდელში ჩამოსვლა გადაუწყვეტია მატჩის შემდეგ. ის-ის იყო უნდა გაგვეხადა, შხაპი მიგველო, როცა გასახდელთან უჩვეულო ხმაური ატყდა, კარი გაიღო და პოლიციელების თანხლებით სენატორი ჩამოვიდა. მას რაღაც გადაუჩურჩულეს და იგი ჩემსკენ წამოვიდა“

1964 წელს თბილისელებმა წინა თაობათა აუსრულებელი ნატვრა რეალობად აქციეს. მაგრამ ოქროს მედლების მოპოვებას დასჭირდა გადათამაშება. ამ ფინალს 1960 წლის ფინალის გაგრძელებად მიიჩნევდნენ. ამჯერად არც ცაპოვეცკი მსაჯობდა, აღარც სლავა თამაშობდა „ტორპედოში“. ეს იყო დინამიური, შემტევი და ტემპიანი ფეხბურთი, ბურთი ხან ერთ კართან იყო, ხან მეორე კარისკენ გადადიოდა. მიუხედავად რამდენიმე საგოლე მომენტისა, პირველ ტაიმში გოლი არ გასულა. მეორე ტაიმში მეტოქეებმა თითო გოლი გაიტანეს და ყველა დამატებითი დროის სანახავად მოემზადა. დამატებით დროში მიხეილ მესხის შეჩერება აღარ შეიძლებოდა. მეორე გოლი დათუნაშვილს გააქვს მესხის პასით, მესამე გოლი თვითონ მიშამ გაიტანა, მეოთხე გოლი კი მეტრეველის ანგარიშზეა.

მესხი კვლავ ნაკრების ღირსებას იცავს, მაგრამ გაივლის ორიოდე წელი, საუკეთესო ფორმაში მყოფ მიხეილ მესხს 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ძირითადს ვინ ჩივის, სათადარიგო მოთამაშედაც არ წაიყვანენ. ამასაც უპოვნიან გამართლებას ნაკრების მწვრთნელები და ძირითად ნაკლად მესხს დაცვის არდახმარებასა წაუყენებენ. მას საერთო მასაში ათქვეფას აძალებდნენ. მიშა კი გარემარბი იყო და მერე როგორი გარემარბი!

ჯერ ნაკრებში ნელ-ნელა ავიწროვებენ, შემდეგ „დინამოში“, მაგრამ იგი უყვართ, მისი სახელის ხსენებაზე სასიამოვნო ჟრუანტელი უვლით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და ამ დროს, როცა იგი ბუცებს კედელზე ჰკიდებს.

ეს რა კარგი ტრადიცია გქონიათ ქართველებს, ტაიმის საუკეთესო ფეხბურთელს საპატიო წრეს შემოატარებთო, მაგრამ როცა გაიგო, რომ მიშას დიდი ფეხბურთიდან აცილებდნენ, გაოცება ვეღარ დამალა ურუგვაელთა მწვრთნელმა. დიახ, ნაადრევად წავიდა დიდი ფეხბურთიდან მიხეილ მესხი, მისი საფეხბურთო ტალანტის გაფურჩქვნის ხანაში, ბოლომდე დაუხარჯავი. გაივლის 20 გრძელი წელი, დეკემბრის სუსხიან დღეებში გულშემატკივრების გასახარად თბილისში ფეხბურთის ზეიმი მიხეილ მესხის ტურნირი იმართება. უკვე თმაშევერცხლილი ვარსკვლავები კვლავ აცოცხლებენ იმ განუმეორებელ დროს, როცა ისინი დიდების ზენიტში იყვნენ, 1964 წლის ფინალს. 25 წლის თავზე კვლავ ერთმანეთის პირისპირ დგანან დინამოელები და ტორპედოელები. ტორპედოელებს დაემატა ყველა დროის რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელი ედუარდ სტრელცოვი. თამაშის წინ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს იამანიძის, რეხვიაშვილის და ავთანდილ ლოლობერიძის ნათელ ხსოვნას. თამაში დაიწყო, ბურთი მიიღო მესხმა, ტრიბუნები გაინაბა. სხვადასხვა თაობის გულშემატკივრები კვლავ ელიან ფინტს, მესხის განუმეორებელ ფინტს. პირველი ცდა გაუცუდდა, მაგრამ გრძნობს რომ მისგან ფინტს ელიან, მის განუმეორებელ ფინტს. 20 წელი გავიდა და მესხის ფინტის გამეორება ვერავინ შეძლო. ბურთი კვლავ მიშას აქვს. იგი გაინაბა და მოხდა სასწაული, მიშამ როგორც ძველად, ისეთივე შემართებით, ისეთივე სიფაქიზით და ისეთივე აზარტით შეასრულა ცნობილი ფინტი.

ლევ იაშინი წერდა: „ისეთები, როგორიც მესხია, ფეხბურთს ჭეშმარიტად სილამაზეს სძენენ, პოეზია და რომანტიკა შეაქვთ თამაშში, ათეულათასობით გულშემატკივარს იზიდავენ სტადიონებზე. მესხმა — საფეხბურთო თეატრის ამ მოკაშკაშე, თვითნაბადი ტალანტის მქონე მსახიობმა — ბევრი გააკეთა თავისი კლუბისთვის და ჩვენი ნაკრებისთვის.“

მესხმა მიაღწია ყველაფერს, იყო თბილისის „დინამოს“ ყველა დროის ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელი, იყო სსრკ ყველა დროის საუკეთესო ფორვარდი, იყო სპორტის დამსახურებული ოსტატი, სანამ იქნება ფეხბურთი, იქნება „მესხის ფინტი“. მის ხსენებაზე გულშემატკივრებს ყოველთვის სიამოვნებისგან სახე გაებადრებათ და დაუსრულებლად იტრაბახებენ, რომ მათ უნახავთ მიხეილ მესხი მწვანე მინდორზე.

ჩვენ კი დროა, კიდევ ერთხელ ვთქვათ, გმადლობთ, მიშა!!! ყველაფრისათვის!

**გია ჯავარშეიშვილი**

# გმადლობთ!



უჩვეულოც და ჩვეულებრივიც: მიხეილ მესხი და მოტყუებული მცველი

**121. დათო სიჭინავა.** ჩხოროწყუ. პოლიციელი. 34 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. გიორგი სიჭინავა, 3. გიორგი ქინქლაძე, 4. ბორის პაიჭაძე, 5. ვლადიმერ გუცაევი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, გიორგი სიჭინავა, რამაზ შენგელია, შოთა არველაძე, მიხეილ მესხი
**122. კონსტანტინე ბოგიშვილი.** აბაშა. ინჟინერ-მშენებელი. 27 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
**123. კობა ინასარიძე.** თბილისი. ჟურნალისტი. 25 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ალექსანდრე ჩივაძე, 2. ვლადიმერ გუცაევი, 3. დავით ყიფიანი, 4. მიხეილ მესხი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, მანუჩარ მაჩაიძე, ვლადიმერ გუცაევი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი
**124. გურამ დოლენჯაშვილი.** თბილისი. ფოტორეპორტიორი. 56 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. გივი ნოდია
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ვიტალი დარასელია, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**125. ნათელა გიორგობიანი.** თბილისი. ფილოლოგი. 50 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
**126. ჯემალ ჭელიძე.** თბილისი. ეკონომისტი. 51 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**127. შჩა ბაბუნია.** თბილისი. ექიმი. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი
**128. თემურ თურმანიძე.** ბათუმი. პედაგოგი. 47 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი
**129. მურმან გოგიტიძე.** ქობულეთი. იურისტი. 51 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გურამ ცხოვრებოვი, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**130. გურამ ბექაია.** თბილისი. ექიმი. 69 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. დავით ყიფიანი, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: ალექსანდრე დოროხოვი, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი
**131. ჰამლეტ ცაგარელი.** თბილისი. იურისტი. 70 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, რევაზ ძოძუაშვილი, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ვლადიმერ ელოშვილი, გიორგი სიჭინავა, მანუჩარ მაჩაიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი
**132. მერაბ ცაგარელი.** თბილისი. მეცნიერი. 44 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3.ალექსანდრე კოტრიკაძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**133. ოთარ სტურუა.** სამტრედია. იურისტი. 58 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. სლავა მეტრეველი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**134. რევაზ სალუქვაძე.** თბილისი. ფიზიკოსი. 68 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ შელია, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, ვლადიმერ ბარქაია, ბორის პაიჭაძე, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი
**135. თინათინ ვეკუა.** ფოთი. მოსწავლე. 13 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ვლადიმერ ელოშვილი
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. მიხეილ მესხი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. დავით ყიფიანი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
**136. თამაზ თევზაძე.** თბილისი. ფიზიკოსი. 48 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. დავით ყიფიანი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**137. დიმიტრი გიორგაძე.** თბილისი. იურისტი. 35 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. გიორგი სიჭინავა, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, შოთა არველაძე, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია
**138. ოთარ გვეტაძე.** თბილისი. მშენებელ-ინჟინერი. 59 წლის. მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. დავით ყიფიანი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**139. გიორგი ედელაშვილი.** ქუთაისი. ინჟინერი. 37 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. მიხეილ მესხი, 4. დავით ყიფიანი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, თემურ ქეცბაია, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე
**140. ლევან დარახველიძე.** ქუთაისი. ინჟინერი. 52 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**141. პაატა დარახველიძე.** ქუთაისი. სტუდენტი. 20 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ალექსანდრე ჩივაძე
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. თემურ ქეცბაია
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, თენგიზ სულაქველიძე, თემურ ქეცბაია, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**142. ჯიმშერ არსაკიძე.** გორი. ინჟინერ-ფეიქარი. 67 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. შოთა იამანიძე, 4. მიხეილ მესხი, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, ვლადიმერ გუცაევი, მიხეილ მესხი
**143. კახი სირბილაძე.** თბილისი. ინჟინერი. 57 წლის. მწვრთნელი: ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**144. ნინო მუშკუდიანი.** ქუთაისი. ჟურნალისტი. 20 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, თენგიზ სულაქველიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი
**145. თემურ ძაძამია.** წალენჯიხა. ძალოვანი სტრუქტურა. 35 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. დავით ყიფიანი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. რამაზ შენგელია, 5. ვლადიმერ გუცაევი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი, გიორგი ქინქლაძე, ბორის პაიჭაძე
**146. ლევან გაბისონია.** სოხუმი. ადვოკატი. 28 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. მიხეილ მესხი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: ოთარ გაბელია, გელა კეტაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, თემურ ქეცბაია, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, შოთა არველაძე
**147. გიგა ჯანგველაძე.** სოხუმი. სტუდენტი. 18 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. მიხეილ მესხი, 3. თემურ ქეცბაია, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, გელა კეტაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, კახი ცხადაძე, მურთაზ ხურცილავა, მიხეილ მესხი, მანუჩარ მაჩაიძე, თემურ ქეცბაია, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, შოთა არველაძე
**148. რამაზ კველიშვილი.** თბილისი. მძღოლი. 43 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ვიტალი დარასელია, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. მიხეილ მესხი, 5. მანუჩარ მაჩაიძე
გუნდი: ოთარ გაბელია, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
**149. ზაზა თავბერიძე.** ფოთი. ოპერატორი. 35 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. გიორგი ქინქლაძე, 4. ვიტალი დარასელია, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, გიორგი ქინქლაძე, ვლადიმერ გუცაევი, შოთა არველაძე, მიხეილ მესხი
**150. ოთარ გურასპიშვილი.** ფოთი. ჟურნალისტი. 40 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. დავით ყიფიანი, 4. სლავა მეტრეველი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თამაზ კოსტავა, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ გუცაევი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

# საქართველოს ყველა დროის
# საუკეთესო
## ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები
# სარბიელის
# მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის" გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის" გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში" მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში" დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის" რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**

**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

✂ - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი**

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________
4 ____________________
5 ____________________

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი**

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________

**საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები**

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________
4 ____________________
5 ____________________
6 ____________________
7 ____________________
8 ____________________
9 ____________________
10 ____________________
11 ____________________

სახელი – – – – – – – – – – – –
გვარი – – – – – – – – – – – –
ასაკი – – – – – – – – – – – –
პროფესია – – – – – – – – – – –
მისამართი – – – – – – – – – – –

# ნაცნობი ფეხბურთელის უცნობი პორტრეტი

## ნოდარ ახალკაცი ჯერ კიდევ ფეხბურთელობისას დაინტერესდა სპორტული ფსიქოლოგიით

## როცა გუნდში დაპირისპირებაა, მწვრთნელს ქირურგიული ჩარევაც უხდება

1961 წელს მომიწია სპორტში სეკუნდირების საკითხებზე მუშაობამ. დაგეგმილი მქონდა მოკრივეებისა და ფეხბურთელების შესწავლა. იმ წლის შემოდგომაზე კიშინიოვში ჩატარდა სამთა ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ საკავშირო ჩემპიონატის ზონებში გამარჯვებული ქუთაისის „ტორპედო", თბილისის „ლოკომოტივი" და ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ბოლო ადგილზე გასული ტალინის „კალევი". გამარჯვებული უმაღლეს ლიგაში იკავებდა ადგილს. ტურნირში დამსახურებულ წარმატებას ქუთაისის „ტორპედომ" მიაღწია.

კიშინიოვში თბილისის „ლოკომოტივთან" ერთად მატარებლით გავემგზავრე. „ლოკომოტივის" ბევრ ფეხბურთელს მანამდეც პირადად ვიცნობდი, ბევრიც ხანგრძლივი მგზავრობისას გავიცანი. ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ახალგაზრდა თავდამსხმელმა, რომელსაც სიყვარულით ხან ტამანგოს, ხანაც ჩომბეს ეძახდნენ. იგი გარკვეულად პოპულარული გახლდათ გუნდში, სიცოცხლით სავსე, მუდამ ხალისიანი, მოუსვენარი, იუმორით სავსე პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებდა. ჩვენი ნაცნობობა დაიწყო იმით, რომ იგი დაინტერესდა, რა საკითხის შესწავლას ვისახავდი მიზნად, კვლევისთვის რა მეთოდების გამოყენებას ვაპირებდი და სხვა მრავალი. თუ რაიმე წიგნი მქონდა ფსიქოლოგიაზე, ყველა წაიკითხა, შემდეგ ბევრს ვსაუბრობდით წაკითხულის თაობაზე. ეს ახალგაზრდა ნოდარ ახალკაცი გახლდათ, იგი ერთადერთი იყო გუნდში, რომელიც დამიახლოვდა და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა, როგორც უაღრესად ნიჭიერმა, განათლებულმა, ერუდირებულმა, ფართო ინტერესების მქონე პიროვნებამ. შემდგომ ამ ნაცნობობამ გარკვეულწილად განაპირობა ქართველ ფსიქოლოგებთან მისი მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობა. სპორტის ფსიქოლოგიის ქართველი სპეციალისტები, რა თქმა უნდა, ახალკაცამდეც მუშაობდნენ მწვრთნელებთან (მიხაილ იაკუშინი, გავრილ კაჩალინი, გივი ჩოხელი), მაგრამ ეს მუშაობა ეპიზოდურ, კამპანიის ხასიათს ატარებდა. მივდიოდით შეკრებებზე (ძირითადად დაბა ლესელიძეში) სპორტსმენებთან ერთად, ვსაქმიანობდით შეკრების დამთავრებამდე, შემდეგ კი მშვიდობიანად ვცილდებოდით ერთმანეთს მომავალ შეკრებამდე.

ჩვენი მუშაობა შეკრებებზე ამოიწურებოდა ფსიქოლოგიური პორტრეტებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შექმნით, რასაც სათანადო ინსტრუქტაჟის შემდეგ სახელმძღვანელოდ გადავცემდით მწვრთნელს. ეს იყო და ეს, ამით მთავრდებოდა ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა. სპორტის ფსიქოლოგიის ქართველი სპეციალისტები საქმიანობის ამგვარი პირობებით უკმაყოფილონი გახლდით, რადგან ეპიზოდური მუშაობის პირობებში ვახერხებდით მხოლოდ ფსიქო-დიაგნოსტიკურ საქმიანობას, რასაც ლოგიკური აუცილებლობით უნდა მოსდევდეს ფსიქო-კორექციული მუშაობა, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუ გუნდში მუდმივ საშტატო ერთეულზე იმუშავებს სპორტისა და მისი შემსწავლელი მეცნიერების, კერძოდ, სპორტის ფსიქოლოგიის სპეციალისტი. მუშაობის ასეთი პირობები მაშინ კი არა, დღესაც სანატრელია, თუმცა მათ შექმნას ჯერ კიდეც 1990 წლის ივლისში შეეცადა სპორტსახკომის მაშინდელი თავმჯდომარე, შესანიშნავი პიროვნება ნუგზარ ენდელაძე, რომელმაც თავისთან მიგვიწვია საქართველოს სპორტის ფსიქოლოგთა ასოციაციის ხელმძღვანელობა და გვითხრა, საერთაშორისო სარბიელზე საქართველოს სპორტსმენთა დამოუკიდებლად გასვლასთან ერთად აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ იმაზეც, რომ მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ სპორტის ფსიქოლოგთა ეროვნულ სკოლას, მისი ნორმალური საქმიანობისთვის აუცილებელი პირობებისა და მტკიცე მატერიალური ბაზის შექმნასო და ა.შ. ამ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ იმავე წლის აგვისტოში სპორტსახკომში მოეწყობოდა მრგვალი მაგიდა, რომელსაც დაესწრებოდნენ სპორტსახკომის თანამშრომლები, მწვრთნელები, სპეციალისტები, ჟურნალისტები და საერთოდ ყველა დაინტერესებული პირი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სასიკეთო საქმეს აღსრულება არ ეწერა, რადგან სულ მალე ნუგზარ ენდელაძე გადააყენეს თანამდებობიდან, შემდეგ კინაადრევად დატოვა წუთისოფელი. მსგავსი საქმიანი ყურადღება სპორტის ფსიქოლოგიისადმი შემდგომ აღარავის გამოუჩენია.



ფოტო რამაზ ცერცვაძის არქივიდან

1981 წლის 28 მაისი. თბილისის „დინამო" კიევში დიუსელდორფის ტრიუმფის მერე. ჩვენების ამ წარმატებაში ფსიქოლოგთა წვლილიც იყო

სპორტის ფსიქოლოგთა ფეხბურთელებთან. ეპიზოდურ მუშაობას წერტილი ნოდარ ახალკაცმა დაუსვა. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელად მისი დანიშვნისთანავე დამყარდა საქმიანი კონტაქტები ფიზკულტურის ინსტიტუტის ფსიქოლოგებსა და „დინამოს" ხელმძღვანელობას შორის, შეიქმნა სპორტის ფსიქოლოგთა ოთხკაციანი ჯგუფი ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის, პროფესორ ვლადიმერ ნორაკიძის ხელმძღვანელობით (წევრები: პროფესორი მ. ყოლბაია, დოცენტი ა. გრიგოლავა და ამ სტრიქონების ავტორი; ჯგუფი ძირითადად უსასყიდლოდ, ენთუზიაზმზე, საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდა), სხვადასხვა დროს ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდნენ დოცენტები: გოგი ჯაფარიძე, რამაზ საყვარელიძე და ემზარ ელიგულაშვილი. ჯგუფმა „დინამოსთან" იმუშავა მანამ, სანამ ბატონი ნოდარი საბოლოოდ არ გაუშვეს გუნდიდან.

ჯგუფისადმი ნოდარის თხოვნა იყო, უზრუნველგვეყო გუნდის ფსიქოლოგიური მომსახურება.

გუნდში ორი კარდინალური მნიშვნელობის საკითხი იყო მოსაგვარებელი:

1. თითოეული ფეხბურთელის პიროვნების სტატუსის დადგენა, რისთვისაც აუცილებელი იყო პიროვნების ზოგადი, ინდივიდუალურ-ტიპოლოგიური და უნიკალური თავისებურებების შესწავლა. კვლევა ფეხბურთელის პიროვნების ძლიერი, განსაკუთრებით კი სუსტი მხარეების დადგენის საშუალებას მოგვცემდა, რის საფუძველზეც შეიქმნებოდა რეკომენდაციები, რომლებშიც მითითებული იქნებოდა როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები, ამ უკანასკნელთა კორეგირების, აღმოფხვრის საშუალებები თუ ხერხები. რეკომენდაციები ზოგადი ფსიქოლოგიური მომზადების ქვაკუთხედია, რაზეც იგება ფსიქოლოგიური მომზადება კონკრეტული შეჯიბრებისთვის.

2. ფეხბურთი სპორტის გუნდური სახეობაა, დასახული მიზნები და ამოცანები მიიღწევა და წყდება გუნდის ყველა წევრის ერთობლივი მოქმედებით. ფეხბურთელთა მოქმედება ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია. გუნდში ყოველგვარი ურთიერთობა ყოველთვის როდია სასურველ დონეზე. არის შემთხვევები, როდესაც გუნდში არაერთ ფეხბურთელს კორპორაციული ხასიათის მიზნები ამოძრავებს, ასეთი ფეხბურთელები უგულებელყოფენ გუნდის, როგორც კოლექტივის ინტერესებს, პირადულს უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე საზოგადოებრივს. ამიტომაცაა, რომ სპორტში ხშირად ხვდება, როდესაც საშუალო დონის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი ამარცხებს ვარსკვლავებით შედგენილ გუნდს. მიზეზი? პირველ შემთხვევაში გუნდი წარმოადგენს ერთი მიზნით მტკიცედ შეკრულ, მეგობრულ კოლექტივს, სადაც არა ლოზუნგების დონეზე, არამედ მართლა მოქმედებს პრინციპი „ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის". მეორე შემთხვევაში — არაა კოლექტივი. ამიტომაც ყოველ გუნდში ყოველ წელიწადს, სულ ცოტა, ორჯერ უნდა ჩატარდეს სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევა, რომლის ამოცანაც იქნება გუნდის, როგორც კოლექტივის სტატუსის დადგენა — როგორია მიკრო-სოციალური ჯგუფების სტრუქტურული თავისებურებები, როგორია კოლექტივის წევრთა ფსიქოლოგიური შეთავსებადობა, კოლექტივის ინტეგრაცია და დიცერენციაცია, ლიდერობის პრობლემა და სხვა მრავალი. ასეთი შესწავლა გუნდში არსებული ფსიქოლოგიური კლიმატის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. ჩვენ ვქმნით გუნდის, როგორც კოლექტივის ფსიქოლოგიურ პორტრეტს, შესატყვისი რეკომენდაციებით, რითაც მწვრთნელმა უნდა იხელმძღვანელოს გუნდის კოლექტივად ფორმირების პროცესში. კვლევისას გამოყენებული იყო ჩვენს მიერ მოდიფიცირებული მორენოს სოციომეტრული მეთოდი და სპეციალური კითხვარი.

ზემოაღნიშნულის გარდა სპეციალური კითხვარებით ვადგენდით ფეხბურთელის ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების დონეს.

უფროსი მწვრთნელის თხოვნით, გუნდის წევრებს და დაინტერესებულ პირებს პერიოდულად ვუკითხავდით ლექციებს სპორტის ფსიქოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე.

მოვიტანოთ ფსიქოლოგიური პორტრეტისა და რეკომენდაციების ნიმუში.

მავანი ფეხბურთელის პიროვნების კვლევის მონაცემები ადასტურებს, რომ იგი მთლიანი, სტაბილური, ძირითდად ჰარმონიული პიროვნებაა, პიროვნების ცალკეული კომპონენტები, აზროვნება, ემოციები, შემოქმედებითი ენერგია, ნებისყოფა და სხვანი, ერთმანეთთან შეწყობილია. პიროვნებაში ზოგჯერ წარმოშობილი განცდები — შეუკავებელი ემოციურობა, ემოციის ლაბილობა, მხარდაუჭერლობის, იმედგაცრუების, უიმედობის განცდები ეპიზოდური ხასიათისაა და დაკავშირებულია სპორტში მიზნის მიღწევისთვის ბრძოლაში წარმატება-წარუმატებლობასთან. შეჯიბრების პროცესში მას შეუძლია მთლიანის (საფეხბურთო მოედნის) დანახვა, მთელი გუნდის მოქმედების სინთეზური წვდომა, ყველა მოთამაშის პოზიციის შემჩნევა, ობიექტურად აფასებს პოზიციის ვარგისიანობას (ხელსაყრელია თუ პირიქით), ცალკეულ ეპიზოდებს აღიქვამს მთლიანობაში, გუნდის მოქმედებასთან მიმართებაში, კარგად ამჩნევს სხვებისთვის შეუმჩნეველ „წვრილმანებს"; გონებრივი მოქმედების ორგანიზაცია — შეჯიბრების ცვალებად სიტუაციაში პარტნიორისა და მეტოქის პოზიციის საკუთარ პოზიციასთან მიმართებაში გააზრება საკმაოდ განვითარებული აქვს, შეუძლია შეამჩნიოს და დაიკავოს ისეთი პოზიცია, საიდანაც ნათლად შეიძლება შექმნილი რეალური ვითარების ასახვა. მისი ქცევა სტაბილურია, კონსტანტური, რეგულირებული, აქვს რეალობის განცდა, მტკიცე ნებისყოფა. ამიტომაც შასაფერისი აღზრდისა და წვრთნის პირობებში მისგან შეიძლება დადგეს მაღალი კლასის ფეხბურფთელი. ზემოაღნიშნული პიროვნული თვისებები მოცემულია როგორც შესაძლებლობები, რომლებიც უნდა განვითარდეს და დასრულდეს წვრთნისა და შეჯიბრების პროცესში.

აღნიშნულის გარდა ეს მოთამაშე ხასიათდება აზრის მოქნილობით, გამომგონებლობით, ორიგინალობით, თავისებური, უცნაური მსჯელობით. მას აქვს გარშემომყოფთა თანაგრძნობის მოპოვების ტენდენცია, საკუთარი პრობლემებისადმი პესიმისტური დამოკიდებულება, მომთხოვნია, პრაქტიკული, საკმაოდ თავდაჯერებული, იგი ექსტრავერტია, შეჯიბრების წინ ახასიათებს შფოთვები. თავს თვლის ფიზიკურად და ტექნიკურად კარგად მომზადებულად, მისი აზრით, მას აკლია მხოლოდ მოქნილობა, სისხარტე-სიმკვირცხლე, რეაქციების სისწრაფე და ფსიქოლოგიურ მომზადება. იგი მეგობრულია, უყვარს მუსიკა და მხიარულება. შეცდომებს ღრმად და მტკივნეულად განიცდის, მაყურებლის დადებითი რეაქცია ამხნევებს, უარყოფითი კი ბიძგს აძლევს, რათა უკეთ ითამაშოს. უხეშობაზე უხეშობით პასუხობს. თუ მსაჯის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, უკმაყოფილებას ჟესტებით გამოხატავს. უჭირს გადაწყვეტილებების სწრაფად გამოტანა, მტკივნეულად განიცდის სხვების თანდასწრებით კრიტიკას.

### რეკომენდაციები

1. რადგან ამ ფეხბურთელს ახასიათებს მაღალი ფსიქოლოგიური ამტანობა, ფსიქოლოგიური ენერგია, ამიტომ მას შეიძლება მიეცეს ოპტიმალური დატვირთვები (ცხადია, თუ ჯანმრთელობა უწყობს ხელს), ხოლო სათანადო ფიზიკური მზადყოფნისას მატჩში დავაკისროთ მაქსიმალური დავალებები;
2. აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება ტაქტიკური მომზადების განსაკუთრებით თეორიულ მხარეს, იგი უნდა ვავარჯიშოთ კონკრეტულ მატჩებში ტაქტიკური სქემების დამოუკიდებლად შედგენაში, ჩატარებული შეხვედრების დამოუკიდებლად ანალიზში და სხვა;
3. იმის გამო, რომ მას ახასიათებს ემოციის ლაბილობა — მღელვარება და შფოთვები, აუცილებელია დაეუფლოს თვითრეგულაციის ხერხებს (აუტოგენური წვრთნის ხერხებს);
4. საჭიროა ისეთი საუბრების ჩატარება, რომლებიც ოპტიმიზმის გრძნობას ჩაუნერგავს;
5. აუცილებელია საგანგებო ზრუნვა მის ფიზიკურ განვითარებაზე მოქნილობა-სისხარტის და რეაქციების სისწრაფის გასავითარებლად;
6. საჭიროებს ისეთ საუბრებს, რომლებიც გაუცნობიერებს უხეშობაზე უხეშობით პასუხის უსარგებლობას და მსაჯის გადაწყვეტილებაზე დემონსტრაციული უკმაყოფილების გამოხატვის მიზანშეუწონლობას;
7. ვარჯიშისას საჭიროა ისეთი საწვრთნელი მოდელების გამოყენება, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ადეკვატური გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების უნარის განვითარება;
8. სასურველია, კრიტიკული შენიშვნები მიეცეს კონფიდენციალურ გარემოში, რადგან ეს ფეხბურთელი წყენიაა და ყოველგვარ საქმიან კრიტიკა-შენიშვნებს პირად შეურაცხყოფად აღიქვამს.

საგაზეთო წერილის თავისებურებიდან გამომდინარე, არ შეგვიძლია ფსიქოლოგიური პორტრეტების სხვა ნიმუშების მოტანა, მაგრამ გაგაცნობთ ზოგიერთი საინტერესო რეკომენდაციის ნიმუშს.

„რადგან ცდისპირს დაქვეითებული აქვს საკუთარი თავისადმი რწმენა, საჭიროა ისეთი საუბრების ჩატარება, სადაც აქცენტი გაკეთდება მეტოქის სისუსტეებზე, ხარვეზებზე და მის ძლიერ მხარეებზე".

„რადგანაც ცდისპირი განეკუთვნება წინასასტარტო მდგომარეობის „სასტარტო ციებ-ცხელების" ტიპს, მატჩის წინ (განსაკუთრებით საპასუხისმგებლო შეხვედრისას) საჭიროებს თვითრეგულაციის ხერხების დაუფლებას (აუტოგენური წვრთნა)".

„ცდისპირის განწყობის ვარიაბილობის და შინაგანი ლაბილობის გამო მოსალოდნელია, რომ იგი მალე დაკარგავს სპორტულ ფორმას, ამიტომ საჭიროა ხანგრძლივად ვავარჯიშოთ გართულებულ, მოულოდნელ სიტუაციებში, სისტემატურად ვიზრუნოთ ნებელობის თვისებების, განსაკუთრებით თვითკონტროლის უნარის განსავითარებლად. უნდა დაეუფლოს თვითრეგულაციის მეთოდებს".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემუშავებული რეკომენდაციები მწვრთნელისა და ფსიქოლოგის ერთობლივი მუშაობით ხორციელდებოდა.

1975 წელს საფეხბურთო სეზონისთვის მზადებისას დაბა ლესელიძეში ჩატარდა სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევა, რომლის მიზანიც იყო თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის, როგორც სოციალური ერთეულის, როგორც სპორტული კოლექტივის ფსიქოლოგიური თავისებურებების დადგენა. მოპოვებულმა სოციომეტრულმა მასალამ ზოგიერთი სახის ასეთი დასკვნის შესაძლებლობა მოგვცა: 1. გუნდში მოთამაშეთა შორის არ არსებობს მკვეთრად გამოხატული, დაპირისპირებული დაჯგუფებები; 2. გამოვლინდა მოთამაშეთა სოციალური სტატუსი, გამოირკვა, რომ თანაგუნდელთა შორის ყველაზე მეტი სიმპათიით სარგებლობდა დავით ყიფიანი, რომელმაც 17 ფეხბურთელისგან მიიღო 11 არჩევანი. პროფესიული საიდუმლოებიდან გამომდინარე, ფართო მკითხველის სამსჯავროზე არ გამოგვაქვს ყველა ის დეტალი თუ ნიუანსი, რომელთა ცოდნასაც მწვრთნელისთვის უდიდესი პრაქტიკული ღირებულება გააჩნია.

უფრო ადრე ჩატარებულმა კვლევამ კი გამოავლინა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდში ორი მკვეთრად გამოხატული, უაღრესად დაპირისპირებული ჯგუფი — უმცირესობა და უმრავლესობა თავიანთი ლიდერებით. ამ ჯგუფების ასეთმა მკვეთრმა დაპირისპირებამ გუნდი, როგორც კოლექტივი, დაშლამდე მიიყვანა, გუნდის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, ქირურგიული ჩარევის შემდეგ გუნდში აღედგინა ნორმალური ურთიერთობები.

**გივი დვალი**

*P.S. ალბანეთის ნაკრებთან შეხვედრამდე საქართველოს ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა ტელეგამოსვლაში განაცხადა, რომ „გუნდში არაა ერთსულოვნება". ამ საკითხის კვლევა ჩვენთვის პრობლემა არ არის. მართლაცდა, საინტერესოა, რაშია საქმე, რაა მიზეზი იმისა, რომ არაა ერთსულოვნება?*

## ვაშაკიძეს ვიზა დაუგვიანდა

### საპორტას თასი. ულმი — სპარტაკი

საპორტას თასის წლევანდელ გათამაშებაში ჩვენებური ირაკლი ვაშაკიძის მოსკოვის „სპარტაკი“ გერმანიაში იქაურ „ულმს“ შეხვდა. რუსულ სუპერლიგაში ალმავლობით მოთამაშე ირაკლი მატჩისშემდგომ ოქმში რომ ვერ



ვიხილეთ, მოსვენება დავკარგეთ. აღარ დავახანეთ და მოსკოვში, შინ შევეხმიანეთ.

— ნუ შეშინდებით, სახიფათო არაფერია — დაგვამშვიდა ირაკლიმ.

**— მაშ, შენი გერმანიაში უთამაშებლობა რას უნდა მივაწეროთ?**

— ფორმალური საკითხების მოგვარება ვერ მოესწრო. იმისთვის, რომ გერმანიაში შესასვლელი ვიზა მიმეღო, მოსკოვში გერმანიის საელჩომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოთხოვნა გამოუგზავნა. სამწუხაროდ, შაბათ-კვირა დაემთხვა და დასტურმა აქამდე ორშაბათსღა ჩამოაღწია — ამ დროს გუნდი უკვე ადგილზე იყო ჩასული. ისე, უფრო ადრე უნდა გავფრენილიყავით, მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, მე მელოდებოდნენ, ბოლომდე სწამდათ, რომ ყველაფერი მოესწრებოდა, მაგრამ...

**— კიდევ კარგი, რომ ჯანმრთელად ხარ და არაფერს უჩივი. ვიფიქრეთ, რაიმე ხომ არ შეემთხვა-მეთქი...**

— არა, არა, ნუ გეფიქრებათ, გუნდის გამგზავრებამდე ორი დღით ადრე აქაური პირველობის მატჩიც ვითამაშე. ახლა მე „სპარტაკში“ წამყვან კალათბურთელად ვითვლები და მწვრთნელებიც ბოლომდე მენდობიან. ამ მხრივ ნაღდად არ მაქვს პრობლემა და სამშაბათს კვიპროსში „აპოელთან“ აუცილებლად ვიქნები.

**გიორგი ბიძაშვილი**

## ბერძენიშვილი გრიპმა წააქცია

### საპორტას თასი. ტელეკომი — სლოვაკოფარმა

ინტერესით ველოდით საპორტას თასის B ჯგუფში სლოვაკეთის „სლოვაკოფარმას“ გასვლით მატჩს თურქეთში, „ვითას“ ადრინდელ გამამწარებელ „ტელეკომთან“. სლოვაკების გუნდის ღირსებას ხომ საქართველოს ნაკრების



ცენტრი დავით ბერძენიშვილი იცავს. მოლოდინი გაგვიცრუვდა — დათომ ვერ შეძლო პრინციპული მატჩის თამაში, თუმც ამ შემთხვევაში ფორმალური მხარე არაფერ შუაშია. მიზეზი დათოს ავადმყოფობა ყოფილა.

— ძალიან მძიმე გრიპი შემეყარა. ათი დღეა, საწოლს მიმაჯაჭვა. ექიმებმაც მნახეს და მკურანლობაც დამინიშნეს. მეც სხვა რა გზა მაქვს, შინ ვარ და გამოჯანმრთელებას ველი. თუმცა, ახლა უკვე მოვმჯობინდი და ერთ-ორ დღეში ვარჯიშსაც შევუდგები. ჩემი თურქეთში უთამაშებლობის სხვა მიზეზი არ არსებობს.

**— მანდაურ პირველობაზე რა ხდება. მგონი, უკვე დაიწყეთ...**

— დიახ, ჯერ მხოლოდ სამი მატჩი გავმართეთ და სამივე მოვიგეთ. ჩემპიონობაზეც რეალურად ვაცხადებთ პრეტენზიას. მე თითქმის მთელი თამაშის მანძილზე მოედანზე ყოფნა მიწევს და მწვრთნელებიც კმაყოფილნი არიან.

**— მოკლედ, შემდეგ ევრომატჩში, ფრანგულ „შოლესთან“, ალბათ შენც შეეშველები „სლოვაკოფარმას“.**

— წესით ასე უნდა იყოს, თუ კიდევ არ შემიშალა რაიმემ ხელი. მომდევნო თამაში სამშაბათს გვიწევს და ვფიქრობ, იქამდე საბოლოოდ მოვმჯობინდები.

**დიმიტრი ნიშნიანიძე**

## საპორტას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური. 22 სექტემბერი

### A ჯგუფი

ატლეტასი (ლიტვა) — ჩერნო მორე (ბულგარეთი) 70:77; ეშტრელა (პორტუგალია) — კალევი (ესტონეთი) 82:76; სონი (იტალია) — პოლზელა (სლოვენია) 66:67

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩერნო მორე | 1 | 1 | 0 | 77:70 | 2 |
| ეშტრელა | 1 | 1 | 0 | 82:76 | 2 |
| პოლზელა | 1 | 1 | 0 | 67:66 | 2 |
| სონი | 1 | 0 | 1 | 66:67 | 1 |
| კალევი | 1 | 0 | 1 | 76:82 | 1 |
| ატლეტასი | 1 | 0 | 1 | 70:77 | 1 |

II ტური. 29.09: პოლზელა — ეშტრელა, კალევი — ატლეტასი, სონი — ჩერნო მორე

### B ჯგუფი

ტელეკომი (თურქეთი) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 76:66

სლოვაკოფარმა: ლოვრიჩი (16), ზადრაველი (13), რისტანო (12), ჩერნიცკი (6), საბო (6), ლუკიანეცი (5), კუზნეცოვი (4), მიჩუდა (4), ვეისი, ონდრუშკა

მზტ (მაკედონია) — მლეკარნა (ჩეხეთი) 100:74; შოლე (საფრანგეთი) — სპლიტი (ხორვატია) 84:57

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შოლე | 1 | 1 | 0 | 84:57 | 2 |
| მზტ | 1 | 1 | 0 | 100:74 | 2 |
| ტელეკომი | 1 | 1 | 0 | 77:66 | 2 |
| სლოვაკოფარმა | 1 | 0 | 1 | 66:77 | 1 |
| მლეკარნა | 1 | 0 | 1 | 74:100 | 1 |
| სპლიტი | 1 | 0 | 1 | 57:84 | 1 |

II ტური. 29.09: შოლე — სლოვაკოფარმა, სპლიტი — მზტ, მლეკარნა — ტელეკომი

### C ჯგუფი

პამესა (ესპანეთი) — ბროცენი (ლატვია) 98:73; სენტ პიოლტენი (ავსტრია) — ცეპტერი (პოლონეთი) 57:69; ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) — ჰაპოელი (ეილატი, ისრაელი) 75:80

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 1 | 1 | 0 | 98:73 | 2 |
| ცეპტერი | 1 | 1 | 0 | 69:57 | 2 |
| ჰაპოელი | 1 | 1 | 0 | 80:75 | 2 |
| ბუდუჩნოსტი | 1 | 0 | 1 | 75:80 | 1 |
| სენტ პიოლტენი | 1 | 0 | 1 | 57:69 | 1 |
| ბროცენი | 1 | 0 | 1 | 73:98 | 1 |

II ტური. 26.09: ჰაპოელი — ცეპტერი. 29.09: სენტ პიოლტენი — პამესა, ბუდუჩნოსტი — ბროცენი

### D ჯგუფი

აეკ (საბერძნეთი) — ატომერომუ (უნგრეთი) 66:59; პივოვარნა (სლოვენია) — ტოპო (ფინეთი) 92:79; პარტიზანი (იუგოსლავია) — ზაგრები (ხორვატია) 76:64

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პივოვარნა | 1 | 1 | 0 | 92:79 | 2 |
| პარტიზანი | 1 | 1 | 0 | 76:64 | 2 |
| აეკ | 1 | 1 | 0 | 66:59 | 2 |
| ატომერომუ | 1 | 0 | 1 | 59:66 | 1 |
| ზაგრები | 1 | 0 | 1 | 64:76 | 1 |
| ტოპო | 1 | 0 | 1 | 79:92 | 1 |

II ტური. 29.09: პარტიზანი — ატომერომუ, ზაგრები — პივოვარნა. 30.09: ტოპო — აეკ

### E ჯგუფი

კიორმენდი (უნგრეთი) — ტოფაში (თურქეთი) 83:72; შარლერუა (ბელგია) — ბოსნა (ბოსნია) 65:63; ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — ლეტუვოს რიტასი (ლიტვა) გუშინ ღამით გაიმართა.

### F ჯგუფი

არისი (საბერძნეთი) — პლანია (შვედეთი) 92:60; ლიმოჟი (საფრანგეთი) — ტრირი (გერმანია) 82:60; ანტვერპენი (ბელგია) — შიროკი (ბოსნია) გუშინ ღამით გაიმართა.

### G ჯგუფი

ხუვენტუდი (ესპანეთი) — აპოელი (კვიპროსი) 83:66; მაზოვჟანკა (პოლონეთი) — ვენტსპილსი (ლატვია) 81:84

ულმი (გერმანია) — სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) 86:77

სპარტაკი: კონდრატოვი (28), ასტანინი (14), პოტაპოვი (13), ასტახოვი (13), ვედიშევი (9), ფილიპოვი, იუსანოვი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხუვენტუდი | 1 | 1 | 0 | 83:66 | 2 |
| ულმი | 1 | 1 | 0 | 86:77 | 2 |
| ვენტსპილსი | 1 | 1 | 0 | 84:81 | 2 |
| მაზოვჟანკა | 1 | 0 | 1 | 81:84 | 1 |
| სპარტაკი | 1 | 0 | 1 | 77:86 | 1 |
| აპოელი | 1 | 0 | 1 | 66:83 | 1 |

II ტური. 29.09: ულმი — მაზოვჟანკა, ვენტსპილსი — ხუვენტუდი, აპოელი — სპარტაკი

### H ჯგუფი

შტალბაუ (ავსტრია) — ბენეტონი (იტალია) 68:84; უნიქსი (რუსეთი) — ოვარენშე (პორტუგალია) 74:52; ბიპა მოდა (უკრაინა) — ჰანს ფერკერკი (ჰოლანდია) 64:58

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნიქსი | 1 | 1 | 0 | 74:52 | 2 |
| ბენეტონი | 1 | 1 | 0 | 84:68 | 2 |
| ბიპა მოდა | 1 | 1 | 0 | 64:58 | 2 |
| ჰანს ფერკერკი | 1 | 0 | 1 | 58:64 | 1 |
| შტალბაუ | 1 | 0 | 1 | 68:84 | 1 |
| ოვარენშე | 1 | 0 | 1 | 52:74 | 1 |

II ტური. 29.09: ბენეტონი — ჰანს ფერკერკი, უნიქსი — შტალბაუ, ოვარენშე — ბიპა მოდა

## ოქროს ზოდებს დანტონი დაეპატრონა

ლოკაუტის დროს ფაქტობრივად უმოქმედოდ მყოფი NBA-ს კლუბები გამოსავალს იმაში ნახულობენ, რომ მასიურად იცვლიან მწვრთნელებს. ეს რამდენიმე დღეა, თავკაცთა შეცვლები იქცა მსოფლიოს უძლიერესი საკალათბურთო ლიგის უმთავრეს მოვლენებად (რა თქმა უნდა, ლოკაუტთან დაკავშირებულ ამბებთან ერთად).

22 სექტემბერს მილუოკის, სიეტლს, ჩიკაგოს და სხვებს NBA-ს კიდევ ერთმა გუნდმა „დენვერ ნაგითსმაც“ მიბაძა და ძველი მწვრთნელი ბილ ჰენზლიკი ახალით — მაიკ დანტონით შეცვალა.

დანტონიმ სამშაბათს გააფორმა გუნდთან კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც სამი წლის განმავლობაში 2 750 000 დოლარს მიიღებს. დენვერის ახალი მწვრთნელი დებიუტანტი გახლავთ. იგი ერთი წელი მუშაობდა დენვერში, როგორც მოთამაშეთა კოორდინატორი, მანამდე კი შვიდი სეზონი წვრთნიდა იტალიურ კლუბებს — მილანსა და ბენეტონს და საკმაოდ წარმატებითაც. ამ შვიდი სეზონის განმავლობაში მისმა გუნდებმა 175 თამაში მოიგეს და 86 დათმეს, 1997 წელს კი ბენეტონი სულაც იტალიის ჩემპიონი გახდა. რაც შეეხება „დენვერელი ოქროს ზოდების“ ძველ მწვრთნელს ბილ ჰენზლიკს, იგი კლუბმა 1997-98 წლების სეზონში ნაგითსის საშინელი გამოსვლის გამო დაითხოვა. დენვერმა გასულ სეზონში 82 თამაშიდან მხოლოდ 11 მოიგო და ცოტა დააკლდა, NBA-ს ყველა დროის ანტირეკორდი გაემეორებინა. ეს ანტირეკორდი 1972-73 წლებში ფილადელფიას დაუმყარებია — სეზონში მხოლოდ 9 შეხვედრა მოუგია. ამასთან დენვერმა შუა სეზონში ზედიზედ 23 შეხვედრა წააგო და აქაც კიდევ ერთ ანტირეკორდამდე სულ ცოტა დააკლდა. ძველი მწვრთნელის გაშვებას და ახალის მოსვლას ახალი იმედები მოჰყვა. მაიკ დანტონის სამწვრთნელო სფეროში თავისი იდეები გააჩნია. იგი, როგორც ევროპის სკოლაგამოვლილი, კომბინაციურ კალათბურთს უფრო მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე სწრაფსა და ძალისმიერს, როგორც ეს NBA-შია მიღებული. ამ მხრივ იგი უკანა ხაზში აპირებს ცვლილებების შეტანას და მსროლელის, ანუ როგორც ჩვენში უწოდებენ, მეორე ნომრის ნაცვლად ორი გამთამაშებლით ათამაშებს გუნდს. ამათგან ერთ-ერთი გუნდის ძველი გამთამაშებელი კორი ალექსანდერი იქნება, მეორედ კი დანტონის ლეიკერსის ნიკ ვან ექსელი შეუგულებია, თუ იგი ისურვებს ბეჩავ დენვერში თამაშს, ანდა მისი ახლანდელი გუნდი 1998 წლის ოლ სტარის მოთამაშეს თუ დათმობს. ახალი მწვრთნელის აზრით, 186-სანტიმეტრიანი ვან ექსელი ცოტა მაღალი რომ იყოს, მისი დარი გამთამაშებელი NBA-ში არ იქნებოდა. სხვა, ვისაც დანტონი დაეყრდნობა ახალ სეზონში გუნდის ვეტერანები არიან, თავდამსხმელი ლაფონსო ელისი, ფრთა ბარიან სტისი და ახალგაზრდა პერსპექტიული თავდამსხმელი ერიკ უილიამსი, ვისაც შარშანდელი სეზონი მთლიანად გაუცდა მუხლის მძიმე ტრავმის გამო.

**ირაკლი ფირაშვილი**

**NBA-ს მწვრთნელთა ცვლილებები ბოლო ერთი წლის მანძილზე**

| გუნდი | წავიდა | მოვიდა |
|---|---|---|
| ჩიკაგო | ფილ ჯეკსონი | ტიმ ფლოიდი |
| დალასი | ჯიმ კლემონსი | დონ ნელსონი |
| დეტროიტი | დუგ კოლინზი | ელვინ ჯენთი |
| დენვერი | ბილ ჰენზლიკი | მაიკ დანტონი |
| ლ.ა. კლიპერსი | ბილ ფიტჩი | — |
| მილუოკი | კრის ფორდი | ჯორჯ კარლი |
| საკრამენტო | ედი ჯორდანი | რიკ ადელმანი |
| სიეტლი | ჯორჯ კარლი | პოლ ვესტფოლი |
| ტორონტო | დარელ უოლკერი | ბუჩ კარტერი |



### საქართველოს ჩემპიონატი

**ყოჩები 74:0 დინამო**

ყოჩები: 12 ლ — სულთანიშვილი, ურუშაძე, მაჩიტიძე, გიორხელიძე, საკანდელიძე (2), პეტრიაშვილი, ახვლედიანი, ცაგურია, ხელაძე (2), ცხვედიანი; 7 გ — მაჩიტიძე (2), ტეფნაძე (5)

## სამში ერთი

ძნელია, იმას, რაც გუშინ ვაკის სტადიონზე ხდებოდა, რაიმე სახელი მოუძებნო. პირობითად ამ საცოდაობას რაგბი ერქვა, მაგრამ ნამდვილი რაგბისა მას არაფერი ეცხო. ან კი რას უნდა ველოდეთ ისეთი გუნდისგან, რომლის წევრებიც თამაშზე აგვიანებენ და მწვრთნელს ისლა დარჩენია, მსაჯი და კომისარი როგორმე დაიყოლიოს, მატჩი გვიან დავიწყოთო.

პირველ ტაიმში სულთანიშვილმა, ურუშაძემ, მაჩიტიძემ, გიორხელიძემ და საკანდელიძემ ხუთჯერ დალაშქრეს მეტოქის ჩათვლის მოედანი, მაჩიტიძემ კი მხოლოდ ორჯერ გარდასახა ზუსტად. მეორე ტაიმში ლელოების რაოდენობა ორით გაიზარდა. ტეფნაძემ კი შვიდიდან ხუთჯერ გარდასახა.

რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ჩვენი მდგომარეობიდან გამომდინარე, ასეთი მა-



ვაჟა თუთბერიძის ფოტო

გუშინ ვაკეში „ყოჩებმა“ „დინამო“ გაანადგურეს

მოწინავე ექვსეულის წინა ორი შეხვედრისგან განსხვავებით, ამჯერად მოულოდნელი არაფერი მომხდარა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო, იმდენად დიდია განსხვავება კლასში. ამას ისიც დაემატა, რომ დინამოელებს წინააღმდეგობის გაწევის სურვილი არც ჰქონდათ და რა შედეგით დასრულდა ყველაფერი, თავადაც ხედავთ.

ტჩები მრავლად იქნება მეორე ეტაპის დათავრებამდე. უფრო ზუსტად კი, ტურის სამი თამაშიდან ერთი უეჭველად ასეთი სცენარით წარიმართება — „დინამო“ ერთით კი არა, ორი თავით დაბლა დგას დანარჩენ ხუთ გუნდზე და, რაც მთავარია, არც სურვილი გააჩნია, ამ ვითარებას თავი დააღწიოს.

**პაატა თოთაძე**

## ფრანგებმა გაილაღეს

ამ დღეებში რაგბის ევროპის თასზე მონაწილე გუნდებმა პირველი ტურის მატჩები გამართეს. ამ შეჯიბრებამ ინგლისელები და უელსის რამდენიმე წამყვანი კლუბი მოისაკლისა. ბრიტანელებმა თავიანთი უარი მოთამაშეების გადატვირთულ კალენდარს დააბრალეს და თან ახალი კანონის მიღებაც გადაწყვიტეს, რომლის თანახმადაც თითოეულ სპორტსმენს წელიწადში 37 თამაშზე მეტში მონაწილეობა აუკრძალეს. რა ინტერესი შერჩებოდა შეჯიბრს „ნიუკასლის“, „ლესტერის“, „ბათისა“ და თუნდაც „კარდიფის“ გარეშე? ფრანგებისთვის თითქმის არანაირი. სამაგიეროდ, სხვებისთვის სპორტული ინტერესი კვლავ დიდია, რადგან ირლანდიის, შოტლანდიის, უელსისა და იტალიის კლუბებს ფრანგებთან პაექრობაში კლასი ნაღდად აუმაღლდებათ. შოტლანდიელებმა მთელი თავიანთი გუნდებისგან ორი გამოადნეს და წინა წლებთან შედარებით (1996-97 წწ. — 1 გამარჯვება და 11 მარცხი, 97-98 წწ. — 5 გამარჯვება) უკეთესი შედეგის მიღწევას ოცნებობენ.

ირლანდიელები, რომელთა დამარცხებაც მათ კუნძულზე მეტად რთულია, ინგლისელთა არყოფნისას ეცდებიან ერთი გუნდი მაინც გაიყვანონ მეოთხედფინალში. იტალიელებს იმის დამტკიცება სურთ, რომ რაგბი აპენინის ნახევარკუნძულზე პროგრესს განიცდის. უელსელთაგან დიდი ამბიციები მხოლოდ „პონტიპრიდს“ აქვს. ფრანგებს კი მხოლოდ ფრანგული ნახევარფინალები თუღა გაახარებთ.

როგორც პირველმა ტურმაც ცხადყო, ფრანგებთან სხვები ახლოსაც ვერ მოვლენ. მათი გუნდებიდან მხოლოდ ერთადერთმა, ბორდოს „ბეგლემ“ განიცადა მარცხი და ისიც პარიზულ „სტად ფრანსესთან“. აღსანიშნავია უელსური „ებ ვეილის“ სასტიკი მარცხი ტულუზში. ხოლო ტრევიზოელები რომ პროგრესს განიცდიან, „კოლომიერთან“ 3 ქულით წაგებულმა მატჩმაც დაამტკიცა. ტურის ერთადერთი ფრე „ოლსტერსა“ და „ედინბურგს“ შორის დაფიქსირდა.

მეორე ტური 25, 26 და 27 სექტემბერს გაიმართება. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ თითოეული ჯგუფიდან მეოთხედფინალებში ორ-ორი საუკეთესო გადის, თუ ქულები თანაბარია, უპირატესობა ბურთების უკეთესი სხვაობის მქონე გუნდს მიენიჭება, შემდეგ საქმეში ლელოების რაოდენობა და გაძევებულ მოთამაშეთა რიცხვი ჩაერევა. თუ ეს მაჩვენებლებიც ერთნაირი აღმოჩნდა, ბოლოს მეოთხედფინალისტების ვინაობას ბრმა კენჭისყრა გაარკვევს.

**გაიოზ თალაკვაძე**

### A ჯგუფი

ლიანელი (უელსი) 27:33 ლენსტერი (ირლანდია)
ბეგლე-ბორდო (საფრანგეთი) 28:39 სტად ფრანსე (საფრანგეთი)

### B ჯგუფი

მანსტერი (ირლანდია) 20:13 პადოვა (იტალია)
ნითი (უელსი) 33:15 პერპინიანი (საფრანგეთი)

### C ჯგუფი

ტულუზი (საფრანგეთი) 108:16 ებ ვეილი (უელსი)
ოლსტერი (ირლანდია) 38:38 ედინბურგ რეიერსი (შოტლანდია)

### D ჯგუფი

ტრევიზო (იტალია) 19:22 კოლომიერი (საფრანგეთი)
გლაზგო კალედონიანსი (შოტლანდია) 23:41 პონტიპრიდი (უელსი)

ჩოგბურთი

# ჰინგისს ტყუპი გამოუჩნდა



მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურათა მუზეუმში დამკვიდრებულ სპორტის ვარსკვლავთა შორის ბოლოა.

მარტინამ თავისი ორეული საზოგადოებას ნიუ იორკში, არტურ ეშის სახელობის ყოველწლიური ბავშვთა საჩოგბურთო დღის დროს წარუდგინა და ყველაზე ახალგაზრდა სპორტსმენიც შეიქნა, ვისაც მსგავსი პატივი რგებია.

მარტინა II-ის დაბადებას ორიგინალზე ნაკლები დრო სულაც არ დასჭირვებია. მოქანდაკე ქეთი ბაჩერი მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელის სახლში, ციურიხში, ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს მიიწვიეს ფიგურის შესაქმნელად საჭირო ასობით ზომის ასაღებად, ხოლო სრული იდენტურობის მიღწევას ექვს თვეზე მეტი და დაახლოებით 50 ათასი დოლარი დასჭირდა. ფიგურას თავად ჰინგისის მიერ თავისი გარდერობიდან შერჩეული თეთრი საჩოგბურთო კაბა და სავარჯიშო წუღები აცვია, ხელში კი ერთ-ერთი ტურნირის მომგები ჩოგანი უჭირავს.

ნიუ იორკში გატარებული რამდენიმე კვირის შემდეგ ქანდაკება ლონდონის გამოფენაზე პოვებს მუდმივ ბინას, ცვილში უკვდავყოფილი სხვა საჩოგბურთო ლეგენდების — ბიორნ ბორგის, ჯონ მაკინროის, ბორის ბეკერისა და მარტინა ნავრატილოვას (რომლის პატივსაცემადაც ჰქვია ჰინგისს სახელი) გვერდით.

თავად ჰინგისის პირად ცხოვრებაში კი, როგორც ამბობენ, არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — იგი ბოლო ერთი წლის განმავლობაში თავის ბოიფრენდს, 21 წლის ესპანელ ხულიან ალონსოს დაშორდა. განშორებამ ყოველგვარი დავისა და უკმაყოფილების გარეშე ჩაიარა. „ჩვენ მეგობრებად დავრჩებით, ახლა შესაძლებლობა მექნება, ისევ ჩოგბურთზე გავამახვილო ყურადღება“ — განაცხადა ჰინგისმა, რომელიც იმედოვნებს, რომ ამით თავის თამაშში გარკვეულ დაღმასვლას შეაჩერებს.

თუმცა, თუ საჩოგბურთო სამყაროში გავრცელებულ ჭორებს ვირწმუნებთ, ჰინგისთან ურთიერთობის გაწყვეტის ინიციატივა ახალგაზრდა კატალონელს ეკუთვნოდა, რომელსაც მსოფლიოს პირველ ჩოგანთან გაჩაღებული რომანი სასიკეთოდ აშკარად არ წაადგა — გასული წლის საუკეთესო ახალბედად აღიარებულმა ალონსომ ამ დროის განმავლობაში წინსვლის ნაცვლად კლასიფიკაციაში მეოთხედან მერვე ათეულში გადაინაცვლა.

# აურზაური საოზეთში

ავსტრალიურ ჩოგბურთში ამერიკის ღია პირველობის ფინალში ორი ოზის მონაწილეობის შემდეგ სავარაუდო ბუმის ნაცვლად ლამის საშვილიშვილო ქაოსმა დაისადგურა.

ფინალში დამარცხებულმა მარკ ფილიპუსისმა პრესკონფერენციაზევე განაცხადა, საშინლად ნაწყენი ვარ, რომ ავსტრალიის დევისის თასის გუნდის მწვრთნელი, ტონი როუჩი მატჩს რაფტერის სტუმართა ლოჟიდან ადევნებდა თვალს, ამით მან თავისი უტაქტო მიკერძოებულობა გამოიჩინაო. „სკადმა“ მოგვიანებით ისიც დაამატა, არა მგონია, უახლოეს მომავალში გუნდის ღირსება დავიცვა, არც მისი კაპიტანი, ჯონ ნიუკომბი მეხატება მაინცდამაინც გულზეო.

ფილიპუსისისა და დევისის თასის გუნდის ხელმძღვანელობის უთანხმოება წლის დასაწყისში დაიწყო, როდესაც „სკადმა“ ასპარეზობაზე უარი განაცხადა, როუჩი და ნიუკომბი (მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი) საერთოდ არ დამეხმარნენ, როცა მამაჩემი კიბოთი იყო ავად და ამის გამო კრიზისში ვიყავი, მათგან ბოდიშის მოხდას ველიო. ავსტრალიური ჩოგბურთის ცოცხალმა ლეგენდებმა მაშინ დანაშაული იუარეს და ჭირვეულ ჩოგბურთელს შეუთვალეს, დროა, ცოტა გაიზარდოო. პრესამ კი ფილიპუსისი სილი (სულელ) პუსისად მონათლა.

ფილიპუსისის არყოფნაში ავსტრალია შინ ზიმბაბვესთან დამარცხდა, თუმცა ამ ბოლო ხანებში მხარეებს შორის ურთიერთობის მოწესრიგების ტენდენცია შეინიშნებოდა — ამბოხებულმა ერთი ორჯერ გუნდში დაბრუნების სურვილი გამოთქვა, თან ინციდენტის გამო განაწყენებული კოლეგები, მათ შორის ყოფილი მეწყვილე რაფტერიც შემოირიგა.

ფილიპუსისის მორიგ გამოხტომას ამჯერად უფრო მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა — როუჩმა და ნიუკომბმა, რომელთაც ერთად დიდი სლემის 11 ტიტული აქვთ წყვილებში მოგებული, განაცხადეს, თუ „სკადთან“ კონფლიქტი არ მოგვარდება, ორივენი გადავდგებითო.

კვირას კი უკვე ამერიკის ღია პირველობის ჩემპიონი რაფტერი დაიმუქრა, როუჩთან ერთად მეც წავალო: „ჩვენ ყველანი ძალიან ვაფასებთ ტონის, იგი არ იმსახურებს მსგავს მოპყრობას, ამიტომ ავსტრალია დევისის თასის გუნდის მწვრთნელთან ერთად მეც დამკარგავს“.

# რაფტერი ფულს არიგებს



იმ დროს, როდესაც ანდრე აგასი თავის სტუმრობასაც კი მამასისხლად აფასებს, პატრიკ რაფტერი ოფლისღვრით ნაშოვნ მწვანეებსაც არიგებს.

ამერიკის ღია პირველობის ორგზის გამარჯვებულმა ნიუ იორკული ტრიუმფისთვის მიღებული ფულიდან 180 ათასი დოლარი ბრისბენის ჰოსპიტალს გადასცა ავადმყოფი ბავშვებისთვის. რაფტერს იგივე თანხა საავადმყოფოსთვის შარშანდელი გამარჯვების შემდეგაც შეუწირავს დასასვენებელი ოთახების მოსაწყობად, თუმც ამ ამბავს აქამდე საიდუმლოდ ინახავდა. „არ მინდოდა, ეს ვინმეს გაეგო, რადგან ქველმოქმედებით ჩემს გარდა ბევრი შესანიშნავი ადამიანია დაკავებული, მე კი რაღაც თვითრეკლამის მაგვარი გამომდიოდა“.

# ანდრე აგასის სტუმრობაო...

ჩეხეთის დარბაზის ღია პირველობას, რომელიც ოსტრავაში 19-25 ოქტომბერს გაიმართება, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჩოგბურთელის დაბევება შეიძლება გაკოტრებად დაუჯდეს.

ტურნირის დირექტორმა პეტერ კოვარჩიკმა გაზეთ „პრავოს“ ანდრე აგასის მიწვევის შემდეგი პირობები გაუმხილა: „მან საპრეზიდენტო აპარტამენტი და ორი საუკეთესო ნომერი მოითხოვა ქალაქის საუკეთესო სასტუმროში, ამასთან პირადი აუზი და ტრენაჟორების დარბაზი. ამის გამო ჩვენ ალბათ აუზიან და ტრენაჟორებიან ვილას ვუქირავებთ“. აგასი თურმე მხოლოდ ამერიკულ ტელეარხებს უცქერს, რის გამოც მას სატელიტურ ანტენასაც უყიდიან.

თავხოტორა სუპერვარსკვლავი ოსტრავაში საკუთარი თვითმფრინავით გადაფრინდება. ეს და მისი ჩეხეთში ყოფნის სხვა დანახარჯები კი ორგანიზატორების გამოთვლით იმ 200 ათასზე მეტი თუ არა, ბევრით ნაკლები მაინც არ დაჯდება, აგასი ტურნირზე ასპარეზობისთვის რომ მიიღებს.

სხვათა შორის, ტურნირზე ანდრეს გარდა პეტერ კორდას და ევგენი კაფელნიკოვს ელიან. მთავარი პრიზი კი აგასის დანახარჯებთან შედარებით ერთობ უმნიშვნელო თანხა — 135 ათასი დოლარია.

**ავთანდილ სვანიძე**

მძლეოსნობა

**ბრაზილიელმა** მორბენალმა რონალდო და კოსტამ ამ ბოლო დროს მსოფლიოს რეკორდებს დანატრებული მძლეოსნობის სამყარო ერთგვარად გამოაცოცხლა. ბერლინის ტრადიციული მარათონის თითქმის წარმოუდგენელ დროში (2:06:05 სთ) დაფარვით ამ კაცმა, 42, 195 კილომეტრიან დისტანციას ცხოვრებაში ოდენ მეორედ რომ გარბოდა, მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა.

# ყოჩაღ, კოსტა!

28 წლის ბრაზილიელი გერმანიის დედაქალაქში გამართულ რიგით 25-ე მარათონზე ფავორიტის როლში სულაც არ ჩასულა. ასეთებად ბერლინში უფრო კენიელი მორბენლები მიიჩნეოდნენ. მათ თავი ნამდვილად არ შეურცხვენიათ. ოღონდ ეს იყო, არაამაქვეყნიური სიჩქარით მორბენალ სამხრეთამერიკელთან ვერაფერს გახდნენ და იძულებული გახდნენ, საპრიზო ადგილების დაბევებით დაკმაყოფილებულიყვნენ.

თანაც თუ სამსონ კანდიეს დრო 2:09:11სთ გამოსარჩევი სულაც არ გახლავთ, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით მეორე კენიელ ჯოსეფატ კიპრონოზე. მან 2:07:26სთ-ის ჩვენებით მეორე ადგილი ირგუნა და თანაც ყველა დროის 20 საუკეთესო მარათონისტს შორის დაიმკვიდრა ადგილი.

მსოფლიოს ახალი რეკორდსმენი და კოსტა სიხარულს ვერ მალავდა და ისტორიული ფოტოს გადაღების მსურველი რეპორტიორების წინაშე უსასრულოდ პოზიორობდა. მას არც გაემტყუნება. მარათონში 10 წლის წინ 1988 წლის 17 აპრილს ეთიოპელი ბელაინე ბინსამის მიერ როტერდამში ნაჩვენები დრო 2:06:50სთ ხომ ამდენი ხანი ვერავინ გააუმჯობესა და არავის ეგონა, თუ ამას მე-20 საუკუნეში ვინმე მოახერხებდა.

და კოსტამ კი შეძლო. რეკორდიც დაამყარა და ბერლინური გარბენის ორგანიზატორებისგან საკმაოდ სოლიდური თანხა 140 ათასი მარკაც (73 480 დოლარი) მიიღო.

ჭადრაკი

# ზეგ ელისტაში...

26 სექტემბერს ყალმუხეთის დედაქალაქში მორიგი საჭადრაკო ოლიმპიადა იწყება. მაღალი მიზნებისკენ მიმართული საქართველოს ვაჟკაცთა და მშვენიერთა ნაკრებები ამ ვითარების შესაფერისად მოემზადნენ. ვაჟები სანაკრებო შეკრებაზე იყვნენ ბორჯომში, ქალები კი...

90-იანი წლების საჭადრაკო სამყაროში 1991 წელს კიდევ ერთი ტრადიციული დაპირისპირება იშვა (სპორტულ დაპირისპირებას ვგულისხმობთ). ამ წლიდან რეგულარულად იმართება ე.წ. „საცეკვაო“ საერთაშორისო ტურნირები, რომლებშიც ერთმანეთს ვეტერანი მამაკაცები და არავეტერანი, საჭადრაკო კარიერის პიკზე მდგომი ქალბატონები უპირისპირდებიან. სახელწოდებიდან გამომდინარე, თითოეულ ტურნირს ორგანიზატორები რომელიმე პოპულარული ცეკვის სახელს ანათლავენ და ეს პატივი უკვე ერგოთ ტუმბას, პოლკას და ფოქსტროტს...

წლევანდელი, ახლად დასრულებული ტურნირი კანკანის სახელით მონათლეს და იგი უწინდელი შვიდივე ტურნირის მსგავსად უკიდურესობამდე დაძაბული და საინტერესო გამოდგა. წარმოიდგინეთ, ერთ მხარეს — კორჩნოი, სპასკი, სმისლოვი, ჰორტი, პორტიში და ტაიმანოვი, მეორე მხარეს კი — სიუ ჟუნი, ჩიბურდანიძე, იოსელიანი, კრამლინგი, არახამია და ჯუ ჩენი. დამეთანხმებით, საკმაოდ შთამბეჭდავი კომპანიაა.

მონაკომდე ნათამაშევი ტურნირების საერთო ანგარიშში ვეტერანები 1 ქულით წინ იყვნენ და ახლაც საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ეს სხვაობა უნდა გაზრდილიყო. ბოლო, მე-12 ტურის წინ ბებერი ლომები სამი ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ ფინიშზე ქალბატონების ენერგიულ შტურმს ველარ გაუძლეს და პარტიების ნახევარი წააგეს. ჩვენებურთაგან არახამიამ ტაიმანოვს სძლია, იოსელიანმა კი ჰორტს. დანარჩენი 3 პარტია ყაიმით დასრულდა და ტური ქალბატონებმა სოლიდური ანგარიშით მოიგეს — 4,5:1,5. ეს ფაქტი საბოლოო ანგარიშშიც აისახა, რომელიც მშვიდობიანი 36:36-ით გამოიხატა. ერთი სიტყვით, ვეტერანებმა ბოლო ტური ნამდვილი ჯენტლმენებივით ჩაატარეს და ამისთვის აპლოდისმენტებს იმსახურებენ, ჩვენმა ქალბატონებმა კი მართლაც კარგად ივარჯიშეს.

ქართველობისთვის კანკანის ტურნირზე განსაკუთრებით სასიხარულო მაია ჩიბურდანიძის ხელახალი აღზევება უნდა იყოს. ჩვენი ქალთა ნაკრების ლიდერმა ორივე წრე სტაბილურად ჩაატარა და პირად ჩათვლაში სპასკისთან ერთად 7,5 ქულით II-III ადგილები გაიყო. იოსელიანი მეშვიდე იყო, არახამია კი მეთერთმეტე. მან მხოლოდ ტაიმანოვს გაუსწრო. პირველობა კორჩნოიმ იზეიმა, რომელმაც 9 ქულა დააგროვა და ერთხელაც დაამტკიცა, რომ ძველებურად წარმატებით უმკლავდება ხანდაზმულობას.

წინ კი ოლიმპიადაა, მავანთა აზრით, ფრიად უინტერესო და დაბალი დონის ასპარეზობა, რომელშიც ჭადრაკის გრანდებს საერთოდ არ სურთ თამაში და ხშირად არც თამაშობენ. მაგრამ ოლიმპიადა მაინც ოლიმპიადაა და ინტრიგის მოზრდილ ულუფებს ყოველთვის შეიცავს, თუნდაც იმიტომ, რომ საშუალებას გვაძლევს უცხო ქვეყანაში ყველაზე მაღლა გამოკიდებული ჩვენი ეროვნული დროშა ვიხილოთ და ჰიმნის აკორდებსაც მოვკრათ ყური. ქართველ მოჭადრაკეებს ელისტიდან ტრიუმფით მობრუნებას ვუსურვებთ!

**დავით გულუა**

კრივი

# შავესს გულმა სხვაგან გაუწია

გასულ უქმეებზე ოსკარ დელა ჰოიას მიერ ნაცემმა ლეგენდარულმა მექსიკელმა ხულიო სეზარ შავესმა, რომელიც ველთერის წონის ტიტულს ეცილებოდა ოსკარს, განაცხადა, რომ კვლავ აპირებს საჩემპიონო ბრძოლას, ოღონდ ამჯერად სუპერმსუბუქ წონაში.

შავესმა წერილით მიმართა საბჭოს (ვბა) და დაეკითხა, აქვს თუ არა უფლება, შეხვდეს ამ ვერსიის მომავალ ჩემპიონს ამავე წონაში, რომლის ვინაობაც 28 ნოემბერს გაირკვევა მექსიკელი მიგელ ანხელ გონსალესისა და რუს კოსტია ძიუს ბრძოლით.

აქამდე შავესი ველთერში აპირებდა ჩხუბს ამერიკელი ვინს ფილიპსის წინააღმდეგ, მაგრამ ახლა გადაიფიქრა და ის ბრძოლა, რომელიც ფედერაციის (იბფ) ეგიდით უნდა გამართულიყო, უარყო.

ჩანს, 36 წლის შავესს აქეთ უფრო მეტი ქულა ეგულება.

ველორბოლა VUELTA'98

# ვუსტს მესამე სურს

**მე-17 ეტაპი. ბურგოსიდან ლეონამდე. 188,5 კილომეტრი**

მე-17 ეტაპი, რომელიც ბურგოსიდან ლეონამდე გადაჭიმულ საკმაოდ ძნელად დასაძლევ ტრასაზე გაიმართა, წინა რბოლებთან შედარებით საკმაოდ უინტერესო გამოდგა.

მეტად უსიამოვნო პირქარში მოასპარეზე სპორტსმენები არ აქტიურობდნენ, რის გამოც ტურის ორგანიზატორთა და ფინიშის ხაზზე შეკრებილ მრავალრიცხოვან გულშემატკივართა გასაკვირად, წინასწარ გამოთვლილ სავარაუდო გრაფიკს მთელი 30 წუთით ჩამორჩნენ.

38,26 კმ/სთ საშუალო სიჩქარით მოარულ პელეტონს რბოლის დასაწყისში ესპანელი მატიას კაიგასი გამოეყო და დაწინაურება სცადა. ეს სპორტსმენი საერთო ჩათვლაში საკმაოდ უკან იმყოფებოდა და სწორედ ამას უნდა უმადლოდეს, ლიდერებმა მის ძალისხმევას განსაკუთრებული ყურადღება რომ არ მიაქციეს.

„გათავხედებულმა“ კაიგასმაც გაუტია და 87 კილომეტრის მანძილზე ეულად ლიდერობდა. თუმცა ფინიშამდე 12 კილომეტრით ადრე მაინც დაეტყო, რომ მთლად უმაღლესი დონის მრბოლი ვერაა.

არადა, ესპანელს ცოტა მაინც რომ გაეძლო, ეტაპს უეჭველად მოიგებდა, რადგან პელეტონს აჩქარების განსაკუთრებული სურვილი არ გამოუხატავს. უბრალოდ, წინგაჭრილი კაიგასი სუსტი სტრატეგი აღმოჩნდა, ძალები სათანადოდ ვერ გაანაწილა და არაქათგამოცლილი იძულებული იყო, სევდიანი თვალებით ეცქირა, თუ როგორ ჩაუქროლეს ერთ პერიოდს საკმაოდ ჩამორჩენილმა მრბოლებმა.

საბოლოოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდ ჯგროდ შეკრებილი სპორტსმენები ერთად მივიდნენ ფინიშის ხაზზე, სადაც გამარჯვება უკეთესი პოზიციის შერჩევისა და შესანიშნავი სპურტის წყალობით „ლოტუსის“ გერმანელმა მარსელ ვუსტმა მოიპოვა.

ეს ის ვუსტია, გასულ შაბათს სარაგოსის მიდამოებში გამართულ ეტაპზე არაადამიანურად რომ ირბოლა და 51,137 კმ-სთ საშუალო სიჩქარის ჩვენებით მსოფლიოს სამი უპრესტიჟულესი ტურის — „ტურ დე ფრანსის“, „ჯირო დ'იტალიას“ და „ვუელტას“ ისტორიაში უსწრაფესი დროის ავტორის სახელი დაიბევა.

„ესპანური ანდაზის მიხედვით, ორს ყოველთვის მესამე მოჰყვება-ხოლმე. ჰოდა, მეც შევეცდები, ორ გამარჯვებაზე არ შევჩერდე და წლევანდელ „ვუელტაზე“ კიდევ ერთი ეტაპი მოვიგო“ — განაცხადა გამარჯვებულმა ვუსტმა.

საერთო ჩათვლაში კი კვლავ არაფერი შეცვლილა. ბოლო 9 ეტაპის მანძილზე ყვითელი მაისურით მოასპარეზე „ბენესტოს“ მრბოლი აბრაჰამ ოლანო ისევ ლიდერობს და 22 წამით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ ფრანგ ლორან ჟალაბერს.

**1. მარსელ ვუსტი (გერმანია) 4 სთ 55 წთ 33 წმ; 2. ანგელ ედო (ესპანეთი); 3. სერგეი სმეტანინი (რუსეთი) იგივე დრო.**

საერთო ჩათვლა

**1. აბრაჰამ ოლანო (ესპანეთი) 73 სთ 00 წთ 37 წმ; 2. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) +22; 3. ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი) +31; 4. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი) +38; 5. ალექს ცულე (შვეიცარია) +2,12**

**მე-18 ეტაპი. ლეონიდან სალამანკამდე. 223 კილომეტრი**

ეტაპი იტალიელმა ფაბრიციო გვიდიმ მოიგო. ყვითელ მაისურს კი კვლავ აბრაჰამ ოლანო ინარჩუნებს.

**კახა არჯევანიძე**


## სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
ავთანდილ გურასაშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე, ირაკლი ხმელიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29